სპორტი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 თებერვალი 2000 №22 (1044) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 მეთერთმეტე ჩემპიონატის კალენდარი დამტკიცდა

საქართველოში საფეხბურთო სეზონი 25 თებერვალს თასის მერვედფინალით განახლდება, ჩემპიონატი კი 3 მარტს დაიწყება

8 ჩემპიონიდან ჩემპიონამდე



ქართული ფეხბურთის ცეცხლში გამოწრთობილი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი გუშინ ბელგიის ჩემპიონ „გენკის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა

13 ლეონსიოს ლომის წილი

აი, ვინ დასცა პორტუგალია!

უკანონობა თუ უფსკრული და კატასტროფა?

შეურიგებელი მოჭადრაკეები სასამართლომ უნდა მოარიგოს

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში არსებული დაპირისპირება უარესად და უაღრესად გამწვავდა. გუშინ გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე ოპოზიციამ პრეზიდენტს რიგგარეშე ყრილობის გაძღოლის უფლება ხმათა უმრავლესობით ჩამოართვა. ზურაბ აზმაიფარაშვილმა სხდომა დატოვა და ოფიციალურად განაცხადა, რომ მთაწმინდის სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. რიგგარეშე ყრილობის ირგვლივ დაუსრულებლად გაჭიმულმა კამათმა შესაძლოა დღეიდანვე იურიდიულ ინსტანციებში გადაინაცვლოს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

ზურაბ აზმაიფარაშვილი: მორჩა, სასამართლოში მივდივარ!

ქინქლაძეს ზურგსუკან აქვებენ

დერბიმ ქართველის საყიდელი ფული უკვე გადადო

ინგლისში დაბრუნების შემდეგ გიორგი ქინქლაძეს „დერბი ქაუნთის“ ძირითად შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია, სულ შემცვლელად გადის მინდორზე და...

მატჩიდან მატჩამდე უმატებს, ნელ-ნელა იბრუნებს ძველ ფორმას, ისეთს, რომელმაც თავის დროზე ლამის ნახევარი მანჩესტერის კერპად აქცია.

გიოს პრემიერლიგაში, „დერბის“ ძირითადში ამ შაბათს უნდა ეთამაშა. ამას გუნდის მწვრთნელი ამბობდა და სწორედ ამ მიზეზით ჩვენებური კვიპროსზე, საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ არ გაუშვა...

ქინქლაძემ სულ ნახევარი საათი დაჰყო მინდორზე. მისი „დერბი“ პრემიერლიგის აუტსაიდერ „შეფილდ უენსდისთან“ თითქმის მთელი მატჩი აგებდა. 90-ე წუთზე ანგარიში 1:3 იყო. საბოლოოდ თამაში 3:3 დამთავრდა. „დერბიმ“ ორ წუთში ორჯერ გაიტანა, ორივე საგოლე პასი ჩვენებურმა გააკეთა. გუნდის საუკეთესო ფეხბურთელადაც ის დაასახელეს. უკვე მეორედ.

— ბოლოს და ბოლოს, როდის ითამაშებ „დერბის“ ძირითადში — პირველად ეს კკითხეთ გიოს, გუშინ ინგლისში რომ შევეხმიანეთ.

— „შეფილდის“ წინააღმდეგაც თავიდან უნდა ვყოფილიყავი შემადგენლობაში, მაგრამ პარასკევს ვარჯიშისას თანაგუნდელმა მუხლში ჩამარტყა ფეხი და ზედმეტი გართულების თავიდან ასაცილებლად მწვრთნელმა მთელი 90 წუთი არ მათამაშა. შენთვის ასე სჯობსო, მითხრა.

— და მიუხედავად მტკივანი მუხლისა...

— ტკივილით ძალიან არ მტკიოდა, ცოტას მაწუხებდა. რაც შემეძლო, გავაკეთე, ჩემი პასებით ანგარიში გავათანაბრეთ. არადა, საქმე აქამდე არც უნდა მისულიყო, მოგება შეგვეძლო. ჩემი თამაშით ყველანი კმაყოფილები დარჩნენ.

— ფიქრობ, რომ უკვე აღიდგინე ფორმა?

— ჯერ არა. ვგრძნობ, მომატება კიდევ შემიძლია. ერთი-ორი მატჩიც და უკეთესად ავთამაშდები.

— მომავალ ტურში მაინც იქნები ძირითადში?

— ალბათ. ზუსტად კი პარასკევის ვარჯიშის შემდეგ მეცოდინება.

— მწვრთნელთან არ გილაპარაკია?

— კარგა ხანია, პირისპირ არ გვილაპარაკია, თუმცა, როგორც მეუბნებიან, სულ ჩემს ქებაშია.

— ერთხანს „დერბის“ დუბლებში რომ გათამაშებდა, ეგ რისი ბრალი იყო?

— ავად ვიყავი, გრიპი მქონდა, ორი კვირა ლოგინიდან ვერ წამოვდექი. ნაავადმყოფარს კი პირველ გუნდში არავინ გათამაშებს.

— ის რამდენად მართალია, თითქოს პრემიერლიგის რამდენიმე გუნდი გეპატიჟებოდეს?

— ვერაფერს გეტყვი, ამას გაზეთები წერენ. ნაღდად კი ის ვიცი, რომ დღე-დღეზე „დერბი“ „აიაქსთან“ ხელშეორედ დაიწყებს მოლაპარაკებას. აქაურებს „აიაქსისთვის“ გადასახდელი ფული უკვე გადადებული აქვთ. რამდენი, არ მეუბნებიან. „დერბიმ“ მრავალწლიანი კონ-

გიორგი ქინქლაძე

ტრაქტის გაფორმებაზეც ჩამომიგდო სიტყვა. სეზონის დამთავრების შემდეგ გიპასუხებთ-მეთქი, ვუთხარი კლუბის ხელმძღვანელობას.

ძოგბა ინასარიძე

ტორპედო ლევსკის იმედად

„ლევსკი“ — „ტორპედო“ 2:1 გია მეგრელაძეს სოფიელი მარტინ სტანკოვი მეურვეობს

7 ДНИ СПОРТ

გუშინ ალბენაში რვაგუნდიანი საერთაშორისო ტურნირის, „ალბენა მიბილტელ 2000“-ის მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველ ჯგუფში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედომ“ ყაზახეთის ნაკრებთან 2:2 ითამაშა: ჩვენებურთაგან ორივე გოლი ზურაბ იონანიძემ გაიტანა. XI ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებმა აქტივში პირველი ქულა ჩაიწერეს და ცხრილის ფსკერს თავი დააღწიეს. ამაში კი ყიფიანის შეგირდებს თანაჯგუფელი, პირველ მატჩში „ტორპედოსთვის“ 2:1 მოგები სოფიის „ლევსკი“ დაეხმარა. სოფიელებმა უზბეკეთის „დუსტლიკს“ ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. შედეგად ტაშკენტის ოლქის წარმომადგენლებს ქუთაისელებთან შედარებით ბურთების უარესი შეფარდება გაუხდათ და „ტორპედომ“ მესამე საფეხურზე აინაცვლა.

მესამე ტურში საქართველოს ვიცე-ჩემპიონები და თასის მფლობელები სწორედ „დუსტლიკს“ ხვდებიან. ყიფიანის შეგირდებს ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად და ნახევარფინალში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ლიდერი „ლევსკი“ ყაზახეთის ნაკრებთან არ წააგებს. სოფიელების მარცხისას ჩვენებურები უშანსოდ რჩებიან. „ტორპედოს“ უზბეკებთან ფრის შემთხვევაშიც შეუძლია ტურნირში მონაწილეობის გახანგრძლივება. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ სოფიელები ყაზახებს ორბურთიანი უპირატესობით დაამარცხებენ ან 1:0 მოუგებენ. ერთი სიტყვით, „ტორპედოს“ ბედი „ლევსკიზე“ ჰკიდია, მიუხედავად იმისა, აჯობებენ თუ არა „დუსტლიკს“...

მეორე ჯგუფის ლიდერმა სამარულმა „კრილიამ“ 0:0 ითამაშა ბურგასის „ნეფტოხიმიკთან“. რუმინულმა „ფარულმა“ კი ბულგარეთის ვარნის „სპარტაკთან“ დაამო შეხვედრა — 0:1 სამარელებს პირველი ადგილის დასაუფლებლად კარგი შანსი აქვთ. მეორე საფეხურზე დამკვიდრებისთვის კი ამ ჯგუფშიც დიდი ბრძოლა იქნება.

უნდა ითქვას, რომ ტურნირისადმი დიდ ყურადღებას იჩენს ბულგარული პრესა. „ალბენა მიბილტელ 2000“ საკმაოდ ვრცლად შუქდება. გუშინდელი შეხვედრების ანგარიშების ოპერატიულად შეტყობაც სწორედ ჩვენი ბულგარელი კოლეგების დახმარებით შევძელით. წუხელ გაზეთ „7 დნი სპორტს“ დავუკავშირდით და ფეხბურთის განყოფილების წარმომადგენელიც არ დაგვზარდა...

ხვიჩა სანიკიძე

ალბენა მიბილტელ 2000

პირველი ჯგუფი						
ლევსკი (სოფია, ბულგარეთი)	2	2	0	0	4:1	6
ყაზახეთის ნაკრები	2	0	2	0	2:2	2
ტორპედო (საქართველო)	2	0	1	1	3:4	1
დუსტლიკი (უზბეკეთი)	2	0	1	1	0:2	1
მეორე ჯგუფი						
კრილია სოვეტოვი (რუსეთი)	2	1	1	0	2:0	4
სპარტაკი (ბულგარეთი)	2	1	0	1	1:2	3
ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)	2	0	2	0	1:1	2
ფარული (რუმინეთი)	2	0	1	1	1:2	1

ფენერბაჰჩეს მძლეველი ქართველთა მსხვერპლი

ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და გაიმარჯვა. ჩვენებურებმა თურქეთის მეორელიგელ „ფენდიქსფორს“ სძლიეს ანგარიშით 3:1. ვიტელთაგან გოლები ზვიად გვაზავამ, ლევან მელქაძემ და გიორგი ყიფიანმა გაიტანეს. თურქებმა მათ ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანით უპასუხეს.

თავიდან ასე იყო ჩაფიქრებული, ვეტერინარებს სპარინგ-პარტნიორად პირველლიგელი „ანკარაგიუჯიუ“ უნდა ჰყოლოდათ, მაგრამ მერე გაირკვა, რომ თურქები მეორე შემადგენლობით აპირებდნენ თამაშს და... „ფენდიქსფორი“ მეორე ლიგის ერთ-ერთი სოლიდური გუნდია, ხუთთაგან ერ-ერთ ქვეჯგუფში მეხუთე ადგილზეა და თურქეთის თასის მეთექვსმეტედფინალში „ფენერბაჰჩე“ იმსხვერპლა.

ვიტელებს მეორე ამხანაგურ მატჩში, 11 თებერვალს რომ გაიმართება, მეტოქედ ავსტრიელი მეორე ლიგის ლიდერი „ადმირა ვაკერი“ შეუგულებიათ.

მამუკა კვანტალიანი

დოლიძეც პრეზიდენტს ელის

სამტრედიული კლუბის პრეზიდენტის, ნუგზარ ნიკოლეიშვილის გაუჩინარებას გუნდში დიდი გაუგებრობა მოჰყვა. მან იანვარში ტყუპ ძმებ ვასილ და სოსო გიგიაძეებთან ერთად უკრაინას მიაშურა. პრეზიდენტს ამ ფეხბურთელების კრიკოი როგის „კრიებასში“ ტრანსფერი უნდა მოეგვარებინა, თუმცა იგი ჩაიშალა. ნიკოლეიშვილიც გიგიაძეებითურთ დაღესტანს ეწვია და მათი მახაჩყალის „ანჟიში“ მოწყობა სცადა. რა გამოვა აქედან, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ფაქტია, ვასილმა და სოსომ ამ გუნდში ერთი საკონტროლო მატჩი უკვე ითამაშეს. როგორც შევიტყვეთ, გიგიაძეების გარდა პრეზიდენტს „იბერიის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი — შოთა ჩომახიძე წაუყვანია, თუმცა მისი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.

„იბერიიდან“ წასულად ცოტა ხნის წინ გუნდის მეკარე გუბაზ დოლიძეც მოვიხსენიეთ, თუმცა ეს ინფორმაცია ოდნავ ნაადრევი ყოფილა.

„ჯერჯერობით გუნდი არ დამიტოვებია. სამტრედიაში იმიტომ არ ჩავდივარ, რომ „იბერია“ არ ვარჯიშობს, ამდენად ჩემს იქ ყოფნას აზრი არა აქვს“ — გვითხრა გუშინ თავად დოლიძემ.

როგორც შევიტყვეთ, დოლიძეს რამდენიმე ქართული კლუბი ეპატიჟება, თუმცა ყველაზე რეალური მისი სამტრედიულ გუნდში დარჩენაა. ისევე როგორც დანარჩენი იბერიელები, გუბაზ დოლიძეც ნუგზარ ნიკოლეიშვილის გამოჩენას ელის, რომელიც ჯერ კიდევ იანვრის მიწურულს აპირებდა ჩამოსვლას. 10 თებერვალს აღარ გადავაცილებო, შემოუთვლია პრეზიდენტს უკანასკნელად. მეკარეც მის ჩამოსვლამდე დიღომში, კალათბურთელთა ბაზაზე ვარჯიშობს იური სტადუხინის მეთვალყურეობით.

10 თებერვლამდე კი ერთი დღეღა დარჩა.

ვანო ოქროპირიძე

ბაღრი ჯითლაძის ფოტო

გუბაზ დოლიძე

საქართველოს XI ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი

«ა» ზონა — «ბ» ზონა

პირველი წრე

პირველი ტური

«ა» ზონა		«ბ» ზონა	
04.03 შბ	ბათუმი : იბერია	3.03 პარ	ლოკომოტივი : ხობი
	ტორპედო : კოლხეთი	5.03 კვ	თბილისი : მერანი
	დინამო : ვიტ ჯორჯია		თსუ : სამგურალი
	სიონი : დილა		არსენალი : გორდა

მეორე ტური

11.03 შბ	იბერია : დილა	12.03 კვ	სამგურალი : მერანი
	ვიტ ჯორჯია : სიონი		გორდა : თბილისი
	კოლხეთი : დინამო		ხობი : არსენალი
	ბათუმი : ტორპედო		თსუ : ლოკომოტივი

მესამე ტური

18.03 შბ	ტორპედო : იბერია	19.03 კვ	ლოკომოტივი : სამგურალი
	დინამო : ბათუმი		არსენალი : თსუ
	სიონი : კოლხეთი		მერანი : გორდა
	დილა : ვიტ ჯორჯია	20.03 ორშ	თბილისი : ხობი

მეოთხე ტური

26.03 კვ	იბერია : ვიტ ჯორჯია	26.03 კვ	სამგურალი : გორდა
	კოლხეთი : დილა		ხობი : მერანი
	ბათუმი : სიონი		თსუ : თბილისი
	ტორპედო : დინამო		ლოკომოტივი : არსენალი

მეხუთე ტური

01.04 შბ	დინამო : იბერია	02.04 კვ	არსენალი : სამგურალი
	სიონი : ტორპედო		თბილისი : ლოკომოტივი
	დილა : ბათუმი		მერანი : თსუ
	ვიტ ჯორჯია : კოლხეთი		გორდა : ხობი

მეექვსე ტური

14.04 პარ	იბერია : კოლხეთი	13.04 ხუთშ	ლოკომოტივი : მერანი
	ბათუმი : ვიტ ჯორჯია	14.04 პარ	სამგურალი : ხობი
	ტორპედო : დილა		თსუ : გორდა
	დინამო : სიონი		არსენალი : თბილისი

მეშვიდე ტური

18.04 საშ	სიონი : იბერია	18.04 საშ	თბილისი : სამგურალი
	დილა : დინამო		მერანი : არსენალი
	ვიტ ჯორჯია : ტორპედო		გორდა : ლოკომოტივი
	კოლხეთი : ბათუმი		ხობი : თსუ

მეორე წრე

მერვე ტური

22.04 შბ	იბერია : ბათუმი	22.04 შბ	სამგურალი : თსუ
	კოლხეთი : ტორპედო		ხობი : ლოკომოტივი
	ვიტ ჯორჯია : დინამო		გორდა : არსენალი
	დილა : სიონი		მერანი : თბილისი

მეცხრე ტური

29.04 შბ	დილა : იბერია	28.04 პარ	თბილისი : გორდა
	სიონი : ვიტ ჯორჯია	29.04 შბ	მერანი : სამგურალი
	დინამო : კოლხეთი		არსენალი : ხობი
	ტორპედო : ბათუმი		ლოკომოტივი : თსუ

მეათე ტური

06.05 შბ	იბერია : ტორპედო	05.05 პარ	თსუ : არსენალი
	ბათუმი : დინამო	06.05 შბ	სამგურალი : ლოკომოტივი
	კოლხეთი : სიონი		ხობი : თბილისი
	ვიტ ჯორჯია : დილა		გორდა : მერანი

მეთერთმეტე ტური

11.05 შბ	ვიტ ჯორჯია : იბერია	12.05 პარ	თბილისი : თსუ
	დილა : კოლხეთი	13.05 შბ	გორდა : სამგურალი
	სიონი : ბათუმი		მერანი : ხობი
	დინამო : ტორპედო		არსენალი : ლოკომოტივი

მეთორმეტე ტური

17.05 ოთხშ	იბერია : დინამო	17.05 ოთხშ	სამგურალი : არსენალი
	ტორპედო : სიონი		ლოკომოტივი : თბილისი
	ბათუმი : დილა		თსუ : მერანი
	კოლხეთი : ვიტ ჯორჯია		ხობი : გორდა

მეცამეტე ტური

23.05 საშ	კოლხეთი : იბერია	23.05 საშ	ხობი : სამგურალი
	ვიტ ჯორჯია : ბათუმი		გორდა : თსუ
	დილა : ტორპედო		მერანი : ლოკომოტივი
	სიონი : დინამო		თბილისი : არსენალი

მეთოთხმეტე ტური

30.05 საშ	იბერია : სიონი	31.05 ოთხშ	სამგურალი : თბილისი
	დინამო : დილა		არსენალი : მერანი
	ტორპედო : ვიტ ჯორჯია		ლოკომოტივი : გორდა
	ბათუმი : კოლხეთი		თსუ : ხობი

საქართველოს თასი. მერვედფინალი: 25, 27, 28, 29 თებერვალი და 8 მარტი; მეოთხედფინალი: 15 და 22 მარტი; ნახევარფინალი: 2 და 9 მაისი; ფინალი: 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქინქლაძე უკონკურენციოდ

SKY SPORT

სადაც ბურთია, გიოც იქაა

სახელი გვარი	კლუბი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა
ინგლისი					
პრემიერლიგა					
თემურ ქეცბაია	ნიუკასლი	ს	სანდერლენდი 2:2	0	ნაკრებში იყო გამოძახებული
გიორგი ქინქლაძე	დერბი	შ	შეფილდი 3:3	30	ორი საგოლე პასი
პირველი დივიზიონი					
კახი ცხადაძე	მანჩესტერ სიტი	ს	ნოტინგემი 3:1	0	ტრავმა
ბელგია					
უმაღლესი დივიზიონი					
გელა შეყილაძე	ლიერსი	ს	მეხელენი 3:4	0	ნაკრებში იყო გამოძახებული
მეორე დივიზიონი					
ლაშა ჯაკობია	ვეზეტი	ს	ოსტენდე 1:2	90	გოლი
საბერძნეთი					
უმაღლესი დივიზიონი					
გოდერძი ნატროშვილი	პანაჰაიკი	ს	იონიკოსი 0:0	90	
ლევან ქებაძე	ირაკლისი	ს	აპოლონი 0:1	0	ახალწვეულია
ისრაელი					
უმაღლესი დივიზიონი					
გიორგი დარასელია	ჰაპოელი (ქვარ სავა)	ს	რიშონი 2:2	90	საგოლე პასი
გიორგი გახოკიძე	მაკაბი (ჰაიფა)	ს	აშდოდი 0:0	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
ჰოლანდია					
პირველი დივიზიონი					
შოთა არველაძე	აიაქსი	ს	ჰეერენვენი 1:1	0	ტრავმა
		შ	კამბური 3:1	0	ტრავმა
მეორე დივიზიონი					
არჩილ არველაძე	ბრედა	შ	დენ ჰაგი 2:0	0	ნაკრებში იყო გამოძახებული
გერმანია					
ბუნდესლიგა					
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ულმი 2:0	75	შეცვალეს
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	შ	ულმი 2:0	90	
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ულმი 2:0	0	ტრავმა

გასული კვირის რჩეულად „დერბი ქაუნთის“ ქართველი ლეგიონერი გიორგი ქინქლაძე დავასახელეთ. იგი ამ კვირაში კონკურენციის გარეშე იყო. ჯერ ერთი, ქართველმა 30 წუთში შეატრიალა „დერბის“ ბედი და პირველ დივიზიონში გადასაჩეხად გამზადებულ „ცხვრებს“ ქულა და პრემიერლიგაში დარჩენის შანსი შეუნარჩუნა. მეორეც, საქართველოს ნაკრებში გამოძახების გამო ლამის ბევრმა ლეგიონერმა გამოტოვა ტური.

ქინქლაძე, დაპირების მიუხედავად, „დერბის“ მენეჯერმა სმიტმა მხოლოდ 60-ე წუთზე შეუშვა მინდორზე, როცა „ცხვრები“ 0:2-ს აგებდნენ გამგელებულ „შეფილდთან“. მოგვიანებით სმიტი იტყვის, რომ სურდა, ქართველი თავიდანვე ეთამაშებინა, ბოლოს კი მაინც გადაიფიქრა. „შეფილდთან“ ისეთ თამაშს ველოდი, როცა ბოლო 30 წუთში გადაწყდებოდა მატჩის ბედი. დროის ამ მონაკვეთში კი ისეთი ფეხბურთელი მჭირდებოდა, რომელიც დასვენებული იქნებოდა და თამაშის სადავეებს ხელში აიღებდა. ქინქლაძემ გამიმართლა. მან გადაგვარჩინა“ — განაცხადა სმიტმა.

გიო ჩვეულად დააცხრა „შეფილდს“ და შესვლიდან ათი წუთიც არ იყო გასული, ბელგიელ-ხორვატ შტრუპარს რომ გაატანინა. ქართველი ამის შემდეგაც ამარაგებდა „დერბის“ თავდასხმას საჭირო პასებით, თუმცა „ცხვრებმა“ 89-ე წუთზე დონელისგან მესამე გოლი მიიღეს და თითქოს ყველაფერი დასრულდა. „დერბი ტელეგრაფის“ ცნობით, 4500 ფანმა დატოვა სტადიონი და ვერ შეესწრო დასაკლავად განწირული „ცხვრების“ სასწაულს. ჯერ შოტლანდიელმა ბარლიმ, შემდეგ კი თინეიჯერმა კრისტიმ ორ წუთში ორი გოლი გაუტანეს „შეფილდის“ ჩეხ გოლკიპერ სრნიჩეკს.

ბარლის გოლი გუშინწინ „ტელეგრაფმა“ ქინქლაძის პასს მიაწერა, თუმცა გუშინ ბევრმა დაწერა, რომ შოტლანდიელმა თავად (სხვის დაუხმარებლად) ისარგებლა „შეფილდის“ დაცვის დოყლაპიობით. „სანმა“ ქინქი ისევ საუკეთესოდ აღიარა, ისევე, როგორც „მირორმა“. ორივე გაზეთმა ქართველს „8“ დაუწერა.

ამ ფრემ „დერბი“ კვლავ მიუახლოვა პირველ დივიზიონს. თუ პრემიერლიგის ცხრილს გადავხედავთ, მე-12 საფეხურზე მყოფი „ქოვენთრიდან“ მოყოლებული (29 ქულა) ყველა დანარჩენი გავარდნის კანდიდატია. „ნიუკასლს“, „უიმბლდონსა“ და „საუთჰემპტონს“ 28-29 ქულა აქვთ, თანაც მარიან პახარსის გუნდს ერთი თამაში დარჩა მარაგში. მე-17 ადგილზეა „დერბი“ 24 მატჩიდან 24 ქულით. ლონდონელი „მეთოფეების“ დამარცხებამ „ბრედფორდს“ საშუალება მისცა, ქინქლაძის გუნდს გათანაბრებოდა. ცხრილს კი „შეფილდი“ (17 ქულა) და „უოტფორდი“ (14 ქულა) ასრულებენ.

შაბათს განახლებულ ბუნდესლიგაში ორმა ქართველმა იასპარეზა და მიუხედავად იმისა, რომ „ფრაიბურგმა“ მოიგო, იაშვილისა და კობიაშვილის თამაშით მედია კმაყოფილი არ დარჩენილა. იაშკას დაბრუნება „კიკერმა“ 4,5-ით შეაფასა, ეს ფეხბურთელისთვის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შეფასებაა წლევანდელ ბუნდესლიგაში, თუმცა მე-7 ტურში მას „5“-იც დაუწერეს. კობიაშვილმა კი საშუალო „3“ დაიმსახურა. ერთ-ერთ კონკურენტ „ულმის“ დამარცხება მე-12 ადგილზე აღზევებულმა „ფრაიბურგმა“ ტუნისელი სლიმანის დუბლით მოახერხა.

თავის მე-7 შეხვედრაში მე-5 გოლი გაიტანა ჩვენმა იმედმა ლაშა ჯაკობიამ. „ვეზეტი“ გამოცდილ „ოსტენდეს“ შეხვდა და მე-7 წუთზე ქართველის გოლით დაწინაურდა. 66-ე წუთზე მასპინძლებს დე კლერკი გაუგდეს და თითქოს „ვეზეტს“ უპრობლემოდ უნდა მოეგო, მაგრამ „ოსტენდმ“ მატჩის მიწურულს ორი ბურთი გაიტანა.

„პანახაიკს“ დაუბრუნდა გოდერძი ნატროშვილი და პატრელებმა ფრე გაახერხეს სტუმრად „იონიკოსთან“. ქებაძის დებიუტი „ირაკლისში“ გადაიდო, თავად სალონიკელებმა კი ათენში „აპოლონთან“ 0:1 წააგეს.

ისრაელში ორივე ქართველის გუნდმა ფრედ ითამაშა, რაც მათთვის კარგი შედეგი გამოდგა. გახოკიძის „მაკაბიმ“ ლიდერობა შეინარჩუნა, დარასელიას „ქვარ-სავა“ კი ცხრილის შუაწელში მყოფ გუნდებს შეუერთდა.

ნაკრებში გამოძახების გამო ამ ტურის გამოტოვება მოუხდათ ქეცბაიას, შეყილაძესა და არჩილ არველაძეს. შოთას ტყუპისცალის გუნდმა ამჯერადაც მოიგო და „ზოლესთან“ ერთად ლიდერობს ჰოლანდიის მეორე დივიზიონს.

სიმონ მენაგდე

ზესონოვი კმაყოფილია

დარასელია ცსკამ ესპანეთში გაიყოლა

ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ უმცროსი ვიტალი დარასელია მოედანს დაუბრუნდა. უკრაინის უმაღლესი ლიგის ბინადრის, კიევის ცსკა-ს ქართველმა ნახევარმცველმა ტრავმა მოიშუშა და გუნდთან ერთად ინტენსიურ მზადებას შეუდგა.

ვიტალის სრულად გამოჯანმრთელება კლუბის სასეზონო მზადების მეორე უცხოურ შეკრებას დაემთხვა. მანამდე კი ვლადიმერ ბესონოვის შეგირდებმა სლოვაკეთის მთიან რეგიონში დაჰყვეს 10 დღე და რამდენიმე საკონტროლო მატჩიც გამართეს.

კიეველებმა ამ დღეებში 2 კვირით ესპანეთს მიაშურეს. პირინეის ნახევარკუნძულზე გამგზავრებულ, სლოვაკეთში ნამყოფ ფეხბურთელთა კონტინგენტს მხოლოდ ვიტალი დარასელია დაემატა.

წასვლამდე კლუბის თავკაცმა კმაყოფილება გამოთქვა ჩვენებურის მდგომარეობით: „მეორე შეკრებაზე გუნდს ერთი ფეხბურთელი, ვიტალი დარასელია შეუერთდა. მას ტრავმის გამო გასულ სეზონში ფაქტობრივად არ უთამაშია, მკურნალობდა. სლოვაკეთშიც ვერ წავიყვანეთ. დარასელია კიევში დარჩა და ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. ვფიქრობ, ესპანეთში სრული დატვირთვით მოემზადება და გუნდის სათამაშო სქემასაც მოერგება“ — თქვა ვლადიმერ ბესონოვმა.

ესპანეთში კიეველებმა ერთი საკონტროლო შეხვედრა უკვე გამართეს მესამელიგელ „პალამოსთან“ და 2:0 მოიგეს. დარასელია მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა.

ხვიჩა სანიკიძე

სხვა სტანდარტის ვეზეტელი

წინა კვირის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი ბელგიის ლიეჟის „სტანდარტის“ თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია გახდა. „სარბიელის“ ამგვარი გადაწყვეტილება სრულიად ლოგიკური იყო. მეორე დივიზიონის „ვეზეტში“ განათხოვრებულმა ჯაკობიამ „ტირლემონტთან“ შეხვედრაში დუბლისა და 2 საგოლე პასის გაკეთება შეძლო. ამ გამარჯვებამ მის გუნდს საშუალება მისცა, სეზონში პირველი ცხრილის ბოლო საფეხურიდან ერთით აეცაცვლა.

ლაშამ მომდევნო ტურშიც გამოიჩინა თავი — „ოსტენდესთან“ საგარეო მატჩში თანაგუნდელები დააწინაურა, თუმცა „ვეზეტმა“ ბოლო წუთებში უპირატესობა გაანიავა და 1:2 დამარცხდა. გუშინ ლიეჟში ლაშა ჯაკობიას დაუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამყვანი ლაშა ჯაკობია

ბაბრი ძმილაძის ფოტო

— რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ „ვეზეტმა“ მეორე დივიზიონში ადგილის შენარჩუნება შეძლოს?

— ამის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება. „ოსტენდესთან“ მართლაც დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. ახლა ცხრილში უახლოეს მეტოქეს 10 ქულით ჩამოვრჩებით. მომავალ კვირას ლიეჟური დერბი გველის და იმედია, მოვიგებთ. სეზონის დამთავრებამდე კიდევ 13 ტური დარჩა და როგორმე უნდა მოვახერხოთ სახიფათო ზონიდან გაღწევა.

— ფორმაში თუ ხართ?

— როგორ გითხრათ, ნორმალურად ვთამაშობ. ბოლო 7 მატჩში 5 გოლი გავიტანე...

— „სტანდარდიდან“ თუ გეხმიანებიან?

— რა თქმა უნდა. მწვრთნელები „ვეზეტის“ ყველა შეხვედრას ესწრებიან დიდი ყურადღებით გვაკვირდებიან. ჩემით კმაყოფილები არიან. სეზონის ბოლოს ისევ თავისთან მიხმობენ და ვნახოთ, „სტანდარდშიც“ თუ მომეცემა თავის გამოჩენის შანსი.

— იქნებ კვლავაც გაგანათხოვრონ „ვეზეტზე“ უკეთეს კლუბში?

-- არც ამის გამორიცხავ, თუმცა კონკრეტული წინადადებით არ მოუმართავთ.

— ახალგაზრდული ნაკრებებიდან თუ დაგიკავშირდნენ?

— ვიცი, რომ აპრილში საფრანგეთის ტურნირზე გვიწევს ასპარეზობა. თითოეული წევრის გამოძახება მწვრთნელის გადასაწყვეტია. იმედიანად ვარ განწყობილი, წესით, მეც უნდა მიმიწვიონ.

ხვიჩა სანიკიძე

ვალი წყალზე შარქსია

ალაზანსაც ახრჩობს

საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგას შეთხელება ემუქრება. სფფ-ს გადაწყვეტილებით, გურჯაანის „ალაზანი“ და ტყიბულის „მეშახტე“ ჩემპიონატიდან მოკვეთის საფრთხის წინაშე დგანან. მიზეზი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ფულია, უფრო სწორად, უფულობა. როგორც ჩანს, „ალაზანს“ და „მეშახტეს“ ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო თანხა — 5000 ლარი ადევთ ვალად. ვალს კი გადახდა უნდა და სფფ-მაც ზომები მიიღო — ეს ორი კლუბი ჩემპიონატიდან მოიხსნება, თუ ამა წლის 20 თებერვლამდე ვალს არ დაფარავს.

ამ განცხადებით სფფ-მ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართულ ფეხბურთში ყველაფერი ჩალით არის დახურული. ფედერაციამ დაივიწყა დებულება და უხეშად დაარღვია თავისივე მიღებული რეგლამენტი. ხმამაღლა ნათქვამი რომ არ გამომივიდეს, სჯობს, ფაქტებს მივყვეთ.

„1999 წლის 9 სექტემბერს რეგიონალურ ლიგაში რეგისტრაცია გაიარა ორმოცდაექვსმა გუნდმა. აქედან ოცდაორი აღმოსავლეთის იყო, დანარჩენი — დასავლეთის. ორმოცდაექვსიდან ოცდახუთმა კლუბმა საწევრო შესატანი სრულად გადაიხადა, დანარჩენებმა — ნაწილობრივ. სფფ-მ განიხილა ამ უკანასკნელთა თხოვნა დარჩენილი თანხის დაფარვის გადავადების შესახებ და საწევროს გადახდის ვადა პირველ ოქტომბრამდე გაგრძელა“... — ნაწყვეტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან.

ეს ინფორმაცია სფფ-ს პრესცენტრმა 10 სექტემბერს მოგვაწოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ „ალაზანიც“ და „მეშახტეც“ იმ კლუბების კატეგორიაში მოხვდნენ, რომლებმაც თანხა ნაწილობრივ გადაიხადეს. გუშინ კი სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის განცხადებით გაირკვა რომ ამ ორ კლუბს ერთი თეთრიც არ გაუღია და იმიტომაც დგანან ჩემპიონატიდან მოკვეთის საფრთხის წინაშე. გამოდის, რომ ან სფფ-მ ეს ფაქტი დამალა (რადგან მისი პრესცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში არაფერს იუწყებიან ამის შესახებ), ანაც საშეჯიბრო კომიტეტი ცდება.

მივყვეთ სფფ-ს ოფიციალურ განცხადებას: „ა. წ. 12 აგვისტოს №130 ბრძანების თანახმად რეგიონალურ ლიგაში ერთ მატჩზე მსაჯთა ბრიგადის ანაზღაურება 530 ლარს შეადგენს. გუნდების მძიმე ფინანსური მდგომარეობის და იმის გათვალისწინებით, რომ მათ საწევროს ნაწილი შემოიტანეს, სფფ-მ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: 1. გუნდები, რომელთაც სრულად გადაიხადეს საწევრო (5000 ლარი), თავისუფლდებიან მსაჯთა ბრიგადის ანაზღაურებისგან სეზონის ბოლომდე. 2. მასპინძელმა გუნდებმა, რომელთაც საწევრო ნაწილობრივ გადაიხადეს, მატჩების დაწყებამდე 24 საათით ადრე სფფ-ს სალაროში უნდა შეიტანონ 530 ლარი, სანამ საწევრო დავალიანებას სრულად არ დაფარავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსაჯთა ბრიგადა თამაშზე არ გამოცხადდება, მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება მატჩზე არ გამოცხადება და სფფ-ს სადისციპლინო კოდექსის პირველი მუხლის მეოთხე პარაგრაფის თანახმად გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან“...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

დღეს სფფ ულტიმატუმს უყენებს „ალაზანს“ და „მეშახტეს“ მაშინ, როდესაც ორივე გუნდი ზემოთმოყვანილი განცხადების მეორე პარაგრაფის თანახმად კარგა ხნის წინ იყო მოსახსნელი საკითხავი ის არის, რისთვის დაინდო სფფ-მ მაშინ ეს ორი კლუბი და დღეს რატომ უჭერს ასე მარწუხებს.

და ერთიც, მოვალე კაცის გასაჭირის ამბავი არ უნდა იყოს ფედერაციისთვის უცნობი და კარგი იქნება, თუ ქართული ფეხბურთის მამები კიდევ ერთხელ გაიხსენებენ თავიანთ ჰუმანურ მისიას — გაითვალისწინებენ გუნდების მძიმე ფინანსურ მდგომარეობას.

პაატა კვანტალიანი

მერანმა წონაში მოიმატა

ავჭალელები სამეორეტაპო სამზადისს განაგრძობენ და საწვრთნელ-საკონტროლო მატჩებსაც მართავენ. გუშინ „მერანი“ დიღმის ბაზაზე თბილისის „დინამოს“ დაუპირისპირდა. მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა.

ამ შეხვედრაში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელიამ ახლახან დამატებული გიორგი ილურიძე, დავით ბოლქვაძე და ოთარ აბულაძეც ათამაშა.

გიორგი ილურიძე და ოთარ აბულაძე მერანელებმა კასპის „განთიადიდან“ გადმოიყვანეს. დავით ბოლქვაძე ბოლოს ლანჩხუთის „გურიაში“ თამაშობდა, მოსამზადებელ ციკლს კი „თბილისში“ გადიოდა.

„მერანს“ კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს — ავთანდილ ხორხელი. იგი ზემოხსენებულ სამეულზე ბევრად უფრო გამოცდილია და საქართველოს ჩემპიონატშიც არაერთი მატჩი ჩაუტარებია. იგი გუნდის ახალწვეულად შეიძლება არც ჩაითვალოს, რადგან პირველ ეტაპზე კლუბის განაცხადში იყო შეყვანილი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ერთი წუთიც არ უთამაშია. მართალია, ხორხელს „დინამოსთან“ გუშინდელ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად „მერანს“ ნამდვილად დაეხმარება.

ვანო ოქროპირიძე

კოლხეთმა დუგლეგით 1:2 წააგო

გუშინ ბულგარულ ნესებრში შეკრებაზე მყოფმა ფოთის „კოლხეთმა“ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა, ისევ უკრაინულ „პოლიგრაფტეხნიკასთან“ და ამჯერად 1:2 წააგო. ფოთელები დაპირებისამებრ მეტოქეს მეორე შემადგენლობით ეთამაშნენ: ქვაჩახია, გ. ჩიტაია, ბურკაძე, ქუნთელია, პაპავა, ანჯაფარიძე, მ. ქობულაძე, კვირკველია, ჯღარკავა, კრასოვსკი, რ. ახალკაცი.

ფოთელთა მწვრთნელ გია ტყებუჩავას არავინ შეუცვლია, თავი კი ახალწვეულ რომან ახალკაცს გამოუჩენია მე-60 წუთზე, როდესაც „კოლხეთი“ 0:2 აგებდა.

— თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით რა თქმა უნდა, არა. ორი დასანანი შეცდომა დავუშვით დაცვაში და ორჯერვე დაგვსაჯეს. მეტოქემ ძირითადი გუნდის 6 ფეხბურთელი ათამაშა. გადაწყვეტილია, დონეცკის „შახტარს“ არ შევხვდებით — გვითხრა გია ტყებუჩავამ წუხანდელი სატელეფონო საუბრისას.

დღეს „კოლხეთი“ რუსეთის პირველლიგელ სტავროპოლის „დინამოს“ ხვდება.

გიორგი ვაშაკიძე

საშუალოზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი)	გ. გოგოლაძე, თაგბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი)	ქოზმეთუსფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2
დინამო *თიმარ კირკლიძე*	აშვეთია (ალანია, რუსეთი), აღექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქაშვილი (ბელასიცა, პეტრონი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (ანჟი, რუსეთი)	ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე , ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერსიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფასმიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), ჩხეიძე (?)	ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგდინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ჭოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დ. გოგოლაძე, დავითნიძე (?)	მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი)	პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაშიმიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?)	ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი)	რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ)	ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო)	ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენდიქსფორი (თურქეთი) 3:1
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი)	მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი)	ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3
დილა *მერაბ კოჭლაშვილი*	გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სოლოლაშვილი, შატაკიშვილი (ლადა ტოლიატი ვაზ, რუსეთი)	საყვარელიძე (დილას სკოლა)	ვიტ ჯორჯია 0:1, მერანი 0:0, ლოკომოტივი 3:1
იბერია *სოსო ფრუიძე*	კ. მეტრეველი (დნეპრ ან ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა)		

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ნემსაძე, გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნიფნივაძე (არსენალი), დოლაბერიძე (?)	ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი)	დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1
გორდა *ალანი ალადაშვილი*		კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური (ხალიბი)	ხალიბი 4:3, 3:2
თსუ *თენგიზ კაცია*	მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრონი, ბულგარეთი)	მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ჭოხონელიძე (კოლხეთი)	ვიტ ჯორჯია 4:6
მერანი *სერგო გაბელია*	ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი)	კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქოიავა (არაგვი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), თ. დოლიძე, მოსულიშვილი, ხორხელი (?)	ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0, დილა 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0
თბილისი *რამაზ შუქლაძე*	ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია)	გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალია (თბილისი 2), ლუდუშაური (არ თამაშობდა)	
საქგურალი *ალანი ბზიაძე*	ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე)	კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა)	
ხობი *უეშვრთნელოდ*	ლ. გეგა ბავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?)		
არსენალი *ჯონი ჯანელიძე*	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დათხოვეს)	ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნიფნივაძე (ლოკომოტივი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი)	სიონი 3:1, ვიტ ჯორჯია 1:2

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

საქართველოს ეროვნული ნაკრების

ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

27.05.90	ამ	საქართველო 2:2 ლიტვა გურული, კაჭარავა
02.07.91	ამ	მოლდოვა 2:4 საქართველო ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი ყაველაშვილი
02.09.92	ამ	ლიტვა 1:0 საქართველო
17.09.92	ამ	საქართველო 6:3 აზერბაიჯანი ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
22.12.92	ამ	კვიპროსი 1:0 საქართველო
25.05.93	ამ	აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
08.02.94	მტ	სლოვენია 1:0 საქართველო
10.02.94	მტ	მალტა 0:1 საქართველო ქეცბაია
12.02.94	მტ	ტუნისი 0:2 საქართველო ყაველაშვილი, კუდინოვი
23.02.94	ამ	ისრაელი 2:0 საქართველო
11.06.94	ამ	ნიგერია 5:1 საქართველო რ. არველაძე
26.06.94	ამ	ლატვია 1:3 საქართველო დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული
19.07.94	ამ	საქართველო 1:1 მალტა შ. არველაძე
07.09.94	ეწშმ	საქართველო 0:1 მოლდოვა
12.10.94	ეწშმ	ბულგარეთი 2:0 საქართველო
16.11.94	ეწშმ	საქართველო 5:0 უელსი ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
14.12.94	ეწშმ	ალბანეთი 0:1 საქართველო შ. არველაძე
29.03.95	ეწშმ	საქართველო 0:2 გერმანია
26.04.95	ეწშმ	საქართველო 2:0 ალბანეთი შ. არველაძე, ქეცბაია
07.06.95	ეწშმ	უელსი 0:1 საქართველო ქინქლაძე
06.09.95	ეწშმ	გერმანია 4:1 საქართველო ქეცბაია
11.10.95	ეწშმ	საქართველო 2:1 ბულგარეთი შ. არველაძე, ქინქლაძე
15.11.95	ეწშმ	მოლდოვა 3:2 საქართველო დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.)
27.03.96	ამ	კვიპროსი 0:2 საქართველო ქეცბაია, ჯამარაული
24.04.96	ამ	რუმინეთი 5:0 საქართველო
08.05.96	ამ	საბერძნეთი 2:1 საქართველო გოგრიჭიანი
01.09.96	ამ	ნორვეგია 1:0 საქართველო
09.10.96	მწშმ	იტალია 1:0 საქართველო
09.11.96	მწშმ	საქართველო 0:2 ინგლისი
05.12.96	ამ	ლიბანი 4:2 საქართველო იაშვილი, კიკნაძე
08:12.96	ამ	ლიბანი 3:2 საქართველო გახოკიძე, ცქიტიშვილი
30.03.97	ამ	საქართველო 7:0 სომხეთი შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2, ქინქლაძე, ყაველაშვილი
30.04.97	მწშმ	ინგლისი 2:0 საქართველო
07.06.97	მწშმ	საქართველო 2:0 მოლდოვა შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97	მწშმ	პოლონეთი 4:1 საქართველო შ. არველაძე
10.09.97	მწშმ	საქართველო 0:0 იტალია
24.09.97	მწშმ	მოლდოვა 0:1 საქართველო ქეცბაია
11.10.97	მწშმ	საქართველო 3:0 პოლონეთი ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
06.02.98	მტ	საქართველო 2:1 ლატვია ჯამარაული 2
08.02.98	მტ	საქართველო 3:0 ალბანეთი ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
10.02.98	მტ	საქართველო 3:1 მალტა ყაველაშვილი 2, ჯამარაული
02.05.98	ამ	ტუნისი 1:1 საქართველო ქინქლაძე
30.05.98	ამ	საქართველო 1:1 რუსეთი ზ. ჯანაშია
12.08.98	ამ	აზერბაიჯანი 1:0 საქართველო
19.08.98	ამ	უკრაინა 4:0 საქართველო
05.09.98	ეწშმ	საქართველო 1:0 ალბანეთი ა. არველაძე
10.10.98	ეწშმ	ლატვია 1:0 საქართველო
14.10.98	ეწშმ	საბერძნეთი 3:0 საქართველო
18.11.98	ამ	საქართველო 3:1 ესტონეთი აშვეთია 2, დ. ჯანაშია
20.03.99	ამ	საქართველო 0:1 უკრაინა
27.03.99	ეწშმ	საქართველო 1:1 სლოვენია ზ. ჯანაშია
28.04.99	ეწშმ	საქართველო 1:4 ნორვეგია ზ. ჯანაშია
30.05.99	ეწშმ	ნორვეგია 1:0 საქართველო
05.06.99	ეწშმ	საქართველო 1:2 საბერძნეთი ქეცბაია
04.09.99	ეწშმ	სლოვენია 2:1 საქართველო შ. არველაძე
08.09.99	ეწშმ	საქართველო 2:2 ლატვია შ. არველაძე, ყაველაშვილი
09.10.99	ეწშმ	ალბანეთი 2:1 საქართველო შ. არველაძე
04.02.00	კტ	რუმინეთი 1:1 (4:2პ) საქართველო ქეცბაია
06.02.00	კტ	საქართველო 2:1 სომხეთი ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი

სულ: 59 თამაში, 21 მოგება, 8 ფრე, 30 წაგება, ბურთები 79:88

ამ - ამხანაგური მატჩი, ეწშმ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მწშმ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

სახელი	გვარი	პოზიცია	დაბადების თარიღი	კლუბი	ამხანაგური მატჩი				ევრო 96-ის მატჩი				მსოფლიო 98-ის მატჩი				ევრო 2000-ის მატჩი				თამაში			
						გოლი	გაფრთხილება	გაძევება		გოლი	გაფრთხილება	გაძევება		გოლი	გაფრთხილება	გაძევება		გოლი	გაფრთხილება	გაძევება		გოლი	გაფრთხილება	გაძევება
გიორგი	ნემსაძე	ნ	10.05.72	დინამო	24	0	4	0	5	0	2	0	7	0	3	0	9	0	3	0	45	0	12	0
გოჩა	ჯამარაული	ნ	23.07.71	ციურიხი, შვეიცარია	20	5	2	0	6	0	0	0	6	0	0	0	9	0	1	0	41	5	3	0
თემურ	ქეცბაია	ნ	18.03.68	ნიუკასლი, ინგლისი	16	5	4	0	7	4	1	0	8	2	0	0	6	1	1	0	37	12	6	0
გიორგი	ქინქლაძე	ნ	06.07.76	დერბი ქაუნთი, ინგლისი	14	2	0	0	9	3	1	0	7	1	1	1	4	0	0	0	34	6	2	1
შოთა	არველაძე	თ	22.02.73	აიაქსი, ჰოლანდია	12	5	0	0	10	4	0	0	6	2	0	0	5	3	0	0	33	14	0	0
მიხეილ	ყაველაშვილი	თ	22.07.71	ციურიხი, შვეიცარია	15	6	3	0	6	0	0	0	4	0	1	1	6	1	2	0	31	7	5	1
მურთაზ	შელია	მ	25.03.69	უგუნდო	13	0	4	0	9	0	2	0	6	0	1	0	1	0	0	0	29	0	7	0
კახა	გოგიჩაიშვილი	ნ	31.10.68	უგუნდო	11	1	1	0	9	0	1	0	6	0	0	0	0	0	0	0	26	1	2	0
კახა	ცხადაძე	მ	07.09.68	მანჩესტერ სიტი, ინგლისი	13	0	3	0	5	0	2	0	7	1	0	0	0	0	0	0	25	1	5	0
ლევან	კობიაშვილი	მ	10.07.77	ფრაიბურგი, გერმანია	9	0	0	0	0	0	0	0	5	0	1	0	9	0	1	0	23	0	2	0
გიორგი	ჩიხრაძე	მ	01.10.67	ლოკომოტივი	8	0	1	0	9	0	2	1	5	0	0	0	0	0	0	0	22	0	3	1
არჩილ	არველაძე	თ	22.02.73	ბრედა, ჰოლანდია	7	2	1	0	4	0	0	0	6	1	0	0	4	1	0	0	21	4	1	0
კახა	კალაძე	მ	22.02.78	დინამო, კიევი, უკრაინა	9	0	1	0	0	0	0	0	3	0	0	1	9	0	3	0	21	0	4	1
დიმიტრი	კუდინოვი	მ	08.02.63	თამაში მიატოვა	12	1	2	0	7	0	1	0	1	0	1	0	0	0	0	0	20	1	4	0
გელა	შეყილაძე	მ	14.09.70	ლიერსი, ბელგია	9	0	1	0	0	0	0	0	3	0	1	0	6	0	1	0	18	0	3	0
ლევან	ცქიტიშვილი	მ	10.10.76	ფრაიბურგი, გერმანია	9	1	0	0	2	0	0	0	0	0	0	0	5	0	2	0	16	1	2	0
ირაკლი	ზოიძე	მკ	21.03.69	ჟალგირისი, კაუნასი, ლიტვა	8	-8	0	0	3	-5	0	0	5	-9	0	0	0	0	0	0	16	-22	0	0
აკაკი	დევაძე	მკ	28.11.71	უგუნდო	8	-11	0	0	7	-8	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	15	-19	1	0
გიორგი	გახოკიძე	ნ	09.11.77	მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი	7	1	1	0	0	0	0	0	3	0	1	0	3	0	0	0	13	1	2	0
ნუგზარ	ლობჟანიძე	მ	07.09.71	უგუნდო	6	0	1	0	1	0	0	0	6	0	3	0	0	0	0	0	13	0	4	0
გიორგი	კიკნაძე	ნ	26.04.76	ალანია, რუსეთი	6	1	0	0	0	0	0	0	3	0	0	0	2	0	1	0	11	1	1	0
ზაზა	რევიშვილი	მ	23.09.68	თამაში მიატოვა	7	0	1	0	4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	11	0	1	0
გივი	დიდავა	მ	26.03.76	დინამო	5	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	6	0	1	0	11	0	2	0
ნიკოლოზ	ტოგონიძე	მკ	26.04.71	ბათუმი	6	-9	2	0	0	0	0	0	3	0	0	0	2	-4	0	0	11	-13	0	0
დავით	გვარამაძე	მკ	08.11.75	კრილია სოვეტოვი, რუსეთი	5	-5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	6	-8	0	0	11	-13	0	0
დავით	ჯანაშია	თ	07.08.72	ტორპედო	8	2	2	0	1	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	10	3	2	0
რევაზ	არველაძე	ნ	15.09.69	დინამო	7	1	0	0	2	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	10	1	0	0
გელა	ინალიშვილი	ნ	03.10.66	თამაში მიატოვა	4	0	0	0	6	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	10	0	0	0
გიორგი	დემეტრაძე	თ	26.09.76	დინამო, კიევი, უკრაინა	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5	0	0	0	10	0	0	0
გოჩა	გოგრიჭიანი	თ	12.08.64	ნ.ნოვგოროდი, რუსეთი	3	1	1	0	3	1	0	0	3	0	0	0	0	0	0	0	9	2	1	0
გიორგი	დარასელია	ნ	17.09.68	ჰაპოელი, ქვარ საკა, ისრაელი	7	2	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	9	2	0	0
დავით	ყიზილაშვილი	თ	12.12.70	თამაში მიატოვა	8	2	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9	2	0	0
გია	ჯიშკარიანი	ნ	30.11.67	თამაში მიატოვა	9	1	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	9	1	1	0
ბესიკ	ბერაძე	მ	20.02.68	ლოკომოტივი	5	0	0	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	8	0	0	0
გიორგი	ღუდუშაური	ნ	18.02.73	თბილისი	4	0	0	0	3	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	8	0	0	0
მამუკა	წერეთელი	მ	17.01.79	ალანია, რუსეთი	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	6	0	2	1	8	0	2	1
ლევან	სილაგაძე	მ	04.08.76	ალანია, რუსეთი	7	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	8	0	1	0
ალექსანდრე	იაშვილი	თ	23.10.77	ფრაიბურგი, გერმანია	6	2	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	7	2	1	0
ზაზა	ჯანაშია	თ	10.02.76	ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი	3	2	1	0	0	0	0	0	1	0	0	0	3	2	1	1	7	4	2	1
მიხეილ	აშვეთია	თ	10.11.77	ალანია, რუსეთი	4	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	6	2	0	0
კახა	სიდამონიძე	მ	17.04.71	სიონი	5	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5	0	0	0
გია	გურული	თ	20.05.64	თამაში მიატოვა	2	1	0	0	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	4	1	1	0
რატი	ალექსიძე	თ	08.09.78	ჩელსი, ინგლისი	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	4	0	0	0
ვალტერ	გუჩუა	მ	06.07.75	დინამო	2	0	1	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	4	0	1	0
დავით	ცომაია	ნ	04.09.67	განთიადი	4	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4	0	1	0
ზურაბ	ფოფხაძე	მ	02.06.72	კრილია სოვეტოვი, რუსეთი	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	4	0	1	0
გიორგი	კილასონია	ნ	09.09.68	უგუნდო	1	0	0	0	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4	0	0	0
თენგიზ	სიჭინავა	ნ	15.05.72	დინამო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0	4	0	0	0
მიხეილ	ფოცხვერია	თ	12.08.75	შახტარი, უკრაინა	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	4	0	0	0
სოსო	გრიშიკაშვილი	მკ	21.12.72	დინამო	3	-2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	-1	0	0	4	-3	0	0
კახა	კაჭარავა	თ	19.09.66	უგუნდო	3	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	2	0	0
მიხეილ	ჯიშკარიანი	თ	01.11.69	სოკოლი, სარატოვი, რუსეთი	2	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	3	1	0	0
მამუკა	მაჭავარიანი	მ	27.11.70	თბილისი	1	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
ვასილ	სეფაშვილი	თ	17.02.69	სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
თემურ	ტუღუში	თ	24.02.72	ბათუმი	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
ზვიად	ჯელაძე	მ	16.12.73	ლოკომოტივი, ს.პ. რუსეთი	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
მელორ	ბიგვავა	თ	17.01.63	? გერმანია	3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	0	0
დავით	ჭიჭვეიშვილი	ნ	23.01.75	ალანია, რუსეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	1	0	3	0	1	0
გია	ჩხაიძე	მ	23.02.70	ალანია, რუსეთი	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	3	0	1	0
გიორგი	ბალაშვილი	მ	07.08.73	ლოკომოტივი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0	3	0	1	0
ზურაბ	მენთეშაშვილი	ნ	30.01.80	სკონტო, ლატვია	2	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	1	0	0
მერაბ	ძოძუაშვილი	თ	04.11.80	ლოკომოტივი	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
კახა	კვეტენაძე	ნ	03.06.70	ტორპედო	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
ვაჟა	თარხნიშვილი	მ	26.08.71	შერიფი, მოლდოვა	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
შალვა	ხუჯაძე	მ	05.10.75	ბათუმი	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	0	0
ზურაბ	ხიზანიშვილი	მ	06.10.81	დინამო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	2	0	0	0
ბადრი	ახვლედიანი	მ	19.10.70	ტორპედო	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0	2	0	1	0
რევაზ	ქეშოკლიძე	მ	13.03.79	დინამო	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	0	1	0
დავით	ჯანელიძე	მკ	09.02.73	არსენალი	2	-3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2	-3	0	0
მალხაზ	არზიანი	მ	15.08.64	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ასლან	ბალაძე	მკ	18.04.60	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
იური	გაბისკირია	ნ	01.09.68	ყუბანი, რუსეთი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ირაკლი	გემაზაშვილი	მ	06.07.77	უგუნდო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გოჩა	გუჯაბიძე	მ	07.07.71	თამაში მიატოვა	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	დავითნიძე	მ	18.07.78	კოლხეთი	1	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	1	0
ირაკლი	ვაშაკიძე	მ	13.03.76	დინამო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
როსტომ	თორლაშვილი	ნ	15.12.64	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ზურაბ	იონანიძე	თ	02.12.71	ტორპედო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გელა	კეტაშვილი	მ	27.09.65	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ოთარ	კორღალიძე	თ	02.09.60	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
თემურ	კაბისაშვილი	მ	13.09.67	ირისტონი, რუსეთი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	თ	02.11.78	მეტალურგი, ზაპორ. უკრაინა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
მერაბ	კაციტაძე	მ	25.02.63	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	მეგრელაძე	თ	21.07.78	ტორპედო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ლაშა	მონასელიძე	ნ	02.01.77	კრილია სოვეტოვი, რუსეთი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ამირან	მუჯირი	ნ	20.02.74	ბათუმი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
დავით	მუჯირი	ნ	02.01.78	შერიფი, მოლდოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	ნადირაძე	მ	11.02.68	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	რევაზიშვილი	ნ	31.03.77	შერიფი, მოლდოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	ნ	06.08.74	სკონტო, რიგა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0
გოჩა	ტყებუჩავა	მ	24.11.63	ჰაკაახი, რამათ განი, ისრაელი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
მამუკა	ფანცულაია	თ	09.02.67	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გია	ფირცხალავა	მ	03.01.65	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	ჭანკოტაძე	მ	04.10.77	ვიტ ჯორჯია	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
სოსო	ჭედია	ნ	09.10.65	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	ყიფიანი	ნ	12.08.78	ვიტ ჯორჯია	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
დავით	ჩალაძე	თ	22.01.76	სკონტო, ლატვია	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
გოჩა	ჩიქოვანი	მ	12.10.62	თამაში მიატოვა	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
კახა	ჩხეტიანი	ნ	24.02.78	ტორპედო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ნიკოლოზ	ჩხეიძე	მკ	29.04.68	უგუნდო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ვახტანგ	ხვადაგიანი	მ	04.04.72	ტორპედო	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0
ოთარ	ხიზანეიშვილი	მ	26.06.81	დინამო	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	1	0	0	0
გიორგი	ლომაია	მკ	08.08.79	ლოკომოტივი	1	-1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	-1	0	0
გრიგოლ	ჭანტურია	მკ	25.09.73	ტორპედო	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	-2	0	0	1	-2	0	0
დავით	ასლანაძე	მკ	16.11.76	ლოკომოტივი	1	-4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	-4	0	0

დონ სილვიომ ხელთათმანი ისროლა

მილანი 454 მილიონს ჩამოდის

იტალიური სუპერკლუბი „მილანი“, უფრო ზუსტად, მისი მფლობელი სილვიო ბერლუსკონი, როგორც ჩანს, ბევრ ფულს შეუწუხებია. დონ სილვიომ ახალი სეზონისთვის არც მეტი, არც ნაკლები, 454 მილიონი (!) დოლარი გამოყო.

გუშინ „მილანის“ ოფიციალურ საინტერნეტო გვერდზე იმ ფეხბურთელთა სიას გავეცანით, რომელთა შეძენაც იტალიურმა სუპერკლუბმა ახალი საფეხბურთო სეზონისთვის განიზრახა. „მილანი“ გაძლიერებას ლამობს და ბერლუსკონიც შვილობილისთვის არაფერს (თანხებს) არ იშურებს.

„სან სიროს“ („მილანის“ სტადიონია) ბინადართ განსაკუთრებით ორი არგენტინელი ჭაბუკი, ორივე ფორვარდი, 18 წლის ხავიერ სავიოლა და 19 წლის პაბლო აიმარი მოსვლიათ თვალში. გაინტერესებთ, რამდენის გადახდაზეა ყაბულს ბერლუსკონი? 80 მილიონ დოლარს სთავაზობს იტალიური გრანდი არგენტინულ „რივერ პლეიტს“. არგენტინელებს სულ რაღაც 10 მილიონით ჩამორჩება იტალიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, „ბარის“ 18 წლის ფორვარდი ანტონიო კასანო. მერე 25 მილიონ დოლარად (თითოეული) შეფასებული „პარმას“ ფრანგი მცველი ლილიან ტურამი და არგენტინული „ბოკა ხუნიორსის“ 21 წლის გამოცდილებული ხუან რამონ რიკელმე მოდიან. ბოლო, ვინც ოც მილიონზე ზემოთ არის შეფასებული, ფრანგული „მონაკოს“ თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგეა. „მილანს“ მისი შეძენა 23 მილიონად სურს. ერთი სიტყვით, „მილანი“ ძირითად აქცენტს, როგორც ჩანს, მაინც არგენტინელებზე და ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს. გუნდში ხომ უკვე ოთხი არგენტინელია: ანდრეს გულიელმინ-პიეტრო, რობერტო აიალა და ახლახან შეძენილი მცველები — ხოსე ანტონიო შამოტი მადრიდის „ატლეტიკოდან“ და ფაბრიციო კოლოჩინი „ბოკა ხუნიორსიდან“. ალბათ „მილანის“ დევიზია ასეთი, დავეწიოთ და გავუსწროთ რომის „ლაციოს“, რომელთა რიგებშიც ხომ ოთხი არგენტინელია (ვერონი, სიმეონე, ალმეიდა და სენსინი).

— „მილანი“ და სხვა იტალიური გრანდები ყურადღებით აკვირდებიან სავიოლასა და აიმარს, თუმცა „როსსო-ნეროებმა“ უკვე დაასახელეს თანხა, რომელსაც „ბოკა ხუნიორსს“ უხდიან. 80 მილიონი დოლარი“ — წერია შავ-წითელთა ოფიციალურ საიტში.

ქვემოთ „მილანში“ მოსალოდნელ ტრანსფერთა სრულ სიას გაეცნობით, ამათ გარდა კი მილანელები კიდევ რამოდენიმეს აკვირდებიან. ალბათ თქვენც დაგებადათ კითხვა — კი მაგრამ, რაში სჭირდებათ ამდენი ფეხბურთელი? გასაგებია, სუპერკლუბებს, რომელთაც თითქმის ყოველდღე უწევთ თამაში, სასურველია ორი სრულფასოვანი გუნდი ჰყავდეს, მაგრამ მედალს ხომ მეორე მხარეც აქვს — თავად მოთამაშე რას ფიქრობს საფეხბურთო კარიერაზე. თუ მხოლოდ ფულია მთავარი და მეტი არაფერი.

ვის აკვირდებიან კიდევ მილანელები? ესენი არიან: „კალიარის“ ფრანგი ცენტრალური მცველი, 21 წლის ჯონათან ძებინა, „პერუჯას“ ნახევარმცველი, 26 წლის მარკო მატერაცი, იმავე „კალიარის“ კიდევ ერთი მცველი 25 წლის ფაბიო მაჩელარი, რომლის გადაბირებასაც „მილანის“ გარდა, „რომა“, „იუვენტუსი“ და „ინტერი“ ცდილობენ.

ამ დღეებში მადრიდში ყოფილა „მილანის“ მწვრთნელ-სელექციონერი, იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ჩეზარე მალდინი. დონ ჩეზარეს „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი ბარაბა მოსწონებია და აღტაცებითაც უთქვამს, ჩინებული ფეხბურთელია. მილანელთა თვალთახედვის არეში კიდევ ორი ფორვარდია, არგენტინელი მარტინ პალერმო, რომელიც დღესდღეობით ტრავმირებულია და ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ ლიდერი, რუუდ ვან ნისტელროი. ჩვენდა სამწუხაროდ, „მილანის“ სატრანსფერო სიაში არ ფიგურირებს ჩვენებური კახა კალაძის გვარი.

...ამას წინათ ალბერტო ძაკერონის ლონდონური „ჩელსის“ მწვრთნელი, თვისტომი ჯანლუკა ვიალი შეეხმიანა, თქვენი კაპიტანი პაოლო მალდინი დამითმეო. „მილანს“ შორს დაუჭერია, არავითარ შემთხვევაში, ბოდიში, მაგრამ მალდინი ჩვენც ძალიან გვჭირდებაო. სანამ „ინტერი“ და „პარმა“ ერთმანეთში პაულო სოუზასა და მიკელე სერენას გაუცვლიდნენ, პარმელებს მილანელებმა შესთავაზეს, სერენა დაგვითმეთ, სანაცვლოდ კი ჩვენი დანიელი ნახევარმცველი თომას ჰელვეგი წაიყვანეთო. საბოლოოდ კი „პარმამ“, როგორც იცით, „ინტერის“ ვარიანტი ამჯობინა.

ხოლო რაც შეეხებათ სავიოლას და აიმარს... შედგება თუ არა 80 მილიონიანი ტრანსფერი, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტი კი ესაა, ბერლუსკონიმ ხელთათმანი ისროლა.

გიორგი ვაშაკიძე

„რივერ პლეიტის“ ვარსკვლავები: პაბლო აიმარი (№10) და ხავიერ სავიოლა

ქვეყანა, გუნდი		ასაკი	ამპლუა	თანხა (დოლარი)
პაბლო აიმარი	არგენტინა, რივერ პლეიტი	19	თავდამსხმელი	40 მლნ
ხავიერ სავიოლა	არგენტინა, რივერ პლეიტი	18	თავდამსხმელი	40 მლნ
ანტონიო კასანო	იტალია, ბარი	18	თავდამსხმელი	30 მლნ
ხუან რამონ რიკელმე	არგენტინა, ბოკა ხუნიორსი	21	ნახევარმცველი	25 მლნ
ლილიან ტურამი	საფრანგეთი, პარმა	27	მცველი	25 მლნ
დავიდ ტრეზეგე	საფრანგეთი, მონაკო	22	თავდამსხმელი	23 მლნ
რობერტო ბარონიო	იტალია, ლაციო	21	ნახევარმცველი	16 მლნ
მარსელო გალიარდო	არგენტინა, მონაკო	23	ნახევარმცველი	16 მლნ
პეტერ ლუძსენი	საფრანგეთი, მარსელი	20	ნახევარმცველი	15 მლნ
მარტინ ჯეტუ	საფრანგეთი, მონაკო	25	მცველი	15 მლნ
ფილიპ კრისტენვალი	საფრანგეთი, მონაკო	21	მცველი	10 მლნ
უილიამ გალასი	საფრანგეთი, მარსელი	21	მცველი	10 მლნ
კრისტიანო ლუკარელი	იტალია, ლეჩე	24	თავდამსხმელი	9 მლნ
ედუარდო გონსალესი	არგენტინა, როსარიო სენტრალი	18	ნახევარმცველი	7 მლნ
ედმუნდო	ბრაზილია, ვასკუ და გამა	27	თავდამსხმელი	2 მლნ

ფიფამ აზერბაიჯანი დაინდო

მეზობელ აზერბაიჯანულ ფეხბურთს პრობლემები შეექმნა. ფეხბურთის ფედერაციაში განხეთქილება მოხდა. ამბოხებულებს სპორტის მინისტრი, აბდულფაზ გარაიევი უმაგრებს ზურგს. ისინი დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნას ლამობენ. დაძაბულობამ პიკს მიაღწია და პრობლემის გადაჭრის გზებიც არ ჩანდა. ეს რამდენიმე დღის წინ იყო, რაზეც „სარბიელი“ უკვე წერდა.

საქმეში ფიფა ჩაერია და არბიტრის მისია იკისრა. მოდავეები გააფრთხილეს, პრობლემა მშვიდობიანად მოაგვარეთ, თორემ საფეხბურთო ოჯახიდან გარიცხვას ვერ ასცდებითო. ორშაბათს კი აბულფაზ გარაიევი ამბოხებულთა ერთ-ერთ მეთაურ ვიდადი ახმედოვთან ერთად ციურიხში ფიფას შტაბბინას ესტუმრა. მათ ფიფას ჩინოვნიკებთან ხანგრძლივად ისაუბრეს, რამაც შედეგი გამოიღო. შეთანხმდნენ, რომ გარაიევი და ახმედოვი ფედერაციის პრეზიდენტ ფუად მუსაევს შეხვდებიან და აზერბაიჯანული ფეხბურთისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებენ. სპორტის მინისტრის თქმით, 1 აპრილს ყრილობის მოწვევაა დაგეგმილი, სადაც ფედერაციის ხელმძღვანელთა ხელახალი არჩევის საკითხი დადგება კენჭისყრაზე.

ასე რომ, აზერბაიჯანი ფიფადან მოკვეთას გადაურჩა, თუმცა ჯერჯერობით. დაპირისპირებამ შესაძლოა კვლავ იჩინოს თავი.

გიორგი დარჯანია

კრისტოფ დაუმი

ბაიერნი დაუმს დასცინის

დღეს გერმანიაში დიდი მატჩია. მიუნხენში, „ოლიმპიაშტადიონზე“, ერთმანეთს გერმანული საკლუბო ფეხბურთის ლიდერები და დღესდღეობით ბუნდესლიგაში მართლაც უძლიერესნი — მიუნხენის „ბაიერნი“ და ლევერკუზენის „ბაიერი“ დაუპირისპირდებიან.

ვინ ვის? ვისი ტაქტიკა გაიმარჯვებს, ოტმარ ჰიცფელდის თუ კრისტოფ დაუმის? ბუნდესლიგა, როგორც იცით, გასულ პარასკევს განახლდა ორი მატჩით და დღეს უკვე დიდი მნიშვნელობის შეხვედრაა.

„ბაიერნსა“ და „ლევერკუზენს“ 18 თამაშიდან 37-37 ქულა აქვთ, დაუმის ბიჭები კი მეორეზე არიან. ისინი ჰიცფელდის შეგირდებს ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩებიან.

სანამ გუნდები მწვანე მინდორზე მოუსინჯავენ ძალას ერთმანეთს, მანამდე „ბაიერნიცა“ და „ლევერკუზენიც“ საინფორმაციო ომში ჩაებნენ, უფრო კი მიუნხენელები. ძნელი მისაზვედრი არაა, რა მიზანიც ამოძრავებთ მათ — ცდილობენ, ერთმანეთზე ზეგავლენა მოახდინონ.

გუშინ „ბაიერნის“ კომერციულმა მენეჯერმა ული ჰაინესმა სრულიად მოურიდებლად, საჯაროდ გაკენწლა მეტოქის მწვრთნელი კრისტოფ დაუმი. ჰაინესისა და დაუმის სიამტკბილობა საყოველთაოდაა ცნობილი, მან პირველად როდი დაგესლა ლევერკუზენელი.

ჰოდა, ჰაინესმა თქვა, რომ დაუმმა საგანგებოდ ამ მატჩისთვის „სულიერი დამრიგებელი“ დაიქირავა, რათა ფეხბურთელებს საბრძოლო სული შთაბეროს. თან დაამატა, ის კი არა, მან (დაქირავებულმა) „ბაიერის“ ფეხბურთელებს შუშის ნამტვრევებზე სიარულიც ასწავლაო.

„ჩვენს მწვრთნელს, ოტმარ ჰიცფელდს, ამგვარი ფოკუსები და გამოგონებები არ სჭირდება, იგი უამისოდაც ჩინებულად ართმევს თავს საქმეს. თავად მე რომ გამჩენოდა ასეთი აზრი, პირს ამოვიკერავდი, რომ არ მეთქვა და არავის გაეგო“ — განაცხადა ჰაინესმა.

ერთი სიტყვით, ჰაინესმა დაუმს დასცინა, ხოლო ჰერ კრისტოფის რეაქცია უცნობია. ერთი რამ კი დანამდვილებით იციან გერმანელებმა — მინდორზე გამოჩნდება, ვინ უფრო ძლიერია.

..დღეს საღამოს, „ოლიმპიაშტადიონზე“, დიდი მატჩია, „ბაიერნი“ — „ლევერკუზენი“.

დათო კოპალიანი

ჩემპიონიდან ჩემპიონამდე

ქართული ფეხბურთის ცეცხლში გამოწრთობილი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი გუშინ ბელგიის ჩემპიონ „გენკის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ბოსკამპმა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის ჰოსტი ერთდროულად შეითავსა და გულშემატკივარს ქართული ფეხბურთის გადამრჩენელ რაინდად მოევლინა.

მისი ნამოღვაწარის განსჯითა და შეფასებით ამჯერად თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ეს კაცი როგორც მოვიდა, ისე წავიდა და ქართულ ფეხბურთსაც ნაკლებად დაატყო თავის ხელი...

ბოსკამპის „გენკის“ თავკაცად დანიშვნა საკმაოდ მოულოდნელი ფაქტი გახლდათ. კვირას ბელგიის ჩემპიონატის მორიგ ტურში ქვეყნის ჩემპიონი შინ „შარლერუასთან“ დამარცხდა 1:2. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს საკითხი საგანგებოდ განიხილა და მთავარი მწვრთნელის, იოს ჰეილიგენის თანამდებობიდან გათავისუფლება გადაწყვიტა.

ახალი თავკაცის შესაფერ კანდიდატად სწორედ იოჰან ბოსკამპი მიიჩნიეს და რამდენიმე საათში მასთან ორწლიწადნახევრიანი კონტრაქტიც გააფორმეს. ცნობილია, რომ ბოსკამპს ბელგიურ ფეხბურთთან საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. ერთხანს იგი ქვეყნის წამყვან კლუბებს ავარჯიშებდა.

ბადრი ჯაფარიძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი

ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია, დაველოდოთ და თავად ვიხილოთ, შეძლებს თუ არა მყვირალა ჰოლანდიელი იმის განხორციელებას „გენკში“, რაც თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობისას ვერ შეძლო.

ნიკა ფუბლაძე

ჩვენი თამაში თქვენსას სჯობს

ევროპის უდიდესი კლუბები ნაპრეგბების წინააღმდეგ ილაშქრებენ

ამ ბოლო დროს აბრევიატურა G-14 ცნობილი გახდა, როგორც მეტად სახიფათო. ტრანსნაციონალურ კომპანია „მედია პარტნერზთან“ წილნაყარი ევროპის 14 უდიდესი კლუბის გაერთიანება ფიფა-უეფას უტევს. მათ ერომანეთში რაღაც ვერ გაიყვეს. ეს რაღაც ფულია, უფრო სწორად, დიდი ფული. დამატებითი მოგების მოსურნე ამბოხებულებმა თავდაპირველად ევროპის სუპერლიგის შექმნა განიზრახეს. პატარა კლუბებს ეკითხათ, თორემ სუპერლიგით გრანდები გვარიანად გაისქელებდნენ ჯიბეს. უეფამ საპასუხო ნაბიჯი გადადგა — ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა ოცდათორმეტამდე გაზარდა, ამასთანავე საპრიზო ფონდმაც მოიმატა. ამ ნაბიჯს უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა მუქარაც მიაყოლა, ჩვენი ეგიდით თამაში თუ არ გსურთ, ფეხბურთს სამუდამოდ დაემშვიდობებითო. ამით ბრძოლის პირველი რაუნდი უეფამ მოიგო.

მერე G-14-ისა და „მედია პარტნერზის“ ჯერი დადგა — მათ ევროკავშირში სარჩელი შეიტანეს. ადვილი გასათვლელია„ ბოსმანის სკანდალის შემდეგ ამ ორგანიზაციებს კარგი ურთიერთდამოკიდებულება არ აქვთ. ევროკავშირის შესაბამისი კომისია ამჟამად საქმის ვათარებას ეცნობა და საბოლოო სიტყვას მოგვიანებით იტყვის. იქამდე კი G-14-ის სახელით მიუნხენის „ბაიერნის“ წარმომადგენელმა უეფას ახალი მოთხოვნები წაუყენა. ევროპული გრანდების უკმაყოფილებას გადატვირთული საერთაშორისო კალენდარი იწვევს. დიდ გუდებში მოთამაშე ფეხბურთელთა უმეტესობა იმავდროულად თავიანთი ქვეყნების ნაკრებების წევრიცაა. კლუბები ჩივიან, ზოგჯერ ლამის ნახევარი გუნდის სანაკრებო შეხვედრებზე გაშვება გვიწევს და მინდორზე მეორე შემადგენლობების გაყვანა გვიხდებაო. გამოსავალიც გამონახეს, ეროვნულმა ფედერაციებმა საკომპენსაციო თანხა გადაგვიხადონო. ასეთ ვარიანტსაც სთავაზობენ, სანაკრებო მატჩები მხოლოდ განსაზღვრულ დროს ჩატარდეს, როდესაც ჩემპიონატებში შესვენებაა გამოცხადებულიო.

ამ მოთხოვნებს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გამოეხმაურა. ცხადია, მან იუჰანსონის მხარე დაიჭირა და თქვა: „ისინი (G-14-ის წევრები) მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობენ. ის, რომ ფეხბურთს სხვებიც თამაშობენ, რატომღაც ავიწყდებათ. ფიფა და უეფა დათმობებზე წასვლას არ აპირებენ და პრობლემას უახლოეს მომავალში გადავჭრით.“

ნიუკასლური ამბები

„ნიუკასლ იუნაიტედის“ იტალიელი მცველი ალესანდრო პისტონე საკმაოდ მძიმე ტრავმის გამო დაახლოებით სამ თვეს ვერ ისპარეზებს. „ლაით სტადიუმზე“ „სანდერლენდის“ წინააღმდეგ გამართულ პრემიერლიგის უკანასკნელი ტურის მატჩში პისტონე გევინ მაკანთან ორთაბრძოლის დროს დაშავდა. „კაჭკაჭთა“ თავკაცმა ბობი რობსონმა პისტონეს ტრავმის გამო სინანული გამოთქვა. ისიც დასძინა, გამოცდილი მცველი სამ თვეს გამოგვაკლდება, რაც გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნებაო. „ხელაღებით ვინმეს დადანაშაულება ნამდვილად არ მსურს, მაგრამ ვთვლი, მაკანს ბურთზე უფრო ზუსტად რომ ეთამაშა, ტრავმას აუცილებლად ავცდებოდით“ — განაცხადა „ნიუკასლის“ თავკაცმა და იქვე დაამატა: „არაფერია, დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ შემთხვევის ბრალი იყო, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი სამი თვით დავკარგეთ“.

ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხედფინალში, „ტრანმერის“ წინააღმდეგ მატჩში, „ნ[illegible]კასლის“ ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რობერტ ლ[illegible] ვერ დაეხმარება. სანდერლენდელ კევინ კილბეინთან პაექრობისას ლიმ მიმდინარე სეზონში მეხუთე გაფრთხილება მიიღო, რის გამოც მატჩის გამოტოვება მოუწევს.

მანამდე კი „ნიუკასლის“ რიგებში ალბათ, კიდევ ერთი ლეგიონერი, არგენტინელი გამთამაშებელი კრისტიან ბასედასი ჩაირიცხება. ფეხბურთელის კლუბ „ველეს სარსფილდთან“ „კაჭკაჭები“ კარგა ხანია, მოლაპარაკებას აწარმოებენ, თუმც ჯერჯერობით რატომღაც ვერ შეთანხმდნენ. თავად ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ „სენტ ჯეიმს პარკს“ უახლოეს მომავალში ეწვევა და „ნიუკასლის“ ზოლიან მაისურას მოირგებს.

„ინგლისში თამაში ძლიერ მსურს, მაგრამ აჩქარება აღარ ღირს. ჯერ კლუბებმა უნდა მოილაპარაკონ. ორი თვეა, ვიცდი და ერთი კვირა უკვე აღარაფერს წყვეტს. როგორც ცნობილია, კონტრაქტის ყველა პუნქტი შეთანხმებულია და კლუბის ხელმძღვანელთა შეხვედრისა და ხელმოწერის საბოლოო ცერემონიალია დარჩენილი“ — განაცხადა არგენტინელმა ფეხბურთელმა.

ნიკა შუბლაძე

ბობი რობსონი

REUTERS ლაგოსიდან

ნიგერია — სენეგალი 2:1. ნიგერიელი ნვანკვო კანუ (მარცხნივ) და სენეგალელი სიდი ბა ბურთისთვის იბრძვიან

მეოთხედფინალი

ეგვიპტე 0:1 ტუნისი

0:1 ბადრა (22ბ)

ეგვიპტე: ნ. ელ საიდი, ი. ჰასანი (საბრი 46), ჰ. რამზი, ელ საკა (ალი 79), ომარა, ხაშაბა, რადვანი, ტ. საიდი (ა. ჰასანი 62), ი. საიდი, ჰ. ჰასანი, ჰოსნი

ტუნისი: ელ ქუარი, ბადრა, ტრაბელსი (ბუკადიდი 78), ჯაიდი, ტაბეტი, ბაია (ბუაზიზი 66), ჩიჩი, ბუზაინი, კანზარი, ჯაზირი, ზიტუნი (გაბსი 46)

ოთხი მატჩიც და აფრიკის თასის 2000 წლის გათამაშება ისტორიის კუთვნილება გახდება. ამჟამად კი ნახევარფინალისტების ვინაობა არის გარკვეული. კამერუნს და სამხრეთ აფრიკას ოთხშაბათს ნიგერია და ტუნისი შეუერთდნენ.

ბოლო ორი მეოთხედფინალური შეხვედრა უაღრესად დრამატულად წარიმართა და მოულოდნელი შედეგებით დასრულდა.

ნიგერია-სენეგალის მატჩს მოულოდნელს იმიტომ ვუწოდებთ, რომ საქმე დამატებით დრომდე მივიდა. არადა, სპეციალისტთა აზრით, ნიგერიელებს მეტოქე 90 წუთშიც უნდა დაემარცხებინათ.

თამაშის დაწყებიდან ექვსი წუთი იყო გასული, როდესაც სენეგალელმა კალილუ ფადიგამ თანაგუნდელისგან ჩაწოდებული პასი მკერდით მიიღო, დაამუშავა და ცაციათი ნიგერიელთა კარში გაგზავნა. აქვე შეგახსენებთ, რომ ფადიგა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე კარგა ხანს უარს ამბობდა. ის ბელგიის მოქალაქეობის მიღებას ლამობდა და იმედი რომ გადაეწურა, სამშობლოს მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნდა.

ფადიგას გოლს ტრიბუნებზე თავმოყრილი 60 ათასი გულშემატკივარი სამარისებული სიჩუმით შეხვდა. ისინი გაოგნებულები იყვნენ — ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა. „სუპერარწივთა“ ქომაგები გონს მალევე მოეგნენ და უსიამოვნებებიც აქედან დაიწყო. ობიექტურობისთვის ვთქვათ, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას პრინციპულობა რომ გამოეჩინა, მატჩი მშვიდად, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე ჩასრულდებოდა. საქმე აი, რაშია. ქვეჯგუფში კონგოსთან უგოლოდ დაზავების შემდეგ ნიგერიელმა ქომაგებმა ფეხბურთელებისკენ გაიწიეს, აქაოდა ვიღაც კონგოელების დამარცხება რად ვერ შეძელითო. მათკენ დაძრული მრავალათასიანი ბრბო რომ დაინახეს, ნიგერიელი „სუპერარწივები“ [illegible]ახდელში ჩაიკეტნენ და პოლიციის დასაცავი შეიქნენ. იმ დღეს ვნებათაღელვა ცრემლსადენმა გაზმა დააცხრო. ამ შემთხვევაზე აფრიკული ფეხბურთის ჩინოსნებმა იმსჯელეს. ვარაუდობდნენ, რომ ნიგერია მომდევნო მატჩებს ცარიელი ტრიბუნების წინ ჩაატარებდა, მაგრამ ფეხბურთის ბოსები ამ გადაწყვეტილების მიღებას მოერიდნენ. მიზეზი გასაგებია, ნიგერია ტურნირის თანამასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტია. შედეგად ნიგერია — სენეგალის მატჩზე კვლავაც შეიკრიბა 60 ათასი აგრესიული გულშემატკივარი.

დრო გადიოდა, ნიგერიელებს საპასუხო გოლი ვერ გაჰქონდათ, დაძაბულობა მატულობდა. აქამდე „სუპერარწივებს“ შინ 19 წელი არ წაეგოთ და თამ[illegible] შეიძლება ითქვას, მხსნელი რომ არ გამოჩენილიყო, „სურულერის“ სტადიონი სასაკლაოს დაემსგავსებოდა. მხსნელი გამოჩნდა, თუმც უსიამოვნებანი არ დასრულებულა.

მატჩის 68-ე წუთზე ტიჯანი ბაბანგიდა 18 წლის ჯულიუს აგაოვამ შეცვალა. ამან გაამართლა. შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე ყმაწვილმა ფეხბურთელმა გათანაბრება შეძლო. დროებითი წყო დამატებითი ტაიმი და იმავე ჯულიუს აგაოვამ მეორეც შეაგდო. შეხვედრა არ დასრულებულა, რადგან ტურნირის რეგლამენტით „ოქროს გოლის“ წესი გათვალისწინებული არ არის. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ქომაგთა ნაწილი მატჩის დასრულებას მოითხოვდა (ალბათ, აგაოვას გოლი „ოქროსი“ ეგონათ), ნაწილი სენეგალელთა დაშინებას ცდილობდა, დანარჩენები კი საკუთარ ფეხბურთელებს აგინებდა. საბოლოოდ მინდორზე სხვადასხვა საგნების წვიმა წამოვიდა, ხოლო ყველაზე თავზეხელაღებულებმა მოედანზე გადაინაცვლეს და მუქარის დაუყოვნებლივ აღსრულება განიზრახეს. მსაჯებს და ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ, დაღლა დაევიწყებინათ და სპრინტერული სისწრაფით მიმალულიყვნენ. თამაში (თუ ამას თამაში შეიძლება ეწოდოს) 10 წუთით შეწყდა. გამხეცებული ბრბოს შეკავება ისევ პოლიციამ ითავა და სტადიონის თავზე ცრემლსადენი გაზის ბუღი კვლავაც დატრიალდა. ქომაგთა დაშოშმინებაზე ადვილი არც სენეგალელთა დაყოლიება აღმოჩნდა. ფეხბურთელები გასახდელიდან გამოსვლაზე უარს აცხადებდნენ. შეხვედრის ვაი-ვაგლახით გაგრძელდა. აუგუსტინ ოკოჩამ უხეშობისთვის წითელი ბარათიც მიიღო.

დასასრული ყველაფერს აქვს და ეს „ანტიფეხბურთიც“ დამთავრდა. ნახევარფინალში ნიგერია სამხრეთ აფრიკას შეხვდება. საინტერესოა, ამჯერად მაინც თუ მიიღებს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია სამართლიან გადაწყვეტილებას და ნიგერიელ ვაიგულშემატკივრებს სტადიონზე მისასვლელ გზას გადაუღობავს.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ ეგვიპტე ერთადერთი ნაკრები იყო, ვისაც ქულაც არ დაეკარგა. მეოთხედფინალში ეგვიპტელები ტუნისს დაუპირისპირდნენ. წილისყრისას არ გაგვიმართლაო, ტუნისელებმა უნდა თქვან. ისინი ჯერ იყო და „სასიკვდილოდ“ მონათლულ ჯგუფში მოხვდნენ, ახლა კი მოქმედ ჩემპიონს შეხვდნენ.

ნიგერია — სენეგალის მატჩის მსგავსად, ეს შეხვედრაც ნერვიული და უხეში გამოდგა. თუმცა მადლობა ღმერთს, საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე არ მისულა. დაძაბულობაზე კი არბიტრის მიერ ნაჩვენები რვა ყვითელი ბარათიც მეტყველებს. ერთადერთი გოლი 22-ე წუთზე ჰენალტით გავიდა. ეგვიპტელმა ნახევარმცველმა იბრაჰიმ საიდმა თავის საჯარამოში ტარეკ ტაბეტი წააცია. თერთმეტმეტრიანი „ესპერანსში“ ტაბეტის თანაგუნდელმა ხალედ ბადრამ ზუსტად შეასრულა (აღსანიშნავია, რომ ნიგერიელთა მხსნელი ჯულიუს აგაოვაც ტუნისის „ესპერანსში“ თამაშობს).

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა ეგვიპტელებს მონდომება რა დაუკლიათ. მათგან საუკეთესო ვეტერანი კაპიტანი ჰოსამ ჰასანი იყო, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 140-ე მატჩი გამართა. ჰასანს აფრიკის თასის ბოლო ორ თამაშებში ჩატარებულ 9 შეხვედრაში 10 გოლი ჰქონდა გატანილი და ამჯერადაც მიზანთან ახლოს იყო. ყველაზე სახიფათო მომენტი ტუნისელთა კართან 38-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც ჰასანის დარტყმული ბურთი მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს.

მაშ ასე, მეორე ნახევარფინალური წყვილი კამერუნმა და ტუნისმა შეადგინეს. ეგვიპტელთა მარცხი კი იმას ნიშნავს, რომ თასს ახალი მფლობელი გამოუჩნდება. საინტერესოა, რომ ტიტულის დაცვა აქამდე მხოლოდ ორმა ნაკრებმა — 1959 წელს იმავე ეგვიპტემ, ხოლო 1965-ში განამ შეძლო.

გიორგი დარჯანია

ნახევარფინალი

10 თებერვალი

ლაგოსი ს. აფრიკა — ნიგერია

აკრა კამერუნი — ტუნისი

ბომბარდირები

შონ ბარტლეტი (სამხრეთ აფრიკა)	4
ჯულიუს აგაოვა (ნიგერია)	3
ჰოსამ ჰასანი (ეგვიპტე)	3

რებროვზეც ნადირობენ

ანდრეი შევჩენკოს, იტალიური „მილანისა“ და უკრაინის ნაკრების ფორვარდს, არც მისი ყოფილი თანაგუნდელი კიევის „დინამოში“, სერგეი რებროვი ჩამორჩა.

ევროპული სუპერკლუბები თავიანთ სურვილს არც მალავენ და რებროვზე, რომ იტყვიან, ნადირობაა გაჩაღებული. „ინფორმაციულ ომში“ ყველას ჯერჯერობით შოტლანდიურმა გრანდმა, „გლაზგო რეინჯერსმა“ დაასწრო და ის თანხაც დაასახელა, რომლის გაღებასაც ულაპარაკოდ აპირებს — 12 მილიონი ფუნტი (დაახლოებით 19 მილიონი დოლარი). შოტლანდიური კლუბის პრეზიდენტმა დევიდ მიურეიმ ამასთანავე დასძინა, რებროვი ერთ-ერთი იმ ხუთთაგანია, რომელთა ხილვასაც ვისურვებდი ჩემს გუნდშიო. დანარჩენი ოთხის ვინაობა მიურეის არ დაუკონკრეტებია.

სერგეი რებროვი

რებროვის მსურველთა რიგში ინგლისური „არსენალი“ და „ჩელსი“, იტალიური „მილანი“ და ესპანური „ბარსელონაც“ დგანან. თუმცა ბრიტანელები დარწმუნებულნი არიან, რომ უკრაინელი უახლოეს ხანში, უფრო ზუსტად, ზაფხულში, მათთან გადავა. ამის საფუძველს მათ კიევის „დინამოს“ მეორე მწვრთნელის, ალექსეი მიხაილიჩენკოს სიტყვები აძლევთ: „რებროვი უკვე მზადაა ნებისმიერ ძლიერ კლუბში სათამაშოდ. ვფიქრობ, იგი სეზონის ბოლოს დაგვტოვებს კიდეც“.

თავად „დინამოს“ ამ საკითხის თაობაზე ოფიციალურად ჯერ არაფერი განუცხადებია. კლუბის პრესსამსახურის ბოლო ცნობით, რებროვი არ გაიყიდება, სეზონის ბოლომდე ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ისე, თუ გახსოვთ, ანდრეი შევჩენკოზეც ამბობდნენ, არ იყიდებაო, „მილანმა“ კი მასში 25 მილიონი დოლარი გადაიხადა. ხომ გაგიგიათ, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო. როგორც ჩანს, გრიგორი სურკისი, „დინამოს“ პრეზიდენტი, ჯერ ფიქრობს, შეელიოს თუ არა რებროვს. თავდამსხმელის გარდა ევროპული კლუბები მისი გუნდის სხვა ფეხბურთელებსაც ეკურკურებიან: კალაძე, შოკოვსკი, ვაშჩუკი, გუსინი...

დათო კოპალიანი

რუსეთი ინგლისს გაუბრაზდა, არასწორად მოიქეცითო

როგორც იქნა, ინგლისელებმა გადაწყვიტეს — 31 მაისს „უემბლიზე“ ინგლისის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ბოლო საკონტროლო მატჩში უკრაინას შეხვდება და არა რუსეთს.

ამან კი, რა დიდი მიხვედრა უნდა, რუსეთი გააღიზიანა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მოურიდებლად აკრიტიკებენ ალბიონელთა გადაწყვეტილებას.

„ბუნებრივია, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით აღშფოთებულნი ვართ“ — განუცხადა სააგენტო „როიტერს“ რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრ ტუხმანოვმა და დასძინა — „ინგლისელები თავად შეგვეხმიანნენ. ჩვენაც დაუყოვნებლივ დავთანხმდით, მხოლოდ თარიღი იყო დასადგენი. მათ კი აზრი შეიცვალეს და უკრაინა მიიპატიჟეს. ვთვლი, რომ არასწორად მოიქცნენ. ასე არ ხდება და არც უნდა ხდებოდეს“.

საკუთარი აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოთქვა რუსეთის ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს წარმომადგენელმა მიხაილ გერშკოვიჩმა: „რა თქმა უნდა, მათმა გადაწყვეტილებამ ძალიან გაგვაბრაზა. გავრისკავ და ვიტყვი, რომ ინგლისელებს ჩვენთან შეხვედრის შეეშინდათ, რამეთუ არ სურთ, ევროპის ჩემპიონატის წინ გუნება გაიფუჭონ. მაისის დასაწყისში ინგლისი მალტას ეთამაშება, თვის ბოლოს კი უკრაინას, რომელსაც რუსეთზე სუსტ გუნდად მივიჩნევ“.

თავად ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ყოველივე შემდეგ ახსნა. ადრიან ბევინგტონი, ასოციაციის წარმომადგენელი: „ჩვენ ვარიანტები თავზე საყრელად გვქონდა და საუკეთესო უნდა ამოგვერჩია. უკრაინელებს მანამდე თითქმის ყოველდღე ვეხმიანებოდით. ვფიქრობ, იმის გამო, რომ მეტოქედ უკრაინა შევარჩიეთ, არავინ დაგვძრახავს. ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და მათთან თამაშში იოლ გასეირნებას ნამდვილად არ უნდა ველოდით“.

უკრაინელთა აზრი ცნობილი არ არის, ან რა უნდა თქვან, ინგლისთან მატჩზე რომელი ჭკუთმყოფელი იტყვის უარს, მით უმეტეს, „უემბლიზე“. ასე რომ, 31 მაისს ინგლისი უკრაინას ევროპის ჩემპიონატის წინ უმასპინძლებს.

გიორგი ვაშაკიძე

ქალო, გნახე ალმიანი

ძველი ბერძნები ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრებასაც კი უკრძალავდნენ. დღევანდელ სპორტულ ასპარეზობებს რომ უყურებ, ხვდები, მას მერე დიდი დრო გასულა. ათასწლეულთა მიჯნაზე სპორტსმენი ქალის გამოჩენით ვერავის გააკვირვებ, ვაფასებთ და ტაშსაც არ ვიშურებთ.

ქალები ფეხბურთშიც მოვიდნენ. აგერ, რამდენიმე დღის წინ, ჩადრში გახვეულ-შეფუთული ერაყელი ფეხბურთელი გოგონაც გვიმზერდა „სარბიელის“ ბოლო გვერდიდან. ქალთა ფეხბურთს კაცები შედარებით ადვილად შეეგუნენ. ბოლოს და ბოლოს თუ არ მოგწონს, შეგიძლია არც უყურო. მაგრამ ნაღდ (მამაკაცთა) მატჩზე მისული რომ დაინახავ, მომხიბვლელი თანამსაჯი ქალბატონი ალამს როგორ აღმართავს, აქაოდა, უეჭველი ოფსაიდი არისო (არადა, მართლაც თამაშგარე მდგომარეობაა), როგორ ხასიათზე დადგები? თუმც ქალმა თუ მოინდომა...

რამდენიმე თვის წინ ჩემპიონთა ლიგაში „მოლდე“—„რეალის“ მატჩს ფრანგი ქალბატონი ნელი ვიენოტი მოემსახურა. კარგად იმსაჯა, მოგვეწონა. ეს საერთაშორისო ტურნირებზე, თორემ ქალები გვერდით ხაზთან ადრეც გამოჩენილან.

ტრადიციების მოყვარულმა ბრიტანელებმა ოდინდელი წეს-ჩვეულება პირველებმა დაარღვიეს, ვინმე ვენდი ტომსს შავი ფორმა ჩააცვეს და ალამიც უბოძეს. ტომსის სამსაჯო დებიუტი 1996 წელს შედგა. თავდაპირველად ის ინგლისის დაბალი დივიზიონების მატჩებზე სამუშაოდ გაუშვეს და უკვე ერთი წლის შემდეგ დუბლ-შემადგენლობების თასის ფინალშიც მიავლინეს. ნამდვილი, დიდი ფინალი კი ვენდი ტომსს 27 თებერვალს ელის. ამ დღეს ლიგის თასისთვის „ლესტერი“ და „ტრანმერი“ შეებრძოლებიან ერთმანეთს. გახარებული ქალბატონი ამბობს: „დარწმუნებული ვარ, თასის ფინალს უამრავი ქალი დაესწრება ან ტელევიზორში იხილავს. ისინი ჩემს საქმიანობას ნახავენ და იტყვიან, ეს მეც შემიძლიაო“. ღმერთმა დაგვიფაროს, რამდენი ქალბატონიც სტადიონზე მივა, მსაჯობის სურვილი გაუჩნდეს, თუმცა ნელი ვიენოტს და ვენდი ტომსს ფეხბურთისთვის ზიანი არ მოუტანიათ, იქნებ პირიქითაც.

ისე, ჩოგბურთს თუ თამაშობენ, იქნებ ფეხბურთშიც ვიხილოთ შერეული გუნდები? კარგა ხანს მოცდა კი მოგვიწევს, მაგრამ ვინ იცის.

გიორგი დარჯანია

ნელი ვიენოტი

ფეხბურთის რეპერტუარი

შოტლანდიური გლაზგოს „სელტიკის“ შვედი თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი ურთულესი ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს. კლუბის თავკაცის, ჯონ ბარნსის განცხადებით, ფეხბურთელი თამაშს ალბათ, სეზონის ბოლოსთვის შეძლებს. თუ მართლაც ასე მოხდა, ლარსონი შვედეთის ეროვნულ ნაკრებს მომავალ ევროპის ჩემპიონატზეც დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ შვედმა შარშან ოქტომბერში, უეფას თასის გათამაშების ერთ-ერთ შეხვედრაში ფეხი მოიტეხა და მას შემდეგ ველარ თამაშობს.

საამიროების ჩემპიონატში მოასპარეზე „ალ ვადას“ ბელგიელი მთავარი მწვრთნელი დიმიტრი დაუდოვიჩი ბოლო ტურის შეხვედრაში „ალ ლისთან“ დამარცხების გამო თანამდებობიდან დაითხოვეს. ქვეყნის ჩემპიონ „ალ ვადაში“ მისვლამდე წარმოშობით იუგოსლავიელი დაუდოვიჩი საუდის არაბეთის „ალ იტიჰადს“ ავარჯიშებდა და ერთობ წარმატებულადაც. მან გუნდი ზედიზედ სამჯერ გააჩემპიონა, ხოლო 1998 წელს აზიის ქვეყნების თასების მფლობელთა თასიც მოაპოვებინა.

გერმანული დორტმუნდის „ბორუსიას“ ახალდანიშნულ მთავარ მწვრთელ ბერნდ კრაუსს სჯერა, რომ გუნდს კრიზისიდან გამოიყვანს და სულ მალე ჩვეულ სახელსა და დიდებას დაუბრუნებს. „ბორუსია“ დღესდღეობით გავარდნის კანდიდატი ნამდვილად არ გახლავთ, საშუალო, ძლიერი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველმხრივ ვეცდები, რომ 1997 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი კლუბი აღმავლობის გზაზე დავაყენო“ — ამბობს სპეციალისტი, რომელიც „ბორუსიას“ თავკაცად კვირას დაინიშნა. მან არადამკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან გათავისუფლებული მიხაელ სკიბე შეცვალა.

ინგლისური „ასტონ ვილას“ ფორვარდი დიონ დაბლინი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და მსუბუქი ვარჯიში დაიწყო. შარშან, დეკემბრის შუა რიცხვებში დაბლინმა კისრის მალა დაიზიანა. ექიმები შიშობდნენ, რომ ფეხბურთელი თამაშს მინიმუმ სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებდა, თუმც დაბლინი ვადაზე გაცილებით ადრე გამოჯანმრთელდა და სულ მალე, ალბათ, გუნდსაც დაეხმარება. „ასტონ ვილას“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ დაბლინის დაბრუნებით ძლიერ გაიხარა, მარტის დასაწყისისთვის დიონი გუნდთან ერთად ივარჯიშებს. სულ მალე კი, ალბათ, შემადგენლობაშიც გამოჩნდება. გაოცებული ვარ, მან საკმაოდ მძიმე ტრავმა უმოკლეს ვადაში მოიშუშა“ — განაცხადა გრეგორიმ.

ესპანურ სანტანდერის „რასინგის“ რუსი თავდამსხმელი ვლადიმირ ბესჩასტნიხი შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და მოსკოვის „სპარტაკს“ შეუერთდეს. „კლუბის ვიცე-პრეზიდენტ გრიგორი იესაულენკოს ტელეფონით უკვე ვესაუბრე. მან იცის, რომ „რასინგის“ ძირითად შემადგენლობაში ველარ ვხვდები და დამპირდა, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებიო. „სპარტაკში“ დაბრუნება ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება“ — აცხადებს ბესჩასტნიხი.

ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი ამჟამად თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შეკრებაზე იმყოფება. ტრინიდადელები კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშებისთვის ემზადებიან. ეს ტურნირი შაბათს მაიამიში აიღებს სტარტს. დუაიტ იორკს პრემიერლიგის მინიმუმ ერთი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს, რომელსაც ჩემპიონები შაბათს „ნიუკასლ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ჩაატარებენ. თუ ტრინიდადის ნაკრები გათამაშების მეოთხედფინალში მოხვდა, იორკი თავის კლუბს ალბათ „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგაც ვერ დაეხმარება. შეხვედრა 20 თებერვალსაა დანიშნული. ამ საკითხზე „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობამ ტრინიდადის ნაკრებს პროტესტი გაუგზავნა, იორკი ინგლისში დაბრუნონ, რათა მან „ლიდსის“ წინააღმდეგ თამაში შეძლოს.

უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე ლვოვის „კარპატის“ ფეხბურთელები უახლოეს ხანში, ალბათ, გაიფიცებიან. ამის მიზეზად ფეხბურთელები დაგვიანებული ხელფასების გაუცემლობას ასახელებენ. მათ დასახმარებლად უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასაც კი მიმართეს. „კარპატის“ საუკეთესო თავდამსხმელმა ივან გეკკომ საგანგებოდ ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე მოკლედ თქვა: „გვსურს ვიცოდეთ, სჭირდება კი ამ ქალაქს გუნდი უკრაინის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში?“ „კარპატის“ ფეხბურთელთა მოთხოვნა ახალი არაა. ისინი მანამდე ორჯერ დაიმუქრნენ, გავფიცებითო, მაშინ კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელები როგორღაც გააჩუმა. რა იქნება ახლა?

იტალიის სერია A-ში მოასპარეზე „ვენეციამ“ მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება უკანასკნელ ტურში „რომასთან“ (0:5) განადგურებას მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ „ვენეციამ“ სპალეტი გასული წლის ნოემბერში დაითხოვა და მის ნაცვლად ჯუზეპე მატერაცი დანიშნა, მაგრამ სამი ტურის შემდეგ იგი კლუბში კვლავ დააბრუნეს. „რომასთან“ მარცხი სპალეტის მეორე სამწვრთნელო ვადის მეცხრე შეხვედრა გახლდათ. „ვენეციას“ ახალ თავკაცად ამჟამად სერია B-ში მოასპარეზე „სალერნიტანას“ ყოფილი თავკაცი ფრანჩესკო ოდო დაინიშნა. „ვენეციას“ სერია B-ში დაქვეითების რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ ფრანჩესკო ოდოს დანიშვნა საკმაოდ დროული გადაწყვეტილება გახლდათ. ვიმედოვნებ, იგი გუნდს კრიზისიდან გამოიყვანს“ — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა, მაურიციო სამპარინიმ.

ინგლისური „ასტონ ვილას“ ფორვარდი სტენ კოლიმორი შესაძლოა, უახლოეს მომავალში „ლესტერში“ გადაბარგდეს. კონტრაქტი საკმაოდ ორიგინალურია. „ლესტერი“ „ასტონ ვილას“ 500 ათასს გირვანქას (დაახლოებით 803 ათას დოლარს) გადაუხდის, სანაცვლოდ კი კოლიმორი ახალ კლუბში 50 შეხვედრას ჩაატარებს. „ლესტერის“ პრესატაშის განცხადებით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია, ახლა მხოლოდ ფეხბურთელის პირადი მოთხოვნებია გასარკვევი. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილას“ თავკაცმა ჯონ გრეგორიმ ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადა, კოლიმორი გუნდის ტაქტიკურ სქემას აღარ ერგება და ძირითად შემადგენლობაში ადგილს, ალბათ, ვერც ეღირსებაო. ამიტომ ფორვარდი დროებით ინგლისის პირველდივიზიონელ „ფულემში“ გაანათხოვრეს.

ისრაელის ჩემპიონატი. 23-ე ტური. მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — მაკაბი (ჰერცლია) 1:0; ირონი — ჰაპოელი (ქვარ სავა) 2:2; ჰაპოელი (ჰაიფა) — ბნეი იეჰუდა 1:1; აშდოდი — მაკაბი (ჰაიფა) 0:0; ბეითარი — ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) 1:1; მაკაბი (ნეთანია) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 2:1; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (თელ ავივი) 2:0. ჩემპიონატს 54-54 ქულით ლიდერობენ თელ ავივის „ჰაპოელი“ და ჰაიფას „მაკაბი“, მესამეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი“ — 45 ქულა.



გაბრიელ ბატისტუტას 1999 წლის ფიფასეულ გამოკითხვაში მსოფლიოს მესამე ფეხბურთელობა ერგო. არგენტინელი ვარსკვლავი თითქმის უკვე ათი წელიწადია პლანეტის უძლიერესთა მარაქაშია და მის მიმართ საყოველთაო ინტერესი არ ცხრება. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ინგლისელ გულშემატკივართა კითხვებზე მისი პასუხებისგან შედგება.

მას მერე, რაც ფეხბურთი შემიყვარდა...

— მოდით, ორიოდ სიტყვით ინგლისური და იტალიური ფეხბურთის საუკეთესო და უარეს თვისებებს შევეხოთ. გარდა ამისა, იქნებ დაგვისახელოთ გუნდი, რომელსაც, თქვენი აზრით, ყველაზე შეუვალი დაცვა ჰყავს?

— ინგლისში მეტისმეტად ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ ეს თვისება მის მომხიბლაობას როდი აკნინებს. რაც შეეხება იტალიას, აქ ფეხბურთი უფრო პროფესიულია, სერია A-ში მეტი თანაბარძალოვანი გუნდი თამაშობს, თუმცა სანახაობრივი მაინც პრემიერლიგა გახლავთ. ყველაზე შეუვალ დაცვაზე კი ასე ვიტყოდი: ბევრ სხვადასხვა ტიპის მეურვეს შეეხვედრივარ და ბევრთან დიდი ბრძოლა გადამხდენია. მაგალითად, „მილანი“, უპირატესად კი პაოლო მალდინი ცუდ დღეში მაგდებს ხოლმე, თუმცა მასთან, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვასთან, ძორიგ შეხვედრას არასდროს გავურბივარ.

— მსოფლიოს უძლიერესი ლიგა რომელია?

— იტალიური სერია A. პრემიერლიგა ძლიერ ვითარდება და მას უახლოვდება, მაგრამ ერთიანად თუ განვიხილავთ, იტალია მაინც უბადლოა. სწორედ ამიტომ ეტანება მრავალი ახალგაზრდა ევროპელი ვარსკვლავი ამ ქვეყანას. აქ, მარტო საფეხბურთო გამოცდილების შეძენაც არ გახლავთ მთავარი, სერია A-ში კაცი სწორად ცხოვრებას სწავლობ. ყველაფრის მიმართ პროფესიული დამოკიდებულებაა, ეს იქნება წვრთნა, კვება, მოშზადება თუ ნებისმიერი სხვა რამ.

— შეიძლება იმის დაშვება, რომ ოდესმე ინგლისში ან შოტლანდიაში გადაბარგდებით?

— არასდროს თქვა არასდროს. ინგლისში გადასვლის შანსი მქონდა, მაგრამ მაშინ ამ ნაბიჯის გადადგმა ჩემი კარიერისთვის გაუმართლებელი იქნებოდა. ისე კი, თუ „ფიორენტინადან“ წავალ, ერთადერთი კლუბი, რომელშიც სიამოვნებით მივიდოდი, „მანჩესტერ იუნაიტედია“. მოკლედ, თუ არაფერი აირევა, პრემიერლიგაში თამაშს სულაც არ გამოვრიცხავ.

— არსებობს ისეთი გუნდი, რომლის კარშიც განსაკუთრებული სიამოვნებით გაგაქვთ გოლები? კიდევ ერთი, მოახლოვდა ამხანაგური მატჩი ინგლისის ნაკრებთან...

— საკლუბო დონეზე ასეთი გუნდი არ მყავს, უბრალოდ გოლების გატანა მიყვარს და სულ ეს არის. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, მასში მონაწილეობა დიდი სიამოვნებაა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში ბურთის შეგდებამ საოცარი გრძნობა მომგვარა. სანაკრებო დონეზე არგენტინელთა ტრადიციული მოწინააღმდეგის, ბრაზილიის კარში მიყვარს გატანა. ასეთ დროს ხალხი საგანგებოდ გეპყრობა, ქომაგები ხაზგასმით გცემენ პატივს. ინგლისისა და არგენტინის ნაკრებების ამხანაგურ თამაშზე კი იმას ვიტყოდი, რომ მასში გოლის შეგდება-არშეგდება არაფრად მიღირს. თუ ვერ გავიტან, ამის გამო ძილი არ გამიტყდება. მგონი, მატჩს ინგლისელები გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

— გავიხსენოთ ამავე ნაკრებების შეხვედრა საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. იმსახურებდა არგენტინა გამარჯვებასა და შემდგომ ეტაპზე გასვლას? გახსოვთ სოლ კემპბელის გოლი, რომელიც არ ჩათვალეს? გახსოვთ დიეგო სიმეონეს პროვოკაცია დევიდ ბექემის გაძევების ეპიზოდში?

— არგენტინის ნაკრები ინგლისისაზე ძლიერი გუნდი იყო. არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ ბექემის გაძევებამ ხელი გაგვიმართა, რადგან ინგლისელები მას მერე, რაც მოედანზე ათნი დარჩნენ, საკუთარი საჯარიმოს ახლომახლო გამაგრდნენ და გაუვალი ტერიტორია შექმნეს. ისინი სრული შემადგენლობით რომ დარჩენილიყვნენ, საქმე პენალტებამდე არ მიგვივიდოდა. არც სოლ კემპბელის გოლი გახლდათ ჩასათვლელი. იმ მომენტში, მსაჯი ცამდე მართალი იყო, ვინაიდან შირერმა აშკარად დაარღვია წესი. ახლა კი სიმეონესთან დაკავშირებით: თქვენ მიხ საქციელზე გინდათ მსჯელობა, მე კი ვთვლი, რომ არბიტრის ცხვირწინ წიხლის მოქნევა უფრო საინტერესო მსჯელობის საგანია, რადგან იშვიათი სისულელე გახლავთ.

— ადევნებთ თუ არა თვალს ამერიკულ მეიჯორ ლიგ სოკერს და თუ ფიქრობთ კარიერის ბოლო ეტაპზე იქ გადასვლას?

— აშშ-ის ფეხბურთის ამბებს სულ არ ვაქცევ ყურადღებას და არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე იქ გადავალ. იცით, ინგლისში გადასვლას გარკვეულ გარემოებაში ვისურვებდი, ხოლო თუ გადავწყვიტე, რომ კარიერა უნდა დავასრულო, შინ, არგენტინაში წავალ.

— საოცარია, ამბობენ, რომ ყმაწვილუაცობაში ზედმეტი წონის პრობლემა გქონდათ. ამან იმთავითვე სახელის განთქმაში ხომ არ შეგიშალათ ხელი?

— ვერც კი გეტყვით, როდის იყო ან რად იყო საჭირო სახელის განთქმა. ხალხი ამას დიდ ყურადღებას აქცევს, მე კი უმნიშვნელო საკითხად მიმაჩნია. სიყმაწვილეში ფეხბურთი მაინცდამაინც არ მაინტერესებდა, ხოლო, როდესაც დავინტერესდი, ზედმეტი წონა გაქრა. დღეს უსახელობას არ ვუჩივი და არც რაიმეზე ვწუწუნებ.

— რას ფიქრობთ ინგლისურ ტელეკომპანიათა იდეაზე, ფეხბურთელებს ფული გადაუხადონ და შეისყიდონ მათი გოლების ვიდეოჩანაწერები? ეს რომ იტალიაშიც დანერგონ, თქვენ დიდძალი თანხა გერგებათ.

— სულელური აზრი ჩანს, არაპრაქტიკული. ფეხბურთელებს გვარიანად უხდიან საიმისოდ, რომ ასეთ რამეებს არ დახარბდნენ. ჩემს საფეხბურთო ცხოვრებას რომ ვიხსენებ, თავს ბედნიერად ვგრძნობ. მოედანზე სასიამოვნო წლები მაქვს გატარებული. ხარბი ადამიანი სულაც არ გახლავართ და ვგონებ, სხვებიც ასევე უნდა იყვნენ.

— ბევრი მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად მიგიჩნევთ, მაგრამ, ალბათ, თავადაც გყავთ რჩეულნი. ვინ გიწევთ კონკურენციას?

— კონკურენტებს რა გამოლევს. მართალი გითხრათ, მათ საგანგებოდ არ ვაკვირდები, მაგრამ ვიცი, რომ არიან და მოლვაწეობენ. რონალდოს ტრავმა აწუხებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, ის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ფეხბურთელია. მეორე კონკურენტი იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო გახლავთ. ინგლისში მაიკლ ოუენს ვცემ დიდ პატივს, თუმცა მათ ჯერ კიდევ გამოცდის დრო. ახლა ძნელი სათქმელია, რას იზამენ ისინი მომავალში.

— „ფიორენტინაში“ დიდებული წლები კი გაატარეთ, მაგრამ, ნუთუ არასდროს გინანიათ, რომ უფრო დიდ კლუბში არ გადახვედით?

— სინანული კარგი საქმე არ არის. „ფიორენტინაში“ გოლების სარეკორდო რაოდენობა მაქვს გატანილი — სერია A-ში, ცხრა სეზონის განმავლობაში საშუალოდ თამაშში ერთი გოლი გამომდის — ნაკრებში კი დიეგო მარადონაზე მეტის შეგდება შევძელი. პირადადაც ბევრი ჯილდო მომიგია. ცხადია, მქონდა ისეთ კლუბებში გადასვლის შესაძლებლობა, რომლის შემადგენლობაშიც დიდ წარმატებებს მივაღწევდი, მაგრამ არ წავედი, რადგან ჩემთვის იმ გუნდში ყოფნა, რომლისთვისაც ტიტულის მოგება საგანგებო მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა, მეტს ნიშნავს.

— რა გრძნობა გეუფლებოდათ უდიდესი ფეხბურთელის, დიეგო მარადონას მარადმარ თამაშისას? იქონია მან თქვენს კარიერასა და განვითარებაზე საგანგებო როლი?

— მარადონა ლეგენდაა. ვერ ვიტყვი, რომ მან ჩემს კარიერაში რაიმე კონკრეტული როლი ითამაშა, მაგრამ ენთუზიაზმი გადამდები ჰქონდა. ისევე, როგორც მილიონობით ადამიანი, მეც მილიონთა მსგავსად მისი გულშემატკივარი ვიყავი, თუმცა არასდროს მიფიქრია, რომ მარადონობა უდიდესი ტვირთია. მას პირადი ცხოვრება არ ჰქონია და მისი ყოფის ეს მხარე მეჯავრებოდა. აი, მისი ნიჭი კი აღფრთოვანების საგანი გახლდათ. ზოგიერთი მას მადარებს, მაგრამ ასეთი შედარება დაუშვებელია. მარადონა უნიკალურია. ხანდახან დღესაც გამოველაპარაკები ხოლმე, თუმცა მისი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წავიდა. გული მწყდება, დიეგოს ამბავს რომ ვისმენ.

— 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელობისთვის თავის დანებებას ხომ არ აპირებთ?

— ვერ გეტყვით. სანაკრებო დონეზე, ალბათ, ასეც მოხდება, მაგრამ კლუბში იქნებ ერთი-ორი წელიწადი კიდევ ვითამაშო. არც მგონია, ის რომ ბოლო წლებს არგენტინულ ფეხბურთში გავატარებ. უფრო სავარაუდოა, რომ ინგლისში გადავალ და პრემიერლიგაშიც მოვსინჯავ ძალას.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

პროფესიონალური ფიქრები

გერმანიის ქალაქ მაინის შვარცენკირხენნოელშლოსენში უეფას მწვრთნელთა სემინარი გაიმართა. 222 მსმენელის წინაშე ლექციებით წარსდგნენ მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული სპეციალისტები, ლუის ვან გაალი, ფაბიო კაპელო, ალექს ფერგიუსონი, ოტმარ ჰიცფელდი და ზლობომირ აგრესოვიჩი. მათ თანამედროვე ტაქტიკის კვაზიპერპენდიკულარულ განვითარებაზე ისაუბრეს. ვან გაალის ლექციის თემა გახლდათ „ლეკალოს და ტრანსპორტირის როლი 4-4-2 განლაგების დამუშავებაში“, კაპელოსი — „ჰ:0-ის უპირატესობა სხვა ანგარიშებთან შედარებით და მისი მიღწევის 23 მეთოდი“, ფერგიუსონისა — „როგორ მოვიგოთ თასი გუნდში მისვლიდან 27 წლის შემდეგ“, ჰიცფელდისა — „ფიზიკური მომზადება კლიმაქსამდელი ასაკის ფეხბურთელებისთვის“, აგრესოვიჩის კი — „აგრესიული თამაში და მისი პერსპექტივა“.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები თითოეულ თემაზე დაწვრილებით შეჩერების საშუალებას იძლევა, მაგრამ მკითხველის გადაღლის შიშით ყველაფრის გაზეთის ფურცლებზე გადატანა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. ამიტომაც გადავწყვიტეთ თქვენი ყურადღება აგრესოვიჩის მოხსენების ზოგიერთი დეტალისთვის მიგვეპყრო.

„აგრესიული ტაქტიკის შემუშავებისას — ბრძანებს აგრესოვიჩი — განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა გუნდის განლაგებას ან ფიზმომზადებას, არამედ მოთამაშეთა აგრესიულობის კოეფიციენტს. ამისთვის კი მატჩის წინა საღამოს გუნდის კინოში წაყვანაა აუცილებელი. მაგრამ, რომელ კინოში? თანამედროვე გუნდი, მოგეხსენებათ, სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელებისგან შედგება, მეტიც, გახშირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ორი ინგლისელიდან ან ფრანგიდან ერთი ქერაა, მეორე კი ზანგი. ხვალ, ალბათ, ასეთსავე ტყუპებთან მოგვიწევს მუშაობა, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მათ აგრესიულობის კოეფიციენტის ასაწევად სხვადასხვა ფილმის ნახვა სჭირდებათ. მოვიტან ჩემი გუნდის, ესპანური „სალაბუნას“ მაგალითს. მის ადგილობრივ ფეხბურთელებზე მოქმედებს ფილმები დანაჩასობილ ძროხებზე, არაბებს პორნო აღაგზნებთ, მაგრამ პორნოს ჩვენება არაფრით შეიძლება უნიკალური სერბი ფორვარდისთვის, ვესელკო ტაშიჩისთვის. ამ ტიპის ფილმის ნახვის შემდეგ იგი საწვრთნელი ცენტრიდან იპარება, ხოლო თუ ჭიშკარი ჩარაზული დაუხვდა, უკან ბრუნდება. სამაგიეროდ მასზე ჩინებულად მოქმედებს ხორვატიული კინემატოგრაფი, სადაც ხშირად გვხვდება დაუბომბავი ზაგრების კადრები. სენეგალელებს ყველაფერს ჩამქვრალ ეკრანთან სხდომა ურჩევნიათ, ქართველი გარემარი — აღარმორბი დათუშკი ჩემიკაიძე კი აგრესიული იმ ფილმების ნახვის მერე ხდება, რომელშიც პოლიციელი დამნაშავეს ჯობნის. მაშ რა უნდა ვიღონოთ? ბუნებრივია, ეკონომიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, აჯობებდა გუნდი საწვრთნელ ცენტრთან ყველაზე ახლო მდებარე კინოში წაგვყვანა, კლუბის პრეზიდენტისთვის კი გვეთქვა, რომ ფილმი, რომლის ნახვაც ჩვენ გვინდა, ქალაქის მეორე ბოლოში გადის და იქამდე მისაღწევი, ჰლუს ბილეთის და უკან დასაბრუნებელი ფული გამოგვერთმია, მაგრამ თუ ახლოს კარგი არაფერია? ამიტომ, ასე უნდა მოვიქცეთ, მივდივართ ფეხბურთელებთან და ვეუბნებით: თქვე ახვრებო, ხვალ თუ არ მოიგებთ კაპიკს ვერ მიიღებთ, ვერც იკაიფებთ, ვერც ბოზებში წახვალთ და ვერც დალევთ, ცხოვრება კიდევ ამ სამისგან შედგება. კინო არა მინო. წადით ახლა დაეყარეთ, დაიძინეთ და ხვალ გაიღვიძეთ, თორემ თქვენ...“

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ სემინარს ესწრებოდა ქართველი მწვრთნელი, თბილისის „მაგრების“ თაკაცი ენგელბერტ პონტელავაც, რომელმაც ცოცხალი შთაბეჭდილებით შეავსო ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია.

— ბატონო ენგო, რომელმა ლექციამ დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— ნელა თქვი, რა. როგორ?

— რომელი ლექცია მო-გე-წო-ნათ?

— მე? ის, აჩკებიანი როჟა რო ატარებდა.

— რა იყო მასში აღ-სა-ნიშ-ნა-ვი?

— აღ... როგორ?

— სანიშნავი.

— ჩემი კაი, არ მიყვარს რა ეს ჟურნალისტები. ახლა რაღაცას დაწერს, ხო ვიცი; შენ იცი, მე ვინ ვარ?

— ვინ?

— სლიშკომა გაგიგია? იმის ძმა ვარ.

— გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის. კარგად ბრძანდებოდეთ.

პაპუნა კედია

ავტორი ყოველ შემთხვევაში თავს იზღვევს და აცხადებს, რომ თუ ვინმე სლიშკომა მართლა არსებობს, მისი სახელის პერსონაჟის სახელთან დამთხვევა შემთხვევითობაა და წინასწარ ბოდიშს იხდის

ლუის ვან გაალი პირიდან ორთქლს უშვებს

გორელებს ბოლო ვადად 11 თებერვალი დაუთქვეს

საქართველოს ჩემპიონატი

მეთექვსმეტე ტურში გორის საკალათბურთო გუნდს სდასუ-სთან არ უთამაშია, ფედერაციამ არ დართო ნება, გათამაშების ცხრილში კი ნული ქულა ჩაუწერა.

მოგეხსენებათ, კალათბურთის ფედერაციამ ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებს, მათ შორის „გორსაც“, დავალიანებების დაფარვა მოსთხოვა. ქართელელებს ფედერაციისა 3960 ლარი მართებდათ.

„ფული ჩარიცხულია და თქვენს საბანკო ანგარიშზე რამდენიმე დღეში იქნებაო“ — შემოთვალეს ორიოდ კვირის წინ გორელებმა. ფედერაციის მოხელეებმა იცადეს, მაგრამ ფული რომ ვერ მოიხელთეს, პირველ სანქციასაც მიმართეს — ნული ქულა მეთექვსმეტე ტურში.

ქართელელებს მსგავსი სასჯელი ჯერ კიდევ წინა ტურში ელოდათ, მაგრამ თბილისური „მაკაბი“ საზღვარგარეთული ტურნირისთვის რომ ემზადებოდა, გორელებს ორიოდ დღით ადრე დუპირისპირდა. ფედერაციის მიერ დაწესებული ვადა კი 27 იანვარს ამოიწურა.

ცუდი როდია, როცა კალათბურთის გუნდი გყავს, მაგრამ მის შესანახად ფულია საჭირო. ამიტომ საკითხავია, რისი იმედი ჰქონდათ „გორის“ მესვეურებს?

ეკონომიკური უნივერსიტეტის სპორტული კათედრის გამგე, გორის კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ალექსანდრე იაშვილი ქარელის, ხაშურისა და კასპის რაიონის გამგებელთა იმედად ყოფილა. ამათი იმიტომ ეიმედებოდა, რომ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულ ირაკლი ბოჭორიძეს ფედერაციაში ჩასარიცხი ფულის გადახდა სწორედ იმ რაიონთა თავკაცებისთვის დაუვალებია. „სამ ნაწილად გაყავით 3960 ლარი და „გორს“ შეეწიეთ“ — ასეთი იყო თურმე პრეზიდენტის რწმუნებულის ვერდიქტი.

სამწუხაროდ, კალათბურთის ფედერაციას ფული არ მიუღია და თუ გორელებმა დავალიანება 11 თებერვლამდე არ დაფარეს, გათამაშებიდან მოხსნა არ ასცდებათ.

ისე, ერთიც საკითხავია, კალათბურთის გუნდი გორელებს ეკუთვნით და ფული რატომ უნდა იხადონ ქარელის, კასპისა და ხაშურის გამგებლებმა?

დათო დანელია

კვირის მოთამაშე

მაიკლ ფინლი
• დალასი •



ამ ბოლო ხანებში მშვენივრად ირჯება „დალას მავერქსის“ უკანახაზელი მაიკლ ფინლი, ამიტომაც დაიმსახურა კვირის (31 იანვარი — 6 თებერვალი) მოთამაშის წოდება. ფინლი თავის მეხუთე და საუკეთესო სეზონს ატარებს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ათიოდე დღის წინ იგი დასავლეთ კონფერენციის 12-კაციან გუნდში მოხვდა და „ოლ სტარის“ მატჩში კონფერენციის ღირსებას დაიცავს. ეს უდიდესი პატივია მისთვის. ფინლის პირველად ხვდა წილად ეს ბედნიერება და ახლა ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ოლ სტარში“ თამაშის ღირსი ნამდვილად არის.

გასულ კვირას „დალასმა“ ოთხი თამაშიდან სამში იზეიმა გამარჯვება, რაშიც, ცხადია, სწორედ ფინლის მიუძღვის დიდი წვლილი. „მავერიქსმა“ კვირა ცუდად დაიწყო და „ფილადელფიასთან“ 100:101 დამარცხდა. იმ შეხვედრაში ფინლი 21 ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ, მერე აიწყვიტა და მომდევნო სამი მეტოქე შეინირა. კვირის ლაურეატმა „შარლოტს“ 32 ქულა ჩაუგდო, „ვანკუვერს“ — 34, „ლიპერსთან“ კი 19 ქულას 10 მოხსნა და 9 პასი წაამატა და სულ ერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა სამმაგ დუბლამდე. საბოლოოდ ამ ოთხ თამაშში ფინლის საშუალოდ 26,5 ქულა, 8,0 მოხსნა, 6,3 პასი და 2,25 ჩაჭრა მოუგროვდა. ამჟამად მისი საშუალო შედეგიანობა 22,7 ქულაა, რის მიხედვითაც ლიგის ბომბარდირებში იგი მეთორმეტე საფეხურზეა. ამასთან მაიკლი თამაშში საშუალოდ 42,3 წუთს ატარებს მოედანზე და ამ მხრივ მას ლიგაში ვერავინ სჯობს.

ფინლის კვირის მოთამაშის ტიტულში ეცილებოდნენ: დერიკ კოულმენი (შარლოტი), ტონი კუკოჩი (ჩიკაგო), ანდრე მილერი (კლივლენდი), ანტონიო მაკდაისი (დენვერი), ჯამალ მაშბურნი (მაიამი), კევინ გარნეტი (მინესოტა), პატრიკ იუინგი (ნიუ იორკი), ჩაკი ეტკინსი (ორლანდო) და გერი პეიტონი (სიეტლი).

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
მაიამი	29	17	63,0
ნიუ იორკი	28	18	60,9
ფილადელფია	26	22	54,2
ორლანდო	23	26	46,9
ბოსტონი	21	26	44,7
ნიუ ჯერსი	18	29	38,3
ვაშინგტონი	15	33	31,3
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	31	16	66,0
შარლოტი	26	20	56,5
ტორონტო	25	20	55,6
მილუოკი	26	23	53,1
დეტროიტი	24	23	51,1
კლივლენდი	19	28	40,4
ატლანტა	18	27	40,0
ჩიკაგო	10	35	22,2

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი	მ	წ	%
სან ანტონიო	30	17	63,8
იუტა	28	18	60,9
მინესოტა	27	18	60,0
დენვერი	21	25	45,7
დალასი	20	27	42,6
ჰიუსტონი	19	29	39,6
ვანკუვერი	13	33	28,3
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი	37	11	77,1
ლეიკერსი	36	11	76,6
სიეტლი	30	19	61,2
საკრამენტო	28	18	60,9
ფინიქსი	27	19	58,7
გოლდენ სტეიტი	12	34	26,1
კლიპერსი	11	36	23,4

რეგულარული ჩემპიონატი

კოზიზე აუზი არ დაგცდეთ!

ინდიანა — ფილადელფია. ინდიანელი რიკ სმიტსი (მარჯვნივ) ფილადელფიელ ჯორჯ ლინჩს უფარებს

AP ინდიანაპოლისიდან

7 თებერვალი

ლეიკერსი 106:98 დენვერი

ლეიკერსი: ონილი (35 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), ბრაიანტი (29 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა)

დენვერი: მაკდაისი (24 ქულა, 12 მოხსნა), ვან ექსელი (18)

მილუოკი 111:115 პორტლენდი

მილუოკი: რობინსონი (27), ალენი (26), კასელი (18 ქულა, 13 პასი)

პორტლენდი: სმიტი (24)

ინდიანა 109:84 ფილადელფია

ინდიანა: მილერი (32)

ფილადელფია: რეთლიფი (16 ქულა, 13 მოხსნა)

ორლანდო 120:100 გოლდენ სტეიტი

ორლანდო: ამაეჩი (25), დოლიკი (23)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (22), ვ. კამინგსი (19)

შარლოტი 95:85 ნიუ იორკი

შარლოტი: ჯონსი (34), კოულმენი (29 ქულა, 13 მოხსნა)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (26)

ერთი პირობა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ უძლეველი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მეტოქეებსაც პანტაპუნტა იბრიყვებდა და მაშინ, როცა კაცი იფიქრებდა, მოხსნეს ყველა რეკორდი ამ დეკემბრებმაო, „ლეიკერსს“ ჩავარდნა დაეწყო, ბლომად წაგებების შემდეგ დასავლეთში თავისზე წინ „პორტლენდი“ გაუშვა. ახლა კალიფორნიელები ძალებს იკრებენ და სულ მცირედით ჩამორჩებიან „პორტლენდს“, რომელსაც ზურგსუკან „ლეიკერსის“ სუნქთვა ესმის.

„ლეიკერისს“ ახლა ყველა წაფორთხილება ძვირად უღირს. შინ, 19 ათასი გულშემატკივრის თვალწინ ლამის სირცხვილი ჭამა „დენვერთან“. თუ „ლეიკერსს“ პირველობა უნდა, „დენვერი“ პლეი ოფში მოხვედრაზე ოცნებობს და ამისთვის არაფერს იშურებს. მთიანი კოლორადოდან მზიურ კალიფორნიას ნასტუმრები „ნაგიტსი“ იოლად არ თმობდა და ბობოლა მეტოქეს ერთობ დატანჯა, მაგრამ მასპინძელთა ძალამ მატჩის ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. „დენვერს“ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ძალიან სურდათ სტუმრებს გამარვჯება, განსაკუთრებით ორ მათგანს — ექსლეიკერსელ გამთამაშებელ ნიკ ვან ექსელს და დენვერის ერთ-ერთ მწვრთნელ ჯონ ლუკასს. ბუნებრივია, რომ ვან ექსელი ყოფილ გუნდს მტრობს, მაგრამ „ლეიკერსთან“ რა ხელი აქვს ლუკასს, ეს ცოტა არ იყოს გაუგებარია. „ნაგიტსის“ მწვრთნელის თანაშემწე განსაკუთრებით „ლეიკერსის“ 21 წლის მსროლელს, კობი ბრაიანტს ერჩის. როგორც ჩანს, ლუკასი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, ბრაიანტის ვარსკვლავობას ეჭვის თვალით რომ უყურებენ. ლუკასი, როცა საშუალება მიეცემა, ყოველთვის აკრიტიკებს ბრაიანტს და არც ახლა დაკლო ხელი, კარგად „შეამკო“ მატჩის დაწყებამდე. კობისასაც, როგორც ჩანს, ყელში ამოუვიდა და კარგი პასუხიც გასცა: „მაგას ურჩევნია, მოკეტოს, ყოველი თამაშის წინ იმას გაიძახის, რა გაგახარებთო. ჰოდა, თამაშმა დაგვანახა ვის რისი შნო აქვს“. ბრაიანტი აღელვებული, ამავე დროს ნასიამოვნებიც იყო, იმ უბირ კაცს ჭკუა რომ ასწავლა. იმ დღეს ბრაიანტი მართლაც მშვენივრად გაისარჯა, ქულებიც-ბლომად აგროვა და სხვა სარგებელიც მოუტანა თავისიანებს. კობის სულ ერთი მოხსნა დააკლად სამმაგ დუბლამდე. თანაც ბოლო მეოთხედში აფეთქდა, რა ცა მისი გუნდი 10 ქულას აგებად. მან ერთ მონაკვეთში 10 ქულა გაახერხა, ასევე ბრწყინვალე შაკილ ონილმა შვიდიც წაუმატა და გამარვჯებაც მასპინძლებს ერგოთ. სამმაგი დუბლის შესრულების შანსი ჰქონდა ბრაიანტის გოლით თანაგუნდელ ონილსაც, მას სულ ორი შედეგიანი გადაცემა დააკლდა, მაგრამ იგი ხომ გამთამაშებელი არაა. ასე რომ, მისი რვა პასი ჩინებულ შედეგად უნდა ჩაითვალოს.

„ლეიკერსთან“ ერთად მოიგო „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმაც“, რამაც საშუალება მისცა, დასავლეთში პირველი ადგილი შეენარჩუნებინა. არადა, ისიც ახლოს იყო მარცხთან. მილუოკელთა ლიდერები — კასელი, რობინსონი და ალენი ყველა ღონეს ხმარობდნენ, მძლავრი მეტოქე შინ ნაწყენი გაეშვათ. განსაკუთრებით ორმა უკანასკნელმა გამოიღო ხელი. ალენი და რობინსონი ამ უქმეებზე „ოლ სტარს“ გაუსინჯავენ გემოს, მაგრამ მანამდე ცდილობენ, არც საკუთარი გულშემატკივრებთან შერცხვნენ. არ გამოუვიდათ, მძლავრი გუნდია „პორტლენდი“ და მართალია, დასავლელი ბობოლა მეოთხე მეოთხედის დაწყებამდე ექვსი ქულის სხვაობით აგებდა, ბოლო თორმეტწუთეულში სტუმრებმა მასპინძლებს 37 ქულა წაჰგლიჯეს და პირველი ადგილი შეინარჩუნეს არა მარტო დივიზიონში, არამედ კონფერენციაში და საერთოდ ლიგაში.

რამდენიმე წლის წინ დღესდღეობით „ფილადელფიის“ თავკაცი ლარი ბრაუნი „ინდიანა პეისერს“ წვრთნიდა, მან ეს საშუალო გუნდი აღმოსავლეთის ერთ-ერთ გრანდად აქცია. ახლა ბრაუნს, რომელსაც ლიგაში ყველაზე მკაცრი მწვრთნელის სახელი აქვს დაგდებული, სურს, „ფილადელფიაც“ „ინდიანას“ დარად აღაზევოს, მაგრამ მთლად კარგად ვერ მისდის საქმე. „ფილადელფია“ კარგი გუნდი კია, მაგრამ მოგებაწაგების ბედი მხოლოდ ერთ კაცზე, ალენ აივერსონზეა დამოკიდებული. აივერსონზე ძნელად თუ დასცდება ვინმეს აუგი, ეს 183-სანტიმეტრიანი ბიჭი თამაშში საშუალოდ 31,5 ქულას აგროვებს. მაგრამ ალენი რკინისა ხომ არაა და ვერც ყველა თამაშს ატარებს ერთ დონეზე. წინა დღეს მან „საკრამენტოს“ 50 ქულა ჩაუგდო და თავისი კარიერის და ლიგის მიმდინარე სეზონის რეკორდსაც გამოჰკრა ხელი. სამაგიეროდ, წინა დღის მატჩით დაღლილ-დაქანცულმა თავისი მწვრთნელი ვერ ასიამოვნა და ბრაუნის ძველ შეგირდებთან 14 ქულით დაკმაყოფილდა.

ბრაუნი ერთ დროს მის შეგირდებში საუკეთესომ, რეჯი მილერმა დაამწუხრა, რომელმაც მისთვის ამ სეზონში ყველაზე მეტ 32 ქულას მოუყარა თავი. რითაც ორი კურდღელი დაიჭირა — „ფილადელფიასაც“ ლამის მარტომ აჯობა და კარიერაში დაგროვილი ქულებით ლიგის ისტორიაში 30-ე ადგილზე მყოფ ედი ჯონსონს გადაუსწრო. ახლა მას კარგი შანსი აქვს, მომდევნო თამაშში კიდევ ერთი საფეხურით წაიწიოს. 29-ე ადგილზე მყოფ დოლფ შეიეს 19247 ქულა დაუგროვებია და სულ 27-ით უსწრებს „ინდიანას“ ლიდერს.

„ოლდანდოს“ რიგებში პირველად და არცთუ ურიგოდ ითამაშა „დენვერიდან“ ახლახან გადმოყვანილმა რონ მერსერმა. მან 18 ქულა შეაშველა ახალ გუნდს თუმც „ორლანდო“ მას არცთუ დიდად საჭიროებდა. ფლორიდელები უკვე პირველი ნახევრის შემდეგ გაექცნენ „გოლდენ სტეიტს“ 22 ქულით და მერე ახლოსაც არ გაიკარეს ქვეყნის საპირისპირო მხარიდან მოსული სტუმარი.

შარლოტელმა ედი ჯონსმა, გარდა იმისა, რომ ნიუიორკელ ალან ჰიუსტონს „ოლ სტარის“ სასტარტო ხუთეულს გამოსავლენ გამოკითხვაში აჯობა, მათი გუნდების შეხვედრაშიც უკეთ გაისარჯა. მათმა ჭიდილმა კიდეც გადაწყვიტა გამარჯვებულის ვინაობა. საბოლოოდ ჯონსმა 34 ქულა შეაგროვა, რაც მისთვის სეზონში სარეკორდოა და სულ რამდენიმე ქულა დააკლდა კარიერის რეკორდამდე. თან შარლოტელს „ნიუ იორკის“ წინააღმდეგ თავის გამოდების სხვა საბაბიც ჰქონდა. 20 დეკემბერს ამ გუნდების შეხვედრაში „ნიუ იორკის“ თავდამსხმელმა კურტ ტომასმა მას ხელი ატკინა და ჯონსს თავისი გუნდის ათი თამაშის გამოტოვება მოუხდა. საერთოდ ედი ჯონსს უემოციო კაცად იცნობენ, მაგრამ თამაშის შემდეგ იგი სიხარულს ვერ ფარავდა და ამბობდა, დღეს ქვეყანა ჩემი მგონიაო.

ირაკლი ფირაშვილი

საბერძნეთი

XIX ტური

ირაკლიონი — პანიონიოსი 93:74, ირაკლისი — დაფნი 53:42, პანათინაიკოსი — მარუსი 70:71, ესპეროსი — პაოკ 61:69, ოლიმპიაკოსი — სპორტინგი 79:53, არისი — აეკ 82:77, ნიარ ისტი — პერისტერი 93:84

ათენის „მარუსიმ“ ლიდერთა რისხვის სახელი დაიგდო. ჯერ იყო და სალონიკში მოუგო პაოკ-ს, ჩემპიონატის ბოლო ტურში კი „პანათინაიკოსი“ იმსხვერპლა. ცხრილის შუაგულში უიმედოდ მოტრიალე „მარუსისგან“ ბერძნული კალათბურთის ფლაგმანის დამარცხება „ათწლეულის სენსაციად“ მოინათლა. „პანათინაიკოსი“ უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა, მატჩის ბედი კი სირენამდე სამი წამით ადრე გადაწყდა: „მარუსის“ ამერიკელმა ჰენრი ტერნერმა ორი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებს 71:70 გაამარჯვებინა.

სალონიკში ჩემპიონატის ლიდერის თავი გაგორდა. ათენის აეკ-მა დამატებით დროში წააგო „არისთან“. სალონიკელებმა მატჩის 53-ე წამზე (!) ტრავმის გამო მოისაკლისეს კაპიტანი პანაიოტის ლიადელისი. გუნდის ლიდერობა ამერიკელმა ჯო არლაუსკასმა ითავა და სიგალასის, ფლორისის და ხრიზანტოპულოსის დახმარებით ლიდერს დიდი ბრძოლა გაუმართა. ძირითადი დროის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე აეკი რვა ქულით იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. არლაუსკასმა საფინალო სირენისთანავე ჩააგდო სამქულიანი და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. იქ კი მასპინძლებს მეტი ჯანი შემორჩენოდათ.

ლიდერობა კი პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ ჩაიგდო ხელთ, რომელმაც იოლად სძლია აუტსაიდერ „სპორტინგს“. მართალია, ახალ ლიდერს, აეკ-ს და „პანათინაიკოსს“ ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ, მაგრამ „ოლიმპიაკოსს“ ორივე კონკურენტი დამარცხებული ჰყავს და ამიტომაც გადმოჰყურებს სატურნირო ცხრილის კენწეროდან.

ოლიმპიაკოსი	19	15	4	1360:1189	34
აეკ	19	15	4	1424:1252	34
პანათინაიკოსი	19	15	4	1438:1212	34
პაოკ	19	13	6	1411:1315	32
პერისტერი	19	11	8	1401:1375	30
პანიონიოსი	19	10	9	1406:1391	29
ირაკლისი	19	9	10	1326:1290	28
მარუსი	19	9	10	1307:1322	28
ნიარ ისტი	19	8	11	1402:1525	27
არისი	19	8	11	1342:1354	27
ირაკლიონი	19	8	11	1398:1385	27
დაფნი	19	7	12	1317:1454	26
ესპეროსი	19	3	16	1262:1505	22
სპორტინგი	19	2	17	1249:1464	21

თურქეთი

XX ტური

ითუ — ფენერბაჰჩე 79:92, გალათასარაი — დარუშაფაკა 73:77, ქომბასანი — ბეშიქთაში 72:82, ქარშიაქა — ტროი 89:88, მიდონოსე — ტელეკომი 77:83, ეფესი — ულქერი 88:72, ოიაქი — თოფაში 67:80

ეფესი	20	16	4	1528:1402	36
თოფაში	20	15	5	1474:1335	35
ბეშიქთაში	20	14	6	1495:1424	34
ტელეკომი	20	13	7	1509:1434	33
ულქერი	20	13	7	1511:1426	33
ქარშიაქა	20	13	7	1485:1415	33
დარუშაფაკა	20	11	9	1504:1514	31
ფენერბაჰჩე	20	11	9	1551:1498	31
გალათასარაი	20	10	10	1498:1454	30
ტროი	20	6	14	1548:1628	26
მიდონოსე	20	6	14	1550:1633	26
ქომბასანი	20	6	14	1402:1449	26
ითუ	20	5	15	1343:1520	25
ოიაქი	20	1	19	1308:1574	21

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და ბუნებრივი აირით

სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

სლოვენია

ბოისა ვარსკვლავებში გაერია

ოლ სტარი

სლოვენიელები 109:80 უცხოელები

სლოვენიელები: ზდოვცი (7), ბეჩიროვიჩი (11), მილიჩი (20), სმოდიში (20), კოტნიკი (14); დრაგშიჩი (2), ბ. უდრიჰი (3), დუშჩაკი (8), ბრეეეცი (9), იურაკი (9), პარავინია (8), ნახბარი (8)

უცხოელები: იასიკევიჩუსი (17), კაპრიმანოვიჩი (3), გოლიოვიჩი (7), პეტრანოვიჩი (3), ლისიცა (6); ბოისა (7), მოდრიჩი (2), მილაჩიჩი (4), ოვჩინა (12), ვისკოვიჩი (11), პრიმორაცი (8)

ვლადიმერ ბოისა (მარცხნიდან პირველი) „უცხოელთა“ წუთშესვენებაზე

STING ლიუბლიანიდან

სლოვენიური კალათბურთის ზეიმს ლიუბლიანის „ჰალა ტივოლიში“ სამი ათასი კაცი დაესწრო, რაც, იქაური საზომებით, საკმაოდ ბევრია. მოთამაშეებმაც არ გაუწბილეს მაყურებელს იმედი და ლამაზი სანახაობა აჩუქეს. მატჩის უკლებლივ ყველა მონაწილე ეფექტურად გარჯას და თვალსაჩინოდ თამაშს ცდილობდა. ჩვენთვის კი იმ გახლავთ სასიამოვნო, რომ ამ ზეიმში ქართველი კალათბურთელიც მონაწილეობდა, ლიუბლიანის „სლოვანის“ ფორვარდი ვლადიმერ ბოისა.

სლოვენიის „ოლ სტარი“ იმ წესებით გაიმართა, რომელიც ძალაში შევა მომავალი სეზონიდან. გუნდებმა ოთხი ათწუთიანი მეოთხედი ითამაშეს, ბურთის ფლობისთვის კი 24 წამი იყო განკუთვნილი, ახლანდელი 30-ის ნაცვლად. ბოისამ ჯამში 18 წუთი ითამაშა და 7 ქულა დააგროვა, თუმცა, ამგვარ მატჩში სტატისტიკურ მაჩვენებლებზე გამოდევნება უადგილოც კი გახლავთ. ერთს ვიტყვით, რომ სლოვენიის ჩემპიონატში მოთამაშე სლოვენიელი ეროვნების კალათბურთელთა გუნდმა ოთხივე მეოთხედი მოუგო იმავე ჩემპიონატში მოასპარეზე უცხოელთა ნაკრებს. ლოგიკურად, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან შემადგენლობის მხრივ „სლოვენიელები“ გაცილებით ძლიერნი იყვნენ მეტოქეზე. მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ კი „სლოვენიელთა“ და ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ფორვარდი მარკო მილიჩი დაასახელეს. საერთოდ, მილიჩმა მეხუთედ ითამაშა სლოვენიის „ოლ სტარი“ და მეორედ გახდა მისი უძვირფასესი მოთამაშე (პირველად — 1997 წელს).

„ოლ სტარის“ პროგრამით გაიმართა სამქულიანის სროლების და ჩატენვების კონკურსი. ჩვენთვის ეს უკანასკნელი გახლდათ საინტერესო, რადგან მასში მონაწილეობდა „სლოვანის“ ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი. საწყისი ორი ჩატენვა ცქიტიშვილმა კარგად შეასრულა, მაგრამ მესამე ცდაზე ხელი მოიცარა და ფინალს მიღმა დარჩა. ამ კონკურსში გაიმარჯვა კრანის „ტრიგლავის“ წევრმა იაკა ჰლადნიკმა, ხოლო სამქულიანებში ყველას აჯობა დომზალეს „ჰელიოსის“ მოთამაშე სამო პლევნიკმა.

მატჩის წინ კი 1999 წელს თავგამოჩენილი ხალხი დააჯილდოვეს. წლის საუკეთესო მწვრთნელად „ოლიმპიას“ დამრიგებელი ზმაგო საგადინი დაასახელეს. წლის საუკეთესო მოთამაშე გახდა ლაშკოს „პიეოვარნას“ იუგოსლავიელი ფორვარდი მილიან გოლიოვიჩი, ხოლო წლის საუკეთესო ახალბედად „სავინსკის“ ბენო უდრიჰი შერაცხეს.

სლოვენიის ჩემპიონატი კი შაბათს, 12 თებერვალს განახლდება. ქართველების გუნდს, ლიუბლიანის „სლოვანს“ მეტად პრინციპული მატჩი ელის დომზალეში, იქაურ „ჰელიოსთან“.

იტალია

XX ტური

კინდერი — ბენეტონი 77:83, მიულერი — ფორტიტუდო 93:110, ვიოლა — ადეკო 83:71, ძუკეტი — პეპსი 79:56, ვარეზე — რეჯანა 72:55, აეროპორტი — კანტუ 77:74, იმოლა — სიენა 77:62, ტრიესტი — სკავოლინი 85:93

ფორტიტუდო	20	19	1	1589:1359	39
კინდერი	20	14	6	1548:1360	34
ბენეტონი	20	14	6	1512:1410	34
აეროპორტი	20	14	6	1477:1436	34
სკავოლინი	20	13	7	1541:1477	33
სიენა	20	12	8	1409:1365	32
ვიოლა	20	12	8	1489:1523	32
ძუკეტი	20	11	9	1506:1481	31
იმოლა	20	9	11	1596:1610	29
ვარეზე	20	8	12	1448:1459	28
ტრიესტი	20	5	13	1424:1422	27
პეპსი	20	6	14	1389:1515	26
ადეკო	20	6	14	1399:1531	26
კანტუ	20	6	14	1392:1537	26
მიულერი	20	5	15	1381:1491	25
რეჯანა	20	4	16	1479:1603	24

ესპანეთი

XXII ტური

ესტუდიანტესი — კასერესი 87:80, ბრეოგანი — ტდკ 60:69, კანტაბრია — ფორუმი 56:76, ხიხონი — კანარიასი 76:81, ლეონი — ბარსელონა 62:84, უნიკახა — ტაუ 78:75, პამესა — კახა სან ფერნანდო 59:65, ხირონა — ბადალონა 97:83, ფუენლაბრადა — რეალი 55:77

პამესა	22	17	5	1792:1605	39
სან ფერნანდო	22	17	5	1631:1476	39
ესტუდიანტესი	22	15	7	1625:1517	37
ტაუ	22	14	8	1755:1610	36
ბარსელონა	22	14	8	1618:1486	36
უნიკახა	22	13	9	1542:1517	35
რეალი	22	13	9	1632:1538	35
კანარიასი	22	12	10	1628:1664	34
ხირონა	22	10	12	1633:1593	32
ბადალონა	22	10	12	1717:1743	32
კასერესი	22	10	12	1597:1637	32
ფორუმი	22	10	12	1510:1561	32
ბრეოგანი	22	9	13	1589:1660	31
ტდკ	22	8	14	1493:1575	30
ფუენლაბრადა	22	7	15	1626:1674	29
ხიხონი	22	7	15	1478:1662	29
ლეონი	22	6	16	1451:1580	28
კანტაბრია	22	6	16	1515:1734	28

საფრანგეთი

XXII ტური

ლიმოჟი — ბეზანსონი 86:57, პარი სენ ჟერმენი — დიჟონი 82:59, ნანსი — შამპანი 74:71, საონი — მონპელიე 82:53, ვილერბანი — ევრე 84:50, შოლე — ანტიბი 85:78, გრაველინი — ლე მანი 93:83, სტრასბური — პო ორტეზი 73:69

საფრანგეთის ჩემპიონატში ამ უკანასკნელ 22-ე ტურის შეხვედრები ჩატარდა. „პო ორტეზმა“ მეექვსე სეზონური მარცხი იწვნია უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტ „სტრასბურთან“. ფინანსურ კრიზისში მყოფმა „ლიმოჟმა“ „ბეზანსონი“ გაანადგურა. მაჩანჩალა „გრაველინმაც“ მოიგო და უძლიერესთა რიგებში დარჩენის იმედიც შეინარჩუნა.

ერთი სიტყვით, ვითარება ძალიან დაიძაბა. თუ „ვილერბანი“ ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად ითვლება, სამაგიეროდ, ევროთასებზე გასვლისთვის ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. მეორე და მეცხრეადგილოსნებს მხოლოდ ოთხი ქულა აშორებთ და საქმე იქითკენ მიდის, რომ ის სხვაობა კიდევ უნდა შემცირდეს. ის დრო, როცა საფრანგეთის ჩემპიონატში ორი გუნდი („პო ორტეზი“ და „ვილერბანი“) ბატონობდა და ოქროს მედლების ბედს ურთიერთშეხვედრებში წყვეტდა, წარსულს ჩაბარდა. სხვა კლუბებიც მოძლიერდნენ და ახლა ადრინდელი ლიდერები უწინდებურად ხელშეუხებელნი აღარ არიან. ამის ნათელი მაგალითია „პო ორტეზი“, რომელსაც უკვე იმდენი წაგება დაუგროვდა, რაც გასულ ორ სეზონში ერთად აღებული.

სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში დიდი დაძაბულობაა, რადგან მე-13 ადგილზე მყოფი „ანტიბი“ ბოლოადგილოსან „გრაველინს“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს და თუ ვინ გავარდება, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ამ ტურში „ანტიბმა“ მშვენივრად დაიწყო მატჩი შოლეში. „მეილრეში“ თავმოყრილი 4500 მაყურებელს პირველი წრის შეხვედრა გაახსენებდოდა, რომელიც ზღვისპირელებმა კონტრერიშების წყალობით 66:58 მოუგეს „შოლეს“. ახლაც, რამდენიმე სწრაფი კონტრიერიში და სტუმრები 8:0 დაწინაურდნენ, და მთელი პირველი ტაიმიც მშვენივრად ჩაატარეს. ანტიბელთა რიგებში რუსი მილოსერდოვი (23 ქულა) გამოირჩეოდა, რომელიც ახლახან მივიდა გუნდში. იგი მოედანზე რჩევებსაც არ აკლებდა თანაგუნდელებს და პირველი ტაიმიც „ანტიბმა“ მოიგო 49:45. შესვენების შემდეგ „შოლეს“ მწვრთნელმა თამაშში ამერიკელი სტივენსონი ჩართო, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ბარძაყის ტკივილის გამო იჯდა. მანაც იმედი არ გაუცრუა დამრიგებელს და 26-ე წუთისთვის თავისიანები 59:58 დააწინაურა, ჯამში კი 18 ქულას მოუყარა თავი. „ანტიბმა“ კი სწრაფ ტემპს ვეღარ გაუძლო, რადგან მხოლოდ ექვსი კალათბურთელით თამაშობდა და საბოლოოდ დასანანი მარცხი იგემა.

„პო ორტეზს“ უმძიმესი ბრძოლა გადახდა სტრასბურში. ალზასელები დაცვაში მეტისმეტად მჭიდროდ მეურვეობდნენ მოწინააღმდეგეებს და მათ თავისუფლად სროლის საშუალება ერთხელაც არ მისცეს. ჰოელთა უნგრელი გიგანტის გულიანის არყოფნაში მასპინძლებმა ფარზეც გაიალაღეს, თუმცა ჩემპიონი იოლად არ დანებებულა და ბოლო წუთებზე შეეძლო, ზედიზედ მესამე მარცხისგან თავი ეხსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოუვიდა და სატურნირო ცხრილში „ლიმოჟი“ გაუშვა წინ.

„ლიმოჟის“ დაცვა ბეზანსონელებისთვის ლამის გაუვალი იყო. სამაგიეროდ, ბონატოს და მის თანაგუნდელებს არ უჭირდათ ქულების მოგროვება და მათმა გუნდმაც ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

„ევრე“ კი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა, თუმცა მისი წაგება მოსალოდნელიც იყო. „ვილერბანი“ მეტოქეს თამაშის ყველა კომპონენტში მთელი თავით სჯობდა და მატჩის ბედიც მალევე გადაწყვიტა. მეორე ტაიმში მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ბენიომ ძირითადი ხუთეულის მოთამაშეებს დასვენების უფლებაც მისცა, „ევრემ“ კი „ვილერბანის“ სათადარიგოებთანაც ვერაფერი გააწყო.

„პარი სენ ჟერმენმა“ მოულოდნელად ძალიან იოლად აჯობა „დიჟონს“ (82:59). არადა, სტუმრებს აქამდე ექვსმატჩიანი მოგებების სერია ჰქონდათ, რაც მათ საკმაოდ კარგ ფორმაზე მიუთითებს. თავიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა და მე-10 წუთისთვის ანგარიშიც თანაბარი იყო — 18:18. ამის მერე პარიზელთა ამერიკელმა ლეგიონერმა კინგმა გამოიღო ხელი (18 ქულა) და პირველი ტაიმიც დედაქალაქელებმა 41:31 მოიგეს. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა აჩერჩის (17 ქულა) და სკიარა (13 ქულა) წყალობით კიდევ უფრო გაიზარდა და ჯამ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მიითვალა.

ვილერბანი	22	18	4	1689:1486	40
ლიმოჟი	22	16	6	1656:1508	38
პო ორტეზი	22	16	6	1700:1613	38
პსჟ	22	14	8	1628:1429	36
საონი	22	14	8	1656:1519	36
შოლე	22	13	9	1624:1587	35
დიჟონი	22	12	10	1686:1608	34
ლე მანი	22	12	10	1645:1620	34
სტრასბური	22	12	10	1584:1593	34
ნანსი	22	9	13	1521:1569	31
ბეზანსონი	22	8	14	1595:1625	30
ევრე	22	8	14	1502:1602	30
ანტიბი	22	7	15	1477:1659	29
შამპანი	22	6	16	1532:1650	28
მონპელიე	22	6	16	1505:1684	28
გრაველინი	22	5	17	1513:1761	27

AFP ლიმოჟიდან

ლიმოჟი — ბეზანსონი 86:57. ლიმოჟელი მარკუს ბრაუნი (ბურთით) ფრედ ნეკემბეს გაურბის

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-19 ტური

9 თებერვალი

005	შტუტგარტი-ჰამბურგი	2,2	2,8	3,1
006	დუისბურგი-უნტერჰახინგი	1,9	2,8	3,8
007	ვოლფსბურგი-დორტმუნდი	2,4	2,8	2,7
008	ბაიერნი-ლევერკუზენი	1,7	3,0	4,7
009	აინტრახტი-ფრაიბურგი	2,3	2,9	2,8

გერმანია. II ბუნდესლიგა

9 თებერვალი

010	ბოხუმი-ჰანოვერი	1,7	3,1	4,4
011	ობერჰაუზენი-კარლსრუე	2,3	2,9	2,8

ჰოლანდია

9 თებერვალი

019	ტვენტე-ვალვაიკი	1,6	3,2	5,0
020	მაასტრიხტი-დენ ბოსხი	1,6	3,2	5,0
021	ალკმარი-სპარტა	1,6	3,2	5,0
022	ტილბურგი-ნაიმეგენი	1,4	3,6	6,5
023	ტილბურგი-ნაიმეგენი 0:1	2,0	3,2	2,3
024	სიტარდი-ფვეენოორდი	5,0	3,2	1,6

10 თებერვალი

025	პსვ აიაქსი	2,1	2,9	3,2
026	როდა-უტრეხტი	1,5	3,4	5,6

საფრანგეთი. ლიგის თასის 1/4 ფინალი

10 თებერვალი

027	ნანსი-სოშო	1,5	3,4	5,6

იტალია. თასის 1/2 ფინალი. I მატჩები

9 თებერვალი

028	კალიარი-ინტერი	3,4	2,9	2,0

10 თებერვალი

029	ლაციო-ვენეცია	1,15	5,6	10,0

ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი

9 თებერვალი

030	ესპანიოლი-კომპოსტელა	1,3	4,0	7,5
031	რეალი-მერიდა	1,15	5,6	10,0
032	ატლეტიკო-რაიო ვალეკანო	1,7	3,1	4,4

10 თებერვალი

033	ოსასუნა-ბარსელონა	5,6	3,4	1,5

პორტუგალია. თასის 1/4 ფინალი

9 თებერვალი

034	გიმარაეში-მორეირენსე	1,2	5,0	9,0
035	სპორტინგი-დრაგშეში	1,1	6,0	12,0
036	პორტუ-ფაფე	1,05	8,0	14,0
037	რიუ ავე-ბოავიშტა	3,5	3,0	1,9

ბელგია. ლიგის თასის 1/4 ფინალი

9 თებერვალი

038	ლიერსი-ბრიუგე	2,5	2,9	2,5

აფრიკის თასი. 1/2 ფინალი

10 თებერვალი

501	კამერუნი-ტუნისი	2,0	2,9	3,4
502	სამხრეთ აფრიკა-ნიგერია	3,4	2,9	2,0

კალათბურთი. NBA

9 თებერვალი

807	ბოსტონი-ინდიანა	1,7	12,0	1,7
808	ფილადელფია-ნიუ ჯერსი	1,15	12,0	4,0
809	ორლანდო-ვაშინგტონი	1,15	12,0	4,0
810	მაიამი-გოლდენ სტეიტი	1,1	12,0	5,0
811	შარლოტი-კლივლენდი	1,15	12,0	4,0
812	ატლანტა-ჰიუსტონი	1,5	12,0	2,0
813	დეტროიტი-ტორონტო	1,5	12,0	2,0
814	მილუოკი-ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7
815	დალასი-სიეტლი	2,0	12,0	1,5
816	დენვერი-სან ანტონიო	2,0	12,0	1,5
817	იუტა-ჩიკაგო	1,1	12,0	5,0
818	ლეიკერსი-მინესოტა	1,1	12,0	5,0
819	პორტლენდი-კლიპერსი	1,05	12,0	7,5

10 თებერვალი

820	ფინიქსი-მინესოტა	1,4	12,0	2,3
821	კლიპერსი-ვანკუვერი	1,7	12,0	1,7
822	საკრამენტო-დენვერი	1,15	12,0	4,0

კალათბურთი. ევროლიგა

9 თებერვალი

823	პაოკ ოლიმპია	1,6	12,0	1,8
824	ვარეზე-ეფესი	1,8	12,0	1,6
825	პივოვარნა-ფორტიტუდო	2,8	12,0	1,3

10 თებერვალი

826	ალბა-ცსკა	1,7	12,0	1,7
827	თოფაში-ბარსელონა	2,0	12,0	1,5
828	ჟალგირისი-ბენეტონი	2,0	12,0	1,5
829	შოლე-პანათინაიკოსი	2,5	12,0	1,35
830	ცრვენა ზვეზდა-რეალი	2,5	12,0	1,35
831	კახა ს.ფ.-ვილერბანი	1,4	12,0	2,0
832	ბედეჩნოსტი-ოლიმპიაკოსი	1,4	12,0	2,0
833	პო ორტეზი-მაკაბი	1,5	12,0	1,9
834	ულქერი-ციბონა	1,4	12,0	2,3

ჰოკეი. NHL

9 თებერვალი

843	ტორონტო-ფილადელფია	1,8	4,4	2,2
844	ნიუ ჯერსი-რეინჯერსი	1,5	4,4	3,0
845	პიტსბურგი-ატლანტა	1,25	4,4	4,4
846	ფლორიდა-სან ხოსე	1,5	4,4	3,0
847	ფინიქსი-ლოს ანჯელესი	1,7	4,4	2,4
848	ვანკუვერი-კალგარი	2,0	4,4	2,0
849	ანაჰაიმი-დალასი	2,0	4,4	2,0

10 თებერვალი

850	სენტ ლუისი-დეტროიტი	1,8	4,4	2,2
851	მონრეალი-ვაშინგტონი	2,1	4,4	1,9
852	ატლენდერსი-ტამპა ბეი	1,8	4,4	2,2
853	ფილადელფია-ედმონტონი	1,4	4,4	3,4
854	ნეშვილი-ბუფალო	1,9	4,4	2,1
855	კოლორადო-კალგარი	1,5	4,4	3,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასნვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ლეონსიოს ლომის წილი

ლევან ცაბაძე

ირაკლი ნიკურაძის ფოტო

მეძვსი ერის პირველობის B ჯგუფის პირველ მატჩში საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მიერ პორტუგალიელთა ძლევის ამბავი, გუშინ გაცნობეთ, თუმცა პორტუგალიური საინფორმაციო სააგენტოების „წყალობით“ ქართველთაგან ორი ლელოს გამტანად გოდერძი შველიძე მოვიხსენიეთ, არადა, ლისაბონში ლევან ცაბაძეს უყოჩაღია, ეგ კი არა, ბორჯღალოსანთა გამარჯვებაში ლომის წილი სწორედ „ლეონსიოს“ დაუდია.

გუშინ საქართველოს რაგბის კავშირში ლისაბონიდან დაბრუნებულ მატჩის თვითმხილველთ ვესაუბრეთ და კვირის შეხვედრის ამბები უფრო დაწვრილებით შევიტყვეთ.

რაგბის გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება 1997 წელს ლისაბონში პორტუგალიელთა მიერ ჩვენი ნაკრების დამარცხება. მაშინ გვარიანი ჩხუბი ატყდა, რამაც მორაგბეებზე ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა. იმ მატჩის კვალი კვირას გამართულ შეხვედრას მხოლოდ პირველ ტაიმში ეტყობოდა — „ბორჯღალოსნებმა“ ორმოცწუთეული 6:12 დათმეს. პორტუგალიელთა ლიდერმა ტეშეირამ ოთხჯერ შეძლო ოვალური ბურთის ძელებს შორის გატარება, ურჯუკაშვილმა კი მხოლოდ ორი ზუტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა მეტოქეს. მთავარი მოვლენები მეორე ნახევარში დატრიალდა. მატჩის მთავარმა მსაჯმა, ფრანგმა ჟან პიერ პელაპრიმ წესების სრული დაცვით გატანილი ლელო არ ჩაგვითვალა, მაგრამ მერე ლევან ცაბაძის ლელოს მან ვერაფერი დაუპირისპირა. ცაბაძეს გიორგაძემ და ხეხელაშვილმაც მიაძეს, ურჯუკაშვილმა საჯარიმო — გარდასახვები ზუსტად შეასრულა და საქართველოს ნაკრები დაწინაურდა — 27:12. აქ ქართველებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, რისთვისაც კინაღამ დაისაჯნენ. უნდა ითქვას, რომ პორტუგალიის ნაკრები საკმაოდ კერკეტი კაკალი გამოდგა. მასპინძლები ვერაფრით ურიგდებოდნენ მარცხს. ტეშეირამ ხუთიდან ხუთი საჯარიმო ზუსტად შეასრულა, ამას არეკნიც მიაყოლა და პორტუგალიის ნაკრები 30:27 დაწინაურდა. მატჩის დასრულებამდე სამი წუთიღა რჩებოდა, როდესაც გუნდის კაპიტანმა ზურაბ მჭედლიშვილმა თითქმის უიმედო სიტუაციაში მეტოქის აუტი მოიგო და ქართველთა შეტევა წამოიწყო, სწორედ ამ შეტევის დროს დაჯარიმდნენ პორტუგალიელები. ყველას ეგონა, რომ მალხაზ ურჯუკაშვილი მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმას დაარტყამდა, რადგან სხვაობა მხოლოდ სამი ქულა იყო და მატჩიც ფრედ დასრულდებოდა, მაგრამ ლევან ცაბაძემ ჯარიმა გაათამაშებინა, თამაში საკუთარ თავზე აიღო, მეტოქეს ჯიქურ შეუტია, მას შერკინებაც მიეხმარა და „ლეონსიომ“ ოვალური ბურთი მეტოქის სალელოე მოედანზე დადო. ორ წუთში მთავარმა არბიტრმაც ჩასტვინა და ყველას ქართველთა გამარჯვება ამცნო.

ბაჩო სვანიძე

შენი ქმარი, ჩემი მწვრთნელი

პერეკს ოფლს კოხის ქმარი ადენს

მარი-ჟო პერეკი

ფრანგი მორბენლის მარი-ჟო პერეკისა და ამერიკელი მწვრთნელის, ჯონ სმიტის ნაყოფიერ თანამშრომლობას 1994 წელს, ლოს ანჯელესში ჩაეყარა საფუძველი და აქამდე ხელს არაფერი უშლიდა. 1992 წელს ბარსელონაში 400 მეტრზე მოგებულ ოლიმპიურ ოქროს მედალს პერეკმა ატლანტაში კიდევ ორი დუმატა (200 და 400-მეტრიან დისტანციებზე), რამაც დაადასტურა, რარიგ სჭირდებოდა პერეკს სმიტის „თანაავტორობა“. თუმცა ამ დღეებში, ფრანგული გაზეთის „ეპიკის“ ცნობით, სიტუაცია შეიცვალა.

1997 წლიდან მოყოლებული პერეკი ტრავმებმა დატანჯა და რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის არ მიუღწევია. გარდა ამისა, ჯონ სმიტი პერეკთან ერთად ერთობ ტიტულიან ამერიკელს, 100 მეტრზე მორბენალ მორის გრინსაც წვრთნიდა და თავად პერეკის თქმით, სმიტს სწორედ ამ დისტანციაზე 9,5-წამიანი ზღვრის გადალახვა ექცა ცხოვრების მიზნად, სხვა დანარჩენი ნაკლებად აინტერესებსო. ხსენებულმა გარემოებებმა პერეკ—სმიტის ტანდემის რღვევა მოამწიფა და 4 [illegible]ერვალს დუეტი დაიშალა კიდეც. ამერიკას [illegible]ყვეტილი ფრანგი გერმანიას მიეკედლა, რადგან სწორედ იქაურია მისი ახალი მწვრთნელი ვოლფგანგ მეიერი, რომელიც ფეხმარდი მარიტა კოხის გამარჯვებებითაა ცნობილი. მეიერი მოძღვრავდა კოხს მოსკოვის ოლიმპიადაზე როცა მორბენალმა 400-მეტრიანი გარბენი მოიგო, მეიერსვე მიუძღვის წვლილი კოხის მიერ 1985 წელს დამყარებულ მსოფლიოს რეკორდში, რომელიც დღემდე ვერავინ მოხსნა (400 მ — 47,60 წმ). ბოლოს და ბოლოს, მწვრთნელისა და მორბენლის შეხმატკბილებული შრომა უფრო ამაღლებულ გრძნობაში გადაიზარდა და ქორწინებით დაგვირგვინდა. მეიერი-მწვრთნელი ცნობილია, როგორც ჩინებული ტაქტიკოსი, ეს კი, პერეკის თქმით, სისწრაფეზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია. „მე მარიტაც დამეხმარება“ — უწყინარი სახით უპასუხა პერეკმა ერთი ჟურნალისტის ეჭვნარევ კითხვას — „მან იცის 400-მეტრიანი დისტანციის თავისებურებები და თავისი გამოცდილებით ძალიან შემიწყობს ხელს“. ხელშეწყობა ფრანგს ამჟამად მართლაც სჭირდება, რადგან დიდი გეგმები დაუსახავს, უპირველესად — სიდნეის ოლიმპიადის მოგება. „სიდნეის 400 მეტრი ჩემი ცხოვრების გარბენია“ — პათეტიკურად განუცხადა მარი-ჟომ ჟურნალისტებს — „ამიტომ წარმატების მისაღწევად შეუძლებელიც უნდა შევძლო“. არადა, მართლაც რა ძნელია ამის გაკეთება სპორტსმენისთვის, რომელმაც ავადმყოფობის გამო 1998 წლის სეზონი საერთოდ გამოტოვა, შარშან კი მცირე შეჯიბრებებზე ისეთი ხალხი გაუშვა წინ, თავის ყოჩაღობის ხანაში ასკინკილით რომ გაუსწრებდა. მიუხედავად ამისა, ფრანგის ჩანაფიქრი უეჭველად პატივისცემის ღირსია და ვინ იცის, მალე ეგებ გავხდეთ კიდეც მისი ტრიუმფის მოწმენი. თუმცა აგერ პერეკი და აგერ სიდნეი. ვნახოთ!

დავით გულუა

აეროდინამიკურმა მასაჭმა პროფესორი შეამსუბუქა

პროსტ-პეჟო

დაარსდა 1969 წელს (ლიჟიე), 1997 წლიდან „პროსტი“
პრეზიდენტი ალან პროსტი
ტექნიკური დირექტორი ალენ ჯენკინსი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1976, ბრაზილიის დიდი პრიზი
პირველი გამარჯვებები: 1977, შვედეთის დიდი პრიზი (ლაფიტი)
375 რბოლა, 9 გამარჯვება, 9 პოული, 9 სწრაფი წრე, 419 ქულა
შასი პროსტ-AP-03
ძრავი პეჟო A-20 V-10
გუნდმა 1999 წელს 9 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა

ჟან ალეზი

საფრანგეთი
დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს ავინიონში
სიმაღლე 170 სმ, წონა 74 კგ
ჰყავს მეუღლე კუმიკო და ორი ქალიშვილი
ცხოვრობს ნიონში (შვეიცარია)
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1989, საფრანგეთის დიდი პრიზი (ტრილი)
167 რბოლა, 1 გამარჯვება, 2 პოული, 4 სწრაფი წრე, 236 ქულა
ასპარეზობდა: „ტრილი“ — 1989-90, „ფერარი“ — 1991-95, „ბენეტონი“ — 1996-97, „ზაუბერი“ — 1998-99 გუნდებში
1999 წელს 2 ქულით მე-15 ადგილი დაიკავა

ნიკ ჰეიდფილდი

გერმანია
დაიბადა 1977 წლის 10 მაისს
ფორმულა-3000 ჩემპიონი 1999



FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, „პროფესორ“ ალენ პროსტის გუნდმა ბოლო წლებში დიდად ვერაფრით გამოიჩინა თავი, მაგრამ შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში აშკარად დაეტყო წინსვლა და იარნო ტრულიმ ევროპის დიდ პრიზზე მეორე ადგილიც დაიკავა. გუნდის თავკაცებს იმედი აქვთ, რომ წინსვლა წლეულსაც საგრძნობი იქნება.

ახალი ბოლიდი ჯონ ბარნარდის, ფორმულა 1-ის ერთ-ერთი საუკეთესო კონსტრუქტორის მომზადებულია და შარშანდელი მოდელის ევოლუციას წარმოადგენს, თუმცა კი გარეგნულად საგრძნობლად განსხვავდება წინამორბედისგან.

ახალი ძრავი პეჟო A-20 შარშანდელთან შედარებით კომპაქტური და თითქმის 25 კგ-ით მსუბუქია. ამან კონსტრუქტორებს საშუალება მისცა, სხვადასხვა აგრეგატი უფრო მჭიდროდ განელაგებინათ, ეს კი თავის მხრივ ავტომობილის საერთო ბალანსს გააუმჯობესებს.

ტექნიკური დირექტორის ალან ჯენკინსის თქმით, გუნდმა უდიდესი სამუშაო ჩაატარა აეროდინამიკურ გვირაბში და ახალი მოდელი უფრო დახვეწილი გამოვიდა.

გუნდის შეფის, ალენ პროსტის აზრით, ახალი პილოტები — ჟან ალეზი და ნიკ ჰეიდფილდი ერთმანეთს ავსებენ. ჟანი მეტად გამოცდილი მებრძოლია, გერმანელი პილოტი კი ახალგაზრდა და ნიჭიერია, მისგან წლეულს კარგი შედეგებია მოსალოდნელი. მათ გვერდით ტესტ-პილოტად კვლავ სტეფან სარასენი (საფრანგეთი) იმუშავებს.

გუნდი ტესტებს ბარსელონაში ატარებს და კარგ შედეგებსაც აჩვენებს.

ალეკო ჭაბუკიანი

„სტუდენტები“ და „პროფესორი“: ჟან ალეზი, ნიკ ჰეიდფილდი და ალენ პროსტი

REUTERS ბარსელონიდან

ფრანსისკო კაბელო

მალიორკას გზებზე

ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძული მალიორკა არცთუ ურიგო საფეხბურთო გუნდისა და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, კარლოს მოიას გარდა იმითაა ცნობილი, რომ მრავალი ქვეყნის სქელჯიბიანი ელიტა თუ კინოსა და მუსიკის ვარსკვლავები სწორედ აქ არჩევენ ზამთარ-ზაფხულ არდადეგების გატარებას.

კუნძული საკმაოდ პატარაა და ძნელად, მავანს ზედ ველოტურის მოწყობა მოსვლოდა თავში. მაგრამ ტურნირი მართლაც არსებობს, მას „მალიორკას ტური“ ჰქვია და როგორღაც გზები 5 ეტაპის ჩატარებასაც კი გასწვდა.

ორშაბათს მეორე ეტაპი ესპანელმა ფრანსისკო კაბელომ მოიგო. 146,9-კილომეტრიანი ტრასის სტარტიც და ფინიშიც საპორტო ქალაქ ანდრატში მოეწყო და კუნძულის სიღრმეში, ოთხ საკმაოდ ციცაბო აღმართზეც გაიარა.

კაბელო ფინიშამდე 24 კილომეტრით ადრე გაიქცა და კარგად ისარგებლა იმით, რომ მის დასაწევად კარგა ხანს არავის შეუწუხებია თავი. პელოტონი გვიანღა მოვიდა გონს და ტემპს უმატა, თუმცა ჩამორჩენის ასანაზღაურებლად ეს საკმარისი არ გამოდგა — ესპანელმა უახლოეს კონკურენტზე 15 წამით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი და საერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

მეორე ეტაპი: 1. ფრანსისკო კაბელო — 5 სთ 24 წამი; 3. ერიკ ზაბელი (გერმანია)+17; 4. ოსკარ ფრერი (ესპანეთი); 5. ანდრეას კლიერი (გერმანია) — ყველას იგივე დრო

არმსტრონგი იწყებს

ტურ დე ფრანსის შარშანდელი ჩემპიონი ლანს არმსტრონგი ახალ სეზონს პარიზი-ნიცას ველორბოლით გახსნის.

ამერიკელი, რომელმაც სიმსივნისგან განკურნების შემდეგ სპორტის ყველაზე პრესტიჟული რბოლის მოგება მოახერხა, სწორედ ნიცაში ცხოვრობს. მას ამჯერად საკმაოდ სერიოზული მეტოქეები ეყოლება — საფრანგეთში ასპარეზობას ბელგიელი ფრანკ ვანდენბრუკი, ინგლისელი კრის ბორდმანი, ამერიკელი ბობი ჯულიჩი და მასპინძელთა მთავარი ჯილა რიშარ ვირანკი აპირებენ.

რბოლა 6-8 მარტს ჩატარდება, 8 ეტაპიდან ყველაზე საინტერესო კი ბოლოსწინა იქნება — 10-კილომეტრიანი სიჩაუქის გამოცდა ეზეს უღელტეხილზე, უმძიმეს აღმართზე, რომელიც მონტე კარლოსა და ნიცას გადაჰყურებს.

ტურნირს წლეულს ახალი პრომოუტერიც ჰყავს: ლეგენდარული ფრანგი ველომრბოლი, ტურ დე ფრანსის ჩემპიონი ლორან ფინიონი: „ძალიან მინდა, რომ ჩემი პირველი რბოლა სრულყოფილი გამოდგეს. შეიძლება აქა-იქ პატარა შეცდომები დავუშვა, მაგრამ იმედია, შემიწყნარებთ“.

ძახა არჯევანიძე

ლიგაში დედამიწა უკუღმა ბრუნავს

ბებერმა ამერიკამ ახალგაზრდა ევროპა აღმოაჩინა



ლიგის ჩეხი ავტორიტეტის იაროსლავ იაგრის ხელი პიტსბურგელთა მწვრთნელად ივან ჰლინკას დანიშვნაშიც ურევია

„ამის შემდეგ, როცა ნჰლ-ის კომისიონერი გერი ბეტმენი ოფიციალური განცხადებით გამოვა, სჯობს მისი მომზადება ლიგის საგარეო საქმეთა დეპარტამენტს დაავალოს“ — ასე გამოხატა „ასოშეიტედ პრესის“ ჟურნალისტმა ალან რობინსონმა თავისი გაოცება იმის გამო, რომ „ოლ სტარის“ თამაშზე მსოფლიოს ნაკრებმა დიდი სირცხვილი აჭამა ჩრდილო ამერიკას და მის ნაქებ ვარსკვლავებს. თუ ადრე ჟურნალისტები თავს იკავებდნენ, ახლა მოთმინების ფიალა აევსოთ და საბოლოოდ იმედგაცრუებულებმა მთელი ბოღმა პრესის ფურცლებს დაანთხიეს.

ის, რაც ამერიკელებს 1998 წლის ნაგანოს ოლიმპიადამ მხოლოდ მიანიშნათ, ახლა უკვე ცხადზე ცხადია — იქ, მავანთა აზრით, უკვე უსაფუძვლოდ წოდებულ ნაციონალურ ჰოკეის ლიგაში ახალი წესრიგი დამყარდა. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დასრულებამდე ორი თვე და პლეი ოფია დარჩენილი, 1999-2000 წლების ჩემპიონატის თავისებურება, მისი სავიზიტო ბარათი ლიგის გამრავალფეროვნებაა (ოღონდ არა ტალანტებით, არამედ ეროვნებებით).

„იქ, სადაც გრეცკი და ლემიე, ჰოუ და რიშარი ბატონობდნენ, დღეს უმთავრესი ვარსკვლავები ბურე, ჰაშეკი და იაგრი არიან, ხოლო ლიგამ არა ონტარიოსა და კვებეკში (კანადის პროვინციები), არამედ კლადნოსა (იაგრის მშობლიური ქალაქი) და მოსკოვში უნდა ეძებოს ტალანტები“ — ამბობს რობინსონი.

დღესდღეობით ლიგაში ჩრდილოამერიკელები მხოლოდ 65 პროცენტი არიან. თამაშების ყოველდღიურ ოქმებში უფრო ხშირად რუსების, ჩეხების, შვედების და სხვა ევროპელთა სახელები ჭარბობს. „ოლ სტარში“ გატანილი 13 გოლიდან 9 აღმოსავლეთ ევროპელებმა გაიტანეს. მათ ფონზე სახელოვანი ამერიკელი ბებერი ვარსკვლავები სასაცილოდ გამოიყურებოდნენ. მით უმეტეს, საწყენია, რომ, თუ ჩრდილოამერიკელთა შორის ვეტერანები წლების განმავლობაში ყველაზე უკეთესნი არიან, ევროპა ყოველ სეზონში ამარაგებს ლიგას ნიჭიერი ახალგაზრდებით. ამიტომაცაა, რომ ოკეანისგადმელთა შემადგენლობაში სკოტ გომესი იყო ერთადერთი, ვინც შოუში პირველად მონაწილეობდა. და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს ნაკრებში უხვად იყო ახალი სახელები.

რობინსონის აზრით, საშიში ის არის, რომ კანადელებმა თავიანთი ავტორიტეტი და ზეგავლენა დაკარგეს. დღეს ისინი უცხოელთა რჩევებს უგდებენ ყურს. იაგრმა ერთხელ გამოთქვა თავისი დადებითი აზრი ახალ საოვერტაიმო წესზე და პრესაში უმალ ატყდა ცხარე კამათი იმის თაობაზე, რომ 4+4-ით ასპარეზობა მარტო დამატებით დროში კი არა, მთელ თამაშზე გავრცელდეს. „ერთი რამ, რაც აშკარად დავკარგეთ, ეს შემოქმედებითი, წარმოსახვითი უნარია. ხოლო ამას წარსული თაობების ვარსკვლავები იმით აღწევენ, რომ ყოველდღე 6, 7, 8 საათს ვარჯიშობდნენ, მაგრამ ის დრო წავიდა“ — ასე ხსნის ამ პრობლემას „დიადი“ უეინ გრეცკი, ადამიანი, რომელსაც, ალბათ ყველაზე უკეთ ესმის ჟურნალისტთა გულისტკივილი.

ამ ყველაფერს კანადური კლუბების საფინანსო კრიზისიც ემატება. დღესდღეობით ექვსიდან მხოლოდ ორს — მონრეალსა და ტორონტოს — აქვს მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობა. კანადის მთავრობამ კი დაპირებული შეღავათების პროგრამის შესრულება შეაჩერა, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს, დახმარება გაუწიოს ჰოკეისტებს, რომელთა გასამრჯელო ისედაც ბევრად აღემატება საშუალო ხელფასს.

ასე რომ, შესაძლოა არცთუ შორეულ მომავალში მოხდეს ის, რაზეც ჯერ მხოლოდ ლაპარაკობენ — ლიგაში თუნდაც შვედეთის კლუბები მიიღონ.

დაბოლოს, რაც „ოლ სტარის“ მეორე დღეს მოხდა, აშკარად მეტყველებს ევროპის ზეგავლენაზე — ლიგაში პირველი არაამერიკელი მწვრთნელი დანიშნა, ცნობილი ჩეხი სპეციალისტი, წარსულში სახელოვანი ჰოკეისტი ივან ჰლინკა. იგი პიტსბურგს უხელმძღვანელებს. ჩეხი ჯერჯერობით ამ მოვალეობას ამჟამინდელ მწვრთნელ ჰერბ ბრუქსთან ერთად შეასრულებს, ახალ სეზონში კი ლიგის ყველაზე ჩეხური კლუბის სრულუფლებიანი თავკაცი გახდება.

ჰლინკა თავისი მოვალეობის შესრულებას მომავალი კვირიდან შეუდგება. არავინ მალავს, რომ ამ საქმეში ლიგის ყველაზე გავლენიანი მოთამაშის, იაროსლავ იაგრის ხელი ურევია. „მოთამაშეები მას ყოველთვის დიდ პატივს სცემენ, ვინაიდან შეგირდებს თავადაც ასე ეპყრობა. ჰლინკა, სხვებისგან განსხვავებით, არასდროს გაიძახის, რომ ყველაფერს მხოლოდ მწვრთნელი წყვეტს“ — ამბობს სუპერჩეხი, თუმც აქვე აფრთხილებს თანამემამულეს, რომ მას, როგორც პირველ ევროპელს, მძიმე სამუშაო ელის. მოგეხსენებათ, ევროპელი სპეციალისტები ადრეც თანამშრომლობდნენ ამა თუ იმ კლუბთან, მაგრამ ისინი ან თავკაცის, ანაც გენერალური მენეჯერის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდნენ. ერთ-ერთი მათგანი, სახელოვანი ვიაჩესლავ ფეტისოვი ნიუ ჯერსიში მუშაობს.

დათვები გამერფინისტდნენ

ამ დღეებში ბოსტონმა ვეტერანი ფორვარდი ჯო მერფი უვადო დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი, როგორც ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, დისციპლინის დარღვევა და მწვრთნელისადმი დაუმორჩილებლობაა.

მაინც, რა მოხდა ასეთი ბოსტონში? როგორც გაუწყეთ, ამას წინათ იქაურმა პრესამ ვითომდა კლუბის მფლობელის, ჯერემი ჯეკობსის სახელით მკაცრად გააკრიტიკა გუნდის თამაში და მწვრთნელთა საქმიანობა. სტატიას უმალ გამოეხმაურა „დათვების“ თავკაცი პეტ ბერნსი. მან განაცხადა, ჯეკობს ჩვენთვის არაფერი უსაყვედურია, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ უკმაყოფილო ჰოკეისტთა მონაჭორია, რომლებიც კონფლიქტს აღვივებენო. სწორედ მათ შორის უნდა გამოძებნილიყო განტევების ვაცი და ასეთად ჯო მერფი აქციეს.



ჯო მერფი

„მერფი არაერთხელ შემკამათებია და მთლიანად გუნდსაც უარყოფითად განაწყობდა ჩემს მიმართ. კმარა, აღარ მოვითმენ, რომ მატჩის დროს ვინმე შემელაპარაკოს“ — თქვა ბერნსმა ბოსტონის გენერალური მენეჯერის ასისტენტმა მაიკ ოკონელმა კი დასძინა, ყოველივე ამას გუნდის ინტერესების გათვალისწინებით ვაკეთებთო.

არადა, შარშან 12 ნოემბერს, როცა თავისუფად აგენტ ჯო მერფისთან კონტრაქტი ფორმდებოდა, ყველა კმაყოფილი იყო მისი შეძენით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფორვარდი არაფრით გამორჩეულა — მან 27 მატჩში მხოლოდ 7 გოლი გაიტანა.

32 წლის მერფიმ თავის დროზე ედმონტონს (1990) სტენლის თასი მეხუთედ მოაგებინა. 1991-92 წლების სეზონში 35 შაიბით კარიერის რეკორდიც დაამყარა, მაგრამ მას შემდეგ ასეთ მაღალ დონეზე აღარ უთამაშია.

აი, მეორე ვეტერანს, 33 წლის ბენუა ჰოგს კი ნამდვილად ბედმა გაუღიმა. შარშან დალასში მოთამაშე ფორვარდი კლუბის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ჰოკეისტად ითვლებოდა, მაგრამ კოლორადოსთან ნახევარფინალური შეხვედრის მეორე მატჩში მან ორივე მუხლის მყესები ისე დაიზიანა, რომ ყველას ეგონა, თავდამსხმელი ვეღარ ითამაშებსო. თუმცა ჰოგმა შეუძლებელი შეძლო — ოპერაცია გადადო და მეხუთე მატჩში თავისიანებს დაეხმარა, ხოლო ის მეხუთე და მეექვსე თამაშები დალასმა მოიგო.

„ის ნამდვილად კარგი მოთამაშე და მეგობარი იყო, ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა“ — ასე გულთბილად მოიხსენია დალასის მეკარე ედ ბელფორმა ყოფილი პარტნიორი, რომელიც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგაც კი ვერ გამოჯანმრთელდა და ამიტომაც იყო, რომ „ვარსკვლავებმა“ კონტრაქტი აღარ განუახლეს.

ჰოგი უსაქმოდ მაინც არ დარჩა. უნივერსალურმა ფორვარდმა, რომელსაც ცენტრში და ორივე ფრთაზეც შეუძლია თამაში, ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ფინიქსთან.

კონტრაქტის ვადა სეზონში დარჩენილი 29 მატჩითა და პლეი ოფის შეხვედრებით განისაზღვრება. წლეულს „კოიოტები“ ძალიან ძლიერად და უმაღლეს მიზნებსაც ისახავენ, ამიტომ ჰოგისნაირი გამოცდილი და საიმედო მოთამაშე ნამდვილად სჭირდებათ.

სამველ ღარიბიანი

თხილამშრობა

ამაზე იტყვიან, ბებერი ხარის რქებიო!

1994 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ლილეჰამერში გაიმართა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი თხილამურებით რბოლაში. ქალებში რუსებმა არავის დაუთმეს საპრიზო ადგილები, თუმცა საერთო ჩათვლაში კვლავ ესტონელი კრისტინა შმიგუნი ლიდერობს.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა კაცების შეჯიბრება 10 კილომეტრიან ტრასაზე. ფინიშამდე გამოეთიშნენ ბრძოლას თასის ლიდერი ნორვეგიელი ტომას ალსგარდი და მისი თანამემამულე ესპენ ბიერვიგი. საუკეთესო დრო აჩვენა ფინელმა ვეტერანმა ჰარი კირვისნიემმა, რომელსაც მაისში 42 წელი წელი შეუსრულდება. ვერაფერს იტყვი, შესაშური სპორტული დღეგრძელობაა! ნორვეგიელთა წარუმატებლობით შესანიშნავად ისარგებლა გაესპანელებულმა გერმანელმა იოჰან მულეგმა, რომელიც სათავეში მოექცა მსოფლიოს თასის გათამაშებას.

საერთო ჩათვლა

კაცები

1 იოჰან მულეგი (ესპანეთი) — 527
2 ტომას ალსგარდი (ნორვეგია) — 461
3 ესპენ ბიერვიგი (ნორვეგია) — 347

ქალები

1 კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — 622
2 ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 595
3 ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) — 592

ᲰᲐᲯᲘᲗᲛᲔ, ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲝ!

ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, 90 კილოგრამი წონითი კატეგორია ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელ შოთა ხაბარელს ახალ თავსატეხს გაუჩენს. ჯერ გიორგი რევაზიშვილისა და გიორგი ვაზაგაშვილის გაჭიანურებული დავა არ დასრულებულა 66-ში ლიდერობისთვის, ახლა კი ახალმა კონკურენციამ იჩინა თავი. 90 კილოგრამს გია გუგავას სახით გამოკვეთილი ლიდერი რომ ჰყავს (ქართველ ძიუდოისტთაგან მეზუთედ მან მოახერხა პარიზის პრესტიჟული ტურნირის მოგება), ამას არავინ უარყოფს, მაგრამ სალიცენზიო ტურნირები ახალგაზრდა ზურაბ ზვიადაურმა ისე დაიწყო, ადვილი შესაძლებელია, სიდნეის ლიცენზიაც მოიპოვოს და ხაბარელი აიძულოს, არჩევანი მის სასარგებლოდ გააკეთოს. თავად განსაჯეთ, ზურაბმა ორ კვირაში ორ ტურნირში იჭიდავა და ორივეგან წარმატებით. ჯერ მოსკოვში, ნახევარფინალში ჰანტეეთ დამარცხებული მესამეზე გავიდა (ეს მისი სადებიუტო ტურნირი იყო დიდებში), ამ უქმეებზე კი სოფიაში ანალოგიურ შეჯიბრში სულაც ჩემპიონი გახდა. ჯერჯერობით გუნდში ყველაზე მეტი სალიცენზიო ქულაც მან მოაგროვა. ზვიადაურის გარდა სოფიაში წარმატებას გიორგი ვაზაგაშვილმა (66) და ალექსი დავითაშვილმა (მძიმე) მიაღწიეს. მათ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ზვიადაურის წარმატებამ სოფიის ტურნირისადმი ინტერესი ერთიორად გაგვიღვივა. ამიტომ შოთა ხაბარელს ჩამოსვლისთანავე დავეკითხეთ იქაურ ამბებზე. გასაკვირი არაა, რომ ძირითადად ზვიადაურზე ვისაუბრეთ. მის შესახებ მწვრთნელმა ეს თქვა:

— ზვიადაურმა მოლოდინს გადააჭარბა. მან მოსკოვშიც კარგად იჭიდავა და ამიტომ მივეცით შანსი, მაგრამ ჩემპიონობას მაინც არ ველოდით. სოფიაში ზურაბმა ხუთი შეხვედრა მოიგო. სძლია ისეთ ცნობილ ძიუდოისტებს, რუსი მოროზოვი და უკრაინელი მაშურენკო რომ არიან და დამსახურებულად მოიგო ტურნირი.

— გუგავამ როგორ იჭიდავა?

— ის პირველივე შეხვედრაში დამარცხდა და ტურნირსაც გამოეთიშა, რადგან მისმა მომგებმაც წააგო.

— მომავალ სალიცენზიო ტურნირებში ამ წონაში ვის დააყენებთ?

— ამ წონაში ოლიმპიური ლიცენზია თითქმის გავინაღდეთ, მაგრამ მომავალ ტურნირებში მაინც ორივეს წავიყვანთ. მერე კი დრო გვიჩვენებს, რას გავაკეთებთ. ჯერ არაფერი გადაგვწყვეტია.

— მთლიანობაში ჩვენი გუნდის გამოსვლაზე რას იტყვით?

— ცალკეული მოჭიდავეები თუ გაინტერესებთ, საგანგებოდ ვაზაგაშვილს (66) გამოვარჩევ. მან კარგად იჭიდავა და მეორე ადგილზე გავიდა, თან ესპანელ უემაცუსაც მოუგო, ვისთანაც შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე მსაჯებმა წააგებინეს. ფინალშიც იგებდა რუს ისლამ მაციევთან, მაგრამ ანგარიში ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. მისი შედეგიც და ფორმაც დასაწყისისთვის კარგია და ლიცენზიაც უეჭველად უნდა მოიპოვოს. კარგად იასპარეზა დავითაშვილმა და ახალგაზრდა ტყეშელაშვილმაც (81), რომელმაც ხუთი სალიცენზიო ქულა მოიპოვა. მას სხვა ტურნირებშიც წავიყვანთ. სოფიაში ნაჩვენებმა შედეგებმა დამარწმუნა, რომ ლიცენზიებს ყველა წონაში ვირგუნებთ.

— ერთთვიანი შესვენების მერე ახალი სალიცენზიო ტურნირებია, ზედიზედ სამი — ბუდაპეშტში, პრაღასა და ვარშავაში. იქაც ამ შემადგენლობით წახვალთ?

— შემადგენლობა იგივე იქნება, როგორიც სოფიაში იყო, ოღონდ 81-ში ლიპარტელიანის ნაცვლად ისევ მუზაშვილს წავიყვანთ, რომელმაც მოსკოვში მესამე ადგილი დაიკავა. ლიპარტელიანმა უნდა მოუმატოს და თუ სათანადო ფორმას მიაღწევს, მომდევნო ტურნირებზე ისევ ვიახლებთ. ამ სამი ტურნირით ვიწყებთ მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის, ამიტომ ნესტორ ხერგიანსა (60) და გიორგი რევაზიშვილსაც (73) ჩავრთავთ გუნდში.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲫᲔ

ᲙᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲚᲘ ᲙᲐᲜ ᲛᲔ...

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ კლერმონფერანში სალიცენზიო ტურნირში იასპარეზეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმაც. საქართველოს ნაკრები იქ ერთ-ერთი ლიდერის, მხარნატკენი აკაკი ხაჩუას (63) გარეშე ჭიდაობდა. ჩვენებური რიგის ტურნირში დაშავდა, სადაც მეოთხე იყო. მწვრთნელებმა ის შმაგი გოქაძით შეცვალეს, რომელმაც საფრანგეთში მეათე ადგილი დაიკავა. „მარადიანი ქალაქში" კობა გულიაშვილმა (58) მესამე, ხოლო მირიან გიორგაძემ (მძიმე) მეშვიდე ადგილები დაიკავეს. ყველაზე მეტი ჩასათვლელი ქულაც მათ მიითვალეს. საფრანგეთშიც ამ დუეტმა იყოჩაღა და ერთი ნაბიჯით წაიწია ლიცენზიისკენ, ოღონდ ამჯერად ბრინჯაოს მედალს გიორგაძე დაეუფლა, გულიაშვილი კი მეხუთე იყო. როგორც ნაკრების მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გვითხრა, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ამ ორი ტურნირის შედეგების მიხედვით გამოაქვეყნა ყველა წონის რეიტინგი. 58-ში საქართველო მესამეა, 63-ში — მეექვსე, მძიმეში კი — მეორე. ლიცენზიებსაც თუ მოვიპოვებთ, ისევ ამ წონებში, თორემ სხვაგან ნაკლებად მოსალოდნელია. დანარჩენებს საგზურებს დარჩენილ სამ ტურნირში მუდმივი პრიზიორობა თუ მოუტანთ, რაც ძნელი წარმოსადგენია.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲗᲐᲫᲔ

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ?

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲐ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ გაუტეხელი ბუნება კომპლიმენტს ნამდვილად იმსახურებს. რაც ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს, ფაქტობრივად მარტო იბრძვის ოპოზიციის საკმაოდ კარგად შეკრული და ამასთანავე მზარდი გუნდის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ფედერაციაში პრეზიდენტს მცირერიცხოვანი მომხრეებიც ჰყავს, მაგრამ მათი რიცხვი თანდათან კლებულობს და არც შემორჩენილთა რაიმე განსაკუთრებული აქტივობა შეგვინიშნავს ფედერაციის პრეზიდიუმისა თუ აღმასკომის სხდომებზე. აზმაიფარაშვილი პრაქტიკულად მარტოა და რადგანაც ერთი ჩხირი ათზე ბევრად ადვილი გასატეხია, წარუმატებლობებს განიცდის. რაც შეეხება ოპოზიციას, იგი წაგავს მაკედონურ ფალანგას, რომლის ურღვევი რიგებიც ნელ-ნელა, აუჩქარებლად მიიწევენ საბოლოო მიზნისკენ და გზაზე ახალი ძალებითაც ივსებიან. მაია ჩიბურდანიძის ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ აზმაიფარაშვილმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მხარდამჭერი დაკარგა. საქართველოს მეორე ნომერმა მოჭადრაკე მამაკაცმა, საერთაშორისო დიდოსტატმა და ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა გია გიორგაძემ მეამბოხეთა რიგებში თავისი გადასვლა პირველად მაშინ დააფიქსირა, როცა ფედერაციის აღმასკომის მიმართვას მოაწერა ხელი. ეს მიმართვა ცოტა ხნის წინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, კახი ასათიანს გაეგზავნა. მასში რიგგარეშე ყრილობის მოწვევის აუცილებლობა იყო დასაბუთებული და პრეზიდიუმის ოპოზიციური ფრთა ანუ აბსოლუტური უმრავლესობა აწერდა ხელს. შაბათს კი, როცა ნონა გაფრინდაშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი თავი წარადგინა, თავისი არჩევის შემთხვევაში პოტენციურ ვიცე-პრეზიდენტად გია გიორგაძე დაასახელა და ამით აღბათ იგი დე იურე ოპოზიციონერადაც გაფორმდა. ამგვარი სიტუაციით შეეგებნენ მხარეები ფედერაციის პრეზიდიუმის გუშინდელ სხდომას, რომელიც თითქოს უშფოთველად უნდა ჩატარებულიყო. მართლაც, რიგგარეშე ყრილობის თარიღი დადგენილია, მძაფრი დებატების საფუძველი თითქოს აღარც არსებობდა, მაგრამ... პირველიდან ექვს საათამდე აზმაიფარაშვილის კაბინეტი ვულკანივით ფეთქავდა, კონფლიქტის მონაწილეები ზოგჯერ გარეთაც გამოდიოდნენ, ალბათ სულის მოსათქმელად, და ისევ უკან ბრუნდებოდნენ. სადებიუტო მძაფრი ვნებათაღელვის შემდეგ კაბინეტი პირველმა პრეზიდენტმა დატოვა და პრესისთვის ერთი მწვავე განცხადება გააკეთა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი: „გარეთ გამოვედი იმიტომ, რომ აღარ შემიძლია ვუხელმძღვანელო იმ გამგეობის სხდომას, რომლის წევრებიც არღვევენ წესდებას, რომელშიც ცხადადაა მითითებული, რომ ფედერაციის ყრილობა უნდა წაიყვანოს გამგეობის თავმჯდომარემ (პრეზიდენტმა) ან, თუ მას რაიმე მიზეზით ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია, მისმა ერთ-ერთმა მოადგილემ. დღევანდელმა ჩვენმა გამგეობამ თავის თავს იმის უფლება მიანიჭა, რომ პრეზიდენტს ყრილობის წაყვანის ფუნქცია ჩამოართვას. მე ამას უკანონობას ვეძახი და აუცილებლად სასამართლოს მივმართავ. გადავწყვიტე, დღეს სხდომა დავტოვო, რადგან გამგეობა უმრავლესობით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს, თანაც მხოლოდ სუბიექტურად... ამ საზოგადოებასთან, როგორც ვატყობ, მხოლოდ კანონებით ლაპარაკი შეიძლება და ამიტომ ახლა მე დავაყენებ თვითონ ყრილობის ლეგიტიმურობის საკითხსაც, თუმცა აქამდე ამაზე არ მივდიოდი. ხუთ აპრილს დანიშნულია ყრილობა და არა არჩევნები. ჯერ უნდა მოეწყოს მოქმედი პრეზიდენტის იმპიჩმენტი, ხოლო შემდგომ ყრილობაზე — ახალი პრეზიდენტის არჩევნები. მე აქამდე საქმის გართულება არ მსურდა და ორივე პროცედურის ერთ ყრილობაზე განხორციელება მინდოდა. ეს, ეტყობა, სისუსტეში ჩამომართვეს და ახლა ყრილობის წაყვანის უფლებასაც მართმევენ, რომელიც მე წესდებით, კონსტიტუციურად მაქვს მონიჭებული. მე არაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ სასამართლოს მივმართო და ამას დღესვე გავაკეთებ".

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ

აზმაიფარაშვილი ცოტა ხანში მაინც შებრუნდა სხდომაზე და იქ ვნებათაღელვა გაგრძელდა. მეორე პიროვნება, ვინც მასმედიელებმა „ხელში ჩავიგდეთ", დიდოსტატი თამაზ გიორგაძე გახლდათ, პრეზიდენტობის ერთეული კანდიდატი.

თამაზ გიორგაძე: „ყრილობაზე მთავარი იმპიჩმენტის საკითხია და როგორ წარმოგიდგენიათ, სწორია თუ არა, ყრილობა წაიყვანოს იმ კაცმა, ვისი საკითხიც განიხილება. წესდებაში პირდაპირ წერია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტისთვის შეუძლებელია ყრილობის გაძღოლა, ხოლო შეუძლებლობაში არა მხოლოდ ავადმყოფობა და არყოფნა, არამედ ზემოთ ნახსენები სიტუაციაც იგულისხმება, იგი უნდა წაიყვანოს ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა. გადაწყვეტილება ამის შესახებ გამგეობამ დღეს უკვე მიიღო. წესდებას რაც შეეხება, არ მინდა, მის შემდგენლებს პიროვნულად შევეხო, მაგრამ მასში ისეა ყველაფერი არეული, რომ კარგი იურისტი არც შეხედავს. მთელი წესდება ფაქტობრივად ერთ კაცზეა აგებული...

ახლა აზმაიფარაშვილზე. როცა მოჭადრაკეთა მთელი ელიტა, გამგეობის ყველა წევრი შენი წინააღმდეგია და გეუბნება, რომ უნდა გადადგე და შენ მაინც შენსას აკეთებ, ეს უკვე აღარ არის პრინციპი, ეს უფსკრულია. მე არ ვიცი, რატომ ეჭიდება იგი ამ თანამდებობას, ეს მართლაც ურთულესი სამუშაოა".

ზურაბ აზმაიფარაშვილმა ადრეც განაცხადა და გუშინაც გაიმეორა, ნონა გაფრინდაშვილს ვთხოვეთ კიდეც, მაგრამ პრეზიდიუმის სხდომებს მუდამ თავს არიდებდაო. დღეს ქალბატონი ნონა ჭადრაკის სასახლეში გამოჩნდა და სხდომიდან ცოტა ხნით გამოსულმა კომენტარიც გააკეთა. მსოფლიოს ექსჩემპიონის საუბარი სხვებზე მეტად წაგავდა იმ სიუჟეტს, როცა ცნობილ პიროვნებას ჟურნალისტები ბუზებივით ესევიან და დიქტოფონებს ცხვირწინ უტრიალებენ. ამ მომენტისთვის სასახლეში ჟურნალისტები შესამჩნევად მომრავლებულიყვნენ და გაფრინდაშვილი ორი ტელეკამერისა და ათიოდე დიქტოფონის ალყაში მოექცა. მისი ნაუბარი, რასაკვირველია, აზმაიფარაშვილის კრიტიკის ნიშნით იყო აღბეჭდილი.

ნონა გაფრინდაშვილი: „სიტუაცია ძალიან რთულია. ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რიგგარეშე ყრილობის გამართვაზე. ეს დაადასტურა თითქმის მთელმა გამგეობამ, აღმასკომის უმრავლესობამ, სპორტის დეპარტამენტმა და საერთოდ ყველამ, პრეზიდენტის გარდა. აზმაიფარაშვილი მარტო დარჩა. მმართველი ორგანო არ არსებობს: ორივე ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გადადგომა უნდათ, გენერალური მდივანი წასულია, ქალთა ნაკრები ცალკეა, ვაჟთა ნაკრები — ცალკე. უბრალოდ, გაუგებარია აზმაიფარაშვილის ასეთი ქცევა, იხტიბარს რომ არ იტეხს. მეც ვყოფილვარ ფუნქციონერი და ასეთი შემთხვევა რომ მქონოდა, ერთ წამსაც არ დავფიქრდებოდი. თქვენ იცით, რომ მე პრეზიდენტობაზე განაცხადი შევიტანე. ვერავინ იფიქრებდა, რომ სეოკ-ში რვაწლიანი მუშაობის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილი ამ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ ეს გამაკეთებინა ჩვენს ჭადრაკში დღეს არსებულმა მდგომარეობამ. ხანგრძლივად ასე გაგრძელება არ შეიძლება, თორემ სულაც არ მინდა ვინმემ თქვას, ნონა გაფრინდაშვილმა იმიტომ გაილაშქრა პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომ თვითონ გამხდარიყო პრეზიდენტიო.

ახლა დღევანდელი კამათის სავანზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყრილობა აუცილებლად დაუინტერესებელმა პირმა უნდა წაიყვანოს, აზმაიფარაშვილი ასეთი არ არის. გამგეობამ ყველაფერი სწორედ ასე გადაწყვიტა, აზმაიფარაშვილი კი სასამართლოში ჩივილს აპირებს. მოკლედ, ფედერაციაში მეტად არაორდინალური სიტუაცია შეიქმნა. მე რომ სეოკ-ის თავმჯდომარე ვიყავი, ჩემი მოჭადრაკეობით თავი მომწონდა, რადგან ჩვენი ფედერაცია ყველაზე მოწესრიგებული და მოწინავე იყო. ერთ წელიწადში ყველაფერი თავდაყირა დადგა. თუ აზმაიფარაშვილს არ გადაირჩევენ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იმუშაოს ფედერაციამ, როცა ყველა გაწზეა გამდგარი... წესდებაზე რაღა გითხრათ, თავადაც ხედავთ: იგი ამბობს, რომ ყრილობამდე ორი თვით ადრე უნდა დასახელდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები. ამ დროს ისიც ვერ გარკვეულა, არჩევნები საერთოდ გაიმართება თუ არა. აბსურდია, აბა, რა არის. თუ ზურაბ აზმაიფარაშვილი დარჩება პრეზიდენტის პოსტზე, ეს იქნება „კატასტროფა" — დაასკვნა გაფრინდაშვილმა და აზმაიფარაშვილის კაბინეტში დაბრუნდა, თუმცა სხდომა მალე დასრულდა და აზმაიფარაშვილმა პრესას კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ სასამართლოში ჩივილს დაუყოვნებლივ აპირებს. პრეზიდენტმა თავისი ეს ფრაზებიც გაიმეორა: საქმეში უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონების კვალი იგრძნობაო. აზმაიფარაშვილი ვა-ბანკზე წავიდა და უახლოეს ხანებში ინფორმაციას ჭადრაკის ფედერაციის საქმეებზე ჭადრაკის სასახლეზე მეტად მთაწმინდის სასამართლოდან უნდა ველოდოთ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

XIX ტური

ჰერტა 2:0 არმინია

შალკე 3:1 ვერდერი

კაიზერსლაუტერნი 2:2 ჰანზა

ულმი 3:0 მიუნხენი

ინგლისი

I დივიზიონი

პორტვეილი 0:1 ბოლტონი

II დივიზიონი

გლეიკპული 0:2 რედინგი

ლუთონი 2:1 სტოკი

III დივიზიონი

ლეიტონი — ექსეტერი 4:1; მენსფილდი — იორკი 1:0; პლიმუთი — ლინკოლნი და ტორკი — ჩელტენემი გადაიდო

REUTERS ციურიხიდან

კაიზერი და ცხენი

განა შეჯინიბეა ეს კაცი!.. უბრალოდ, ფიფას ერთ-ერთ ღონისძიებას ესწრება და შვეიცარიაში ნაზარდ ცხენებს უმასპინძლდება. ფრანც ბეკენბაუერს, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტს ციურიხის ულაყებზე ბევრად უფრო აინტერესებს თავისი კლუბის ულაყთა ხვალინდელი დღე. ბავარიელები გერმანიის ჩემპიონატს ლიდერობენ და ჩემპიონთა ლიგაშიც კარგად ირჯებიან.



REUTERS ტორონტოდან

კვიცი ყინულზეც ხტის

დიდი ყვანჯოსნური ლაღობა იყო გახურებული ამ უქმეებზე ტორონტოში. ეროვნული ლიგის „ოლ სტარზის“ პროგრამით მრავალი მსუბუქი საჰოკეო ღონისძიება გაიმართა. „ოლ სტარზელთა“ ვარჯიშებიც კი თვალსასაჩინო იყო. „რეინჯერსის“ განთქმული მეკარე მაიკ რიხტერი ნორჩ თავდამსხმელებს „არ ახარებდა“. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არც ამ ფოტოზე აღბეჭდილი ბიჭუნა გახლავთ უცნობი ვინმე — ლუკ ესპოზიტო ჰქვია და განთქმულ მარკ მესიეს დიშვილია. ამ გვარითა და ნათესაობით, ცხადია, ფრიადი ყვანჯოსანი უნდა შეიქნას.

ახლა კიდევ ვეტერანები... წარსულის „გმირთა მატჩში“ ერთმანეთს შეტაკებიან ძველი ტორონტოელი მცველი ედი შეკი (მარცხნივ) და ლეგენდარული მონრეალელი მეგოლე აივენ კურნუაიე.

ასე რომ, ჰოკეი, ჰოკეი...

ექვსი ერის პირველი დღე

REUTERS კარდიფიდან

პირველი ექვსი ერი გახურდა და გიუმაჟმა ქომაგებმაც არ დაახანეს. კარდიფის მილენიუმის მინდორზე მთვრალი ტიტველა კაცი გადმოეშვა და უელსელთა და ფრანგთა შეხვედრის ჩაშლა სცადა.

რომის ფლამინიოს სტადიონზე კი ასეთი არაფერი მომხდარა. იტალიელები თავის პირველ საექვსერო შეხვედრაში სქოთებს მასპინძლობდნენ და იმარჯვეს კიდეც. VIP-თა ლოჟაში ტევა არ იყო. თუმცა, იტალიის კულტურის მინისტრ ჯოვანა მელანდრის (მარცხნივ) ბედნიერი წივილი მაინც ვერ ჩრდილავდა ინგლისის პრინცესა ანას ბევრად თავშეკავებულ ღიმილს.

REUTERS რომიდან

REUTERS ოკლენდიდან

პრადას სისარული

როგორც იყო ჩაწყნარდა ჰაურაკის ყურე, ოკლენდის ახლოს. ექვს თებერვალს გაირკვა ლუი ვუტონის თასის მომგები ეკიპაჟი — იტალიური „პრადა“, რომელმაც საუკეთესო შედეგი უჩვენა ცხრა სერიაში, 5:4. საგუნდო პრესკონფერენციაზე, ოკლენდშივე რომ გაიმართა, პრადელმა მასიმო გალიმ თავისი ქალიშვილი კატერინა ვუტონის თასში ჩასვა და ასე წარუდგინა შედიას. ახლა, წინ ამერიკის თასია...

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli